დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 13 - 19 თებერვალი
N 8 1472
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ხაბერდოვანი რევოლუცია ჩანასახშივე განწირულია! 3




## შალვა,
სანამ სტრასბურგში შეიტან, ჯერ ჰააგიდან გამოიტანე!




## როგორ გადავყაროთ მილიონი




**მიხეილ ცაგარელი:**

## მიწისძვრების ხელოვნურად გამოწვევა რუსებსაც შეუძლიათ და ამერიკე-ლებსაც!

## 10 სხვისი მიწა

**არნო ხიდირბეგიშვილი**




## რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა უნდა აღდგეს!




**მაყვალა ბერიანიძე:**

## გასროლა

ზუსტად 17 წლის წინათ, 2006 წლის 13 თებერვალს

# როგორ გადავყაროთ




***ცნობილ ამერიკულ კინოკომედიას, რომელიც ეკრანებზე 1966 წელს გამოვიდა და რომელშიც მთავარ როლებს გენიალური მსახიობები — ოდრი ჰეპბერნი და პიტერ ო'ტული ასრულებენ, „როგორ მოვიპაროთ მილიონი“ ჰქვია, ხოლო რეალურ ტრაგიკომედიას, რომელიც ახლა ჩვენ თვალწინ თამაშდება, შეიძლება, ვუწოდოთ „როგორ გადავყაროთ მილიონი“.***

თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, ჩვენ თვალწინ მიმდინარე ტრაგიკომედიას შეიძლება, დავარქვათ **„როგორ გადავყაროთ მოპარული მილიონი“.**

ამ ტრაგიკომედიის მთავარი პერსონაჟები, რომლებმაც საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის წლების განმავლობაში მოპარული მრავალი მილიონიდან ერთი მილიონი დოლარი ახლახან წყალში გადაყარეს, **პატიმარი მიხეილ სააკაშვილი და დედამისი გიული ალასანია არიან.**

საქმე ის არის, რომ ამ დღეებში აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, **გიული ალასანიამ 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის იანვრის ჩათვლით, 917 177** (მილიონზე, სულ რაღაც, 82 000-ით ნაკლები) **დოლარი გადაუხადა ამერიკულ ლობისტურ კომპანია „აკერმანს“, რათა მას საერთაშორისო მასშტაბით შეექმნა საზოგადოებრივი აზრი, თითქოს საქართველოს მესამე პრეზიდენტს ქართულ ციხეში აწამებენ, წამლავენ, არასათანადოდ მკურნალობენ და პუტინის დავალებით კლავენ, რის გამოც აუცილებელია, სასჯელი გადაუვადდეს და სამკურნალოდ საზღვარგარეთ იქნეს გადაყვანილი.**

**გიული ალასანიას მიერ მილიონ დოლარად დაქირავებულ ამერიკულ ლობისტურ კომპანიას** ევალებოდა, შეერთებულ შტატებსა და ევროპაში ემუშავა გავლენიან პოლიტიკოსებთან და ე.წ. აზრის ლიდერებთან, რათა მათ სააკაშვილის მხარდამჭერი განცხადებები გაეკეთებინათ და ნაცბელადის გათავისუფლების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა მოეხდინათ.

**სააკაშვილის დედის მიერ მილიონ დოლარად დაქირავებული ლობისტური კომპანიის** მოვალეობაში აგრეთვე შედიოდა უცხოურ მედიაში ისეთი სტატიებისა და ტელესიუჟეტების ტირაჟირება, რომლებშიც სააკაშვილის წამებაზე, შესაძლო მოწამვლასა და მოსალოდნელ სიკვდილზე იქნებოდა საუბარი.

და კიდევ: **გიული ალასანიას მიერ მილიონ დოლარად დაქირავებულ ლობისტურ კომპანიას,** თავის მხრივ, უნდა დაექირავებინა ექიმები და სამედიცინო ექსპერტები, რომლებიც იტყოდნენ და დაწერდნენ, რომ სააკაშვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ქართულ ჯანდაცვის სისტემას მისი გამოჯანმრთელების უნარი არ შესწევს და ერთადერთი ხსნა სამკურნალოდ უცხოეთში გაგზავნაა.

შეიძლება ითქვას, რომ **გიული ალასანიას მიერ მილიონ დოლარად დაქირავებულმა ამერიკულმა ლობისტურმა კომპანიამ** დაკვეთა შეასრულა და ვერც შეასრულა. კერძოდ, როგორც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, სააკაშვილის ამერიკელ ადვოკატს **მასიმო დანჯელოს** კომუნიკაცია ჰქონდა საქართველოში ამერიკის საელჩოს თანამშრომლებთან, ამერიკელი სენატორის — **ჯინ შაჰინის** ოფისთან, გლობალური სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტ **კრისტოფერ ჰარვინთან** და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის ბიუროს მდივნის თანაშემწის მოადგილესთან.

აქ განსაკუთრებით ხაზგასასმელი და საყურადღებოა **სააკაშვილის დედის მიერ დაქირავებული ამერიკელი ადვოკატის** კომუნიკაცია საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან, რაც ადასტურებს, რომ **ელჩი კელი დეგნანი** არამხოლოდ საქმის კურსში იყო, თუ როგორ ხდებოდა ჰიქაში ქარიშხლის დატრიალება სააკაშვილის პატიმრობიდან დასახსნელად, არამედ კულუარულად მონაწილეობდა რეალობის გაყალბებისა და დამნაშავე ნაცბელადისათვის სასჯელის არიდების მცდელობაში.

ამასთან, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი, თუ რა თანხები მიიღეს იმ ექიმებმა და ექსპერტებმა, რომლებიც **გიული ალასანიას მიერ დაქირავებულმა ლობისტურმა კომპანიამ** დაიქირავა ნაცბელადის ჯანმრთელობის შესახებ გაზვიადებული და მანიპულაციური დასკვნების დასაწერად.

კერძოდ, **ამერიკელმა ფსიქიატრმა ერიკ გოლდსმიტმა** 75 864 დოლარი აიღო, რათა ეთქვა, რომ სააკაშვილს სწრაფად განვითარებადი დემენცია აქვს და შეიძლება, მოკვდეს; **ამერიკელმა გასტროენტეროლოგმა სტიუარტ ფინკელმა** 79 012 დოლარი აიღო, რათა ეთქვა, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის გაუარესება მის მიერ საკვების არმიღებით კი არა, არასწორი მკურნალობით არის გამოწვეული; **ამერიკელმა ნევროლოგმა შაჰინ ემანუელ ლახანმა** 107 399 დოლარი აიღო, რათა ეთქვა, რომ სააკაშვილს მთელი რიგი დაავადებები ჭირს და არ შეიძლება, სასჯელს იხდიდეს; **ამერიკელმა ტოქსიკოლოგმა დევიდ სმიტმა** 11 200 დოლარი აიღო, რათა ეთქვა, რომ სააკაშვილი სიკვდილის პირასაა და დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანონ საზღვარგარეთ... საბოლოო ჯამში, **გიული ალასანიას მიერ მილიონ დოლარად დაქირავებულმა ლობისტურმა კომპანია „აკერმანმა“** სააკაშვილის საქმეში ჩართულ უცხოელ ექიმებსა და ექსპერტებს 350 000 დოლარზე მეტი გადაუხადა.

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლომ პატიმარ ნაცბელადს სასჯელი არ გადაუვადა, რადგან **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის ექიმებმა, ექსპერტებმა და იურისტებმა შეძლეს, დაემტკიცებინათ, რომ გიული ალასანიას მიერ დაქირავებული უცხოელი ექიმებისა და ექსპერტების დასკვნები რეალობას არ შეესაბამება, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სასჯელის მოხდასთან შეუთავსებელი არ არის და უცხოეთში მისი სამკურნალოდ გაგზავნის არავითარი საჭიროება არ არსებობს.**

სხვანაირად თუ ვიტყვით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ორთვიან პროცესზე დამტკიცდა, რომ **სააკაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული უცხოელი ექიმ-ექსპერტების** დასკვნები და მთელი ის პიარკამპანია, რომელიც ამერიკელმა ლობისტებმა **მილიონი დოლარის საფასურად** აწარმოეს, ისეთივე ყალბი იყო, როგორც მილიონ დოლარად დაზღვეული ვენერა მილოსელის ქანდაკება ფილმში **„როგორ მოვიპაროთ მილიონი“.**

ამდენად, მიხეილ სააკაშვილის მიერ ამერიკული ლობისტური კომპანიისათვის გიული ალასანიას ხელით გადახდილი მილიონი აშშ დოლარი **წყალში გადაყრილი აღმოჩნდა!**

ერთადერთი რეალური და თვალსაჩინო შედეგი, რაც **გიული ალასანიას მიერ ამერიკული ლობისტური კომპანიისათვის** მილიონი დოლარის გადახდას მოჰყვა, ის არის, რომ ქართველი საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა ნაცბელადისა და მისი ოჯახის უსაზღვრო კორუმპირებულობაში.

არადა, ორიოდე კვირით ადრე, სანამ ოფიციალური დოკუმენტით დადასტურდებოდა, რომ **გიული ალასანიამ ამერიკული ლობისტური კომპანია მილიონ დოლარად დაიქირავა,** „ვივამედში“ მო-

# როგორ მოვიპაროთ

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ხალხის ხარჯზე ასეთი გამდიდრება არ შეიძლება, **დაიბარეთ სურსათის მსხვილი იმპორტიორები და მოახდინეთ თითქმის 100-პროცენტიან ფასნამატზე რეაგირება.** მაქსიმუმ, 2 კვირაში მაგიდაზე უნდა მქონდეს სრული სურათი შესაბამისი გამოსავლის გზებით. **არ შეიძლება, ერთ ლიტრ ბენზინზე თითქმის 1 ლარის ღირებულების ფასნამატი იყოს.** მინდა, მივმართო მინისტრებს, რომ დაიბარონ ნავთობის იმპორტიორები და **ფასები გონივრულ ზღვარზე ჩამოვწიოთ.**

„რეზონანსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



სააკაშვილს **ჩადენილი აქვს უმძიმესი დანაშაულები** და სასჯელის მოხდა მოუწევს.

„რეზონანსი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



გლობალური ომის პარტიას **სააკაშვილი სჭირდება გარეთ,** რადგან საქართველოში შექმნან არეულობა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



წინა გინესის რეკორდი, რომელიც მათ დაამყარეს, იყო **8-თვიანი ბოიკოტი,** შემდეგ ეცადნენ, მაგრამ ეს რეკორდი ვერავინ მოხსნა, ახლა ვნახოთ, **რამდენ ხანს გაგრძელდება ბოიკოტი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ჩიქოვანი**
*პარლამენტარი*



მაშინ, როდესაც აქ გვიყიჟინებენ, რომ თითქოს მთელი მსოფლიოა შეძრწუნებული **მიხეილ სააკაშვილის** საკითხით, ვხედავთ, რომ **ეს არის მარტივი დაკვეთა, რომელშიც კონკრეტული თანხაა გადახდილი.**

„იმედინიუსი“

# მილიონი

კოტრიალე პატიმარ სააკაშვილს გერმანული გამოცემა „შპიგელის“ ჟურნალისტმა ჰკითხა — რა ფინანსური სახსრებით ახერხებთ, რომ თქვენს ინტერესებს უამრავი ადვოკატი და ექსპერტი იცავსო? — რაზეც სააკაშვილმა უპასუხა:

***„დედაჩემმა მემკვიდრეობით მიღებული მიწა გაყიდა და მიუხედავად ამისა, ახლა ფული აღარ გვაქვს — არც ადვოკატების და არც სხვა რამის. რა ვქნა ახლა, ვიდარდო და ვუსაყვედურო საკუთარ თავს, რომ, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა კლეპტოკრატ ლიდერებს, სხვადასხვა ანგარიშზე მილიონები არ მაქვს გადამალული? ამასობაში დედაჩემი ბინის გაყიდვასაც ფიქრობს“.***

გესმით? **საწყალ გიული ალასანიას** წინაპრების მიერ დანატოვარი მიწის ნაკვეთი გაუყიდია და ასე დაუქირავებია ამერიკული ლობისტური კომპანია... მილიონ დოლარად!!!

**მილიონდოლარიან მიწის ნაკვეთს ეხუმრებით? მაინც სად, საქართველოს რომელ წერტილში მდებარეობს გიული ალასანიას მილიონდოლარიანი მიწის ნაკვეთი?**

არა, უბრალო მიწის ნაკვეთი არ იქნება, ალბათ, ქვეშ ოქროსა და ბრილიანტის უზარმაზარი საბადოა!

მაგრამ ახლა რაღა ქნას **საბრალო დედა გიულიმ,** რომელმაც მემკვიდრეობით მიღებულ მიწის ნაკვეთში აღებული მილიონი დოლარი სულ ტყუილად გადაყარა წყალში და შვილი პატიმრობიდან მაინც ვერ დაიხსნა?

ბინის გაყიდვას ფიქრობსო!

სადაც მიწის ნაკვეთი მილიონ დოლარად გაყიდა, ბინას, ალბათ, ორ მილიონად გაყიდის!

**მერე რამდენიმე ათეულ მილიონად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ კორპუსებსაც მიაყიდის, შვილის პრეზიდენტობის დროს, 2008 წლის აგვისტოს ომიდან რამდენიმე კვირაში, სიმბოლურ ფასად რომ ჩაიგდო ხელში.**

აბა, რა შავ ქვად უნდა ქალბატონ გიულის მეცნიერ-პედაგოგი მშობლებისა თუ ბებიაბაბუის მიერ დანატოვარი მილიონდოლარიანი მიწის ნაკვეთები და სახლები, შვილის თავისუფლებას თუ არ მოახმარა?

ის კი არა, **თუ საჭირო გახდა, დედა გიული კიევში, მილიარდერთა უბანში არსებულ იმ ვილასაც გაყიდის და ფლორიდაში, ოკეანის სანაპიროზე მდებარე იმ პენტჰაუსსაც ზედ მიაყოლებს, შვილს საკუთარი დანაზოგით — პროფესორის ხელფასიდან გადადებული და სიმწრით ნაგროვები ფულით რომ შეუძინა!**

მოგეხსენებათ, სააკაშვილმა კიევის ცენტრში მდებარე კიდევ ერთი სახლი, რომელიც დედის დანაზოგითა და ბებიის პენსიით ჰქონდა ნაყიდი, **ლიზა იასკოსთან** გაჩენილ შვილს — **ჟასმინ იასკოს** გადაუფორმა, თორემ ისიც ადვოკატებისა და ექიმ-ექსპერტების დასაქირავებლად გაიყიდებოდა!

მოკლედ, **გიული ალასანია მხოლოდშობილი მიშიკოს ციხიდან დასახსნელად არაფერს დაიშურებს და მილიონდოლარიანი მიწის ნაკვეთები რომ გაუთავდება, ბოლოს გიორგი ჩალაძეს გაყიდის, როგორც ერთადერთ და უკანასკნელ ქონებას, რომელიც ბებიაბაბუისაგან მემკვიდრეობით არ რგებია!**

მთელ ამ ტრაგიკომედიაში, სახელწოდებით — **„როგორ გადავყაროთ მილიონი“** — ყველაზე კომიკური და ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ სააკაშვილიც და დედამისიც ქართველ ხალხს უყურებენ, როგორც უვიც და ბრიყვ ბრბოს, რომელსაც შეგიძლია, დააჯერო, თითქოს წინაპრებმა მილიონდოლარიანი მიწის ნაკვეთი დაგიტოვეს და მისი გაყიდვა მოგიხდა, რათა ამერიკული ლობისტური კომპანია დაგექირავებინა.




### ჰო, ასეთი მდაბიო წარმოდგენა აქვთ ქართველ ხალხზე ნაცბელადსა და მის დედას, რომლებმაც არამხოლოდ ის იციან, როგორ მოიპარონ მილიონი, არამედ ისიც – როგორ გადაყარონ მილიონი!

მათ ხელისუფლებაში ყოფნისას **იმდენი მილიონი მოიპარეს,** სააკაშვილის 6-წლიანი სასჯელის ამოწურვამდე ყოველთვე თითო მილიონი რომ გადაყარონ, მაინც მულტიმილიონერებად დარჩებიან!

***ჯაბა ხუბუა***

# მილიონი









***ტერმინი „ხავერდოვანი რევოლუცია“ მსოფლიო პოლიტიკურ ლექსიკონში 1989 წლის მიწურულიდან დამკვიდრდა, როცა ჩეხოსლოვაკიაში უსისხლო, მშვიდობიანი რევოლუცია მოხდა და კომუნისტური რეჟიმი საპარლამენტო მმართველობით შეიცვალა.***

# ხაბერდოვანი რევოლუცია ჩანასახშივე განწირულია!

მას შემდეგ **ხავერდოვანი რევოლუციები** სხვადასხვა დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოხდა. მაგალითად, 2003 წელს საქართველოში მომხდარი **ხავერდოვანი რევოლუცია „ვარდების რევოლუციის“** სახელით არის ცნობილი, 2005 წელს უკრაინაში მომხდარი **ხავერდოვანი რევოლუცია „ნარინჯისფერ რევოლუციად“** იწოდება და ა.შ.

ისიც კარგად გემახსოვრებათ, რომ 2022 წლის გაზაფხულზე ნაცმოძრაობასა და მასთან ასოცირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩამოყვანილი ჰყავდათ **ამერიკელი პოლიტტექნოლოგი და ხავერდოვანი რევოლუციების სპეციალისტი პიტერ აკერმანი,** რომელმაც ბაკურიანში ტრენინგი ჩაუტარა, საქართველოს დატოვებიდან ერთ კვირაში კი გაღმა გავიდა! სად გაღმა? მარილზე! რომელ მარილზე? მოკვდა, მოკვდა!

საერთოდ, ნაცები საქართველოში **მეორე ხავერდოვანი რევოლუციის** მოწყობას უკანასკნელი 8-9 წლის განმავლობაში ინტენსიურად ცდილობენ, მაგრამ არაფერი გამოსდით, რადგან საქართველოს მოსახლეობაში სათანადო მხარდაჭერა არ გააჩნიათ.

მიუხედავად ამისა, სააკაშვილის სექტა იხტი-

***გაგრძელება მე-4 გვერდზე***

## კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ცხადი აქსიომაა, რომ **სუსტი ნაციონალური მოძრაობა ნიშნავს ძლიერ ქართულ დემოკრატიას** და რაც უფრო დასუსტდება ნაციონალური მოძრაობა, ეს ქართულ დემოკრატიას წაადგება.

თუკი დღეს რომელიმე პოლიტიკური ძალა განასახიერებს **დავით აღმაშენებელს,** „ქართული ოცნებაა“.

„რეზონანსი“

**გიორგი ამილახვარი**
*პარლამენტარი*



სიმართლე ერთია: **მიხეილ სააკაშვილმა** უნდა დაიწყოს ჭამა, მას ეს თავისუფლად შეუძლია და ყველანაირი სპეკულაცია და **პრობლემა აქ დამთავრებულია.** ამ თანხების მეათედი, რომელიც ლობირებაში იხარჯება, სააკაშვილის ოჯახმა, მეგობრებმა ან პარტიამ მის ჯანსაღ კვებაში რომ დახარჯონ, **აქ მთავრდება პრობლემა.**

„რეზონანსი“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტარი*



საერთოდ ვერ ვგრძნობთ სხვაობას ნაციონალური მოძრაობის პარლამენტში **ყოფნასა და არყოფნას** შორის.

„პირველი არხი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



ოპოზიციამ არჩევანი უნდა გააკეთოს, **ხაბეიშვილისა და სანიკიძის** მთავარსარდლობით თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ და **უფრო შეაძულონ თავი საზოგადოებას** ან არჩევნებისთვის დაიწყონ მზადება!

„პირველი არხი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



პარლამენტის დატოვებას რომც ვაპირებდე, **ნაციონალური მოძრაობის მოწოდების შემდეგ გადავიფიქრებდი,** რადგან ახლა იმ ფორმაში არ არიან, რომ მათ მოწოდებებზე იარო.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ხაბერდოვანი რევოლუცია ჩანასახშივე განწირულია!

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბარს არ იტეხს და კვლავაც **ხავერდოვანი რევოლუციით** იმუქრება!

თუმცა, რადგან ნაციონალურ მოძრაობას ახალ თავმჯდომარედ **ლეგენდარული ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ლევან ხაბეიშვილი,** მეტსახელად **ხაბე** ჰყავს, უპრიანი იქნება, მის მიერ დაანონსებულ **ხავერდოვან რევოლუციას ხაბერდოვანი რევოლუცია** ვუწოდოთ!

ასე და ამრიგად, ნაციონალური მოძრაობა **ხაბერდოვან** რევოლუციას გეგმავს!

ხაბე ხაბერდოვანი რევოლუციის შესახებ ჯერ კიდევ მანამდე საუბრობდა, სანამ **ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი** მას ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ დასვამდნენ. მაგალითად, 2023 წლის 17 იანვარს **ხაბემ** განაცხადა:

*„ერთადერთი გამოსავალი არსებობს ამ ყველაფრიდან — ეს არის საქართველოში რევოლუციური ცვლილებები. რევოლუციური ცვლილებების გარეშე და ქვეყნის გადმოტრიალების გარეშე არაფერი გამოვა“.*

**ხაბე ხაბერდოვან რევოლუციას** რომ აპირებს, ამის შესახებ მკაფიო მინიშნება მან ნაცმოძრაობის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგაც გააკეთა: **„ერთგულები ვართ იმ ფასეულობების, რომელმაც შექმნა „ვარდების რევოლუცია“.**

**ხაბემ ხაბერდოვანი რევოლუციისათვის** მზადება იმით დაიწყო, რომ საქართველოს რეგიონებში **„მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების შტაბები“** შექმნა, რომლის მთავარ კოორდინატორად **გიული ალასანიასთან ძალიან დაახლოებული პირი გიორგი ჩალაძე** დანიშნა. თავის მხრივ, **ჩალაძემ,** რომელიც გიული ალასანიაზე არ დაქორწინებულა, განაცხადა: **„ნუ გვეშინია, რევოლუციაც კარგია, მე მომხრე ვარ, რომ უსამართლობა დასრულდეს“.**

რაც მთავარია, **ხაბეს ხაბერდოვან რევოლუციას** ლოცვა-კურთხევა მისცა ნაცსექტის სულიერმა ლიდერმა **მიხეილ სააკაშვილმა,** რომელიც ციხისაგან თავისუფალ დროს კლინიკა „ვივამედის“ პალატა-აპარტამენტში ატარებს. მას შემდეგ, რაც ნაცბელადს სასამართლომ სასჯელი არ გადაუვადა, მან საკუთარ ფეისბუქგვერდზე დაწერა: **„მე ვერაფერი გამტეხავს, ახლა გაბრაზების და ბრძოლის დროა“.**

მოკლედ, **ხაბეს ხაბერდოვანი რევოლუციის** მოსაწყობად ისღა დარჩენოდა, ქუდზე კაცი ეხმო და ნაცმოძრაობის ასეულათასობით მომხრე ქუჩაში გამოეყვანა!

ხაბემ ასეც დააპირა — **იმავე საღამოს, როცა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძემ სააკაშვილის ადვოკატების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ნაცბელადს სასჯელი არ გადაუვადა, ნაცმოძრაობის ახალგამოჩეკილმა თავმჯდომარემ საგანგებო ბრიფინგი მოაწყო, ხმაში ომახი გაურია და პარტიის მთელი აქტივი, თბილისიდან ვიდრე ჩხოროწყუმდე და ლაგოდეხიდან ვიდრე ხელვაჩაურამდე, მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან დაიბარა — ხვალიდან ვიწყებთო!**

**მეორე დღეს თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან, 97 ნაცი შეიკრიბა.**

ხაბე იძულებული გახდა, **ხაბერდოვანი რევოლუცია** ერთი დღით გადაედო და რევოლუციური ლაშქარი ამჯერად იუსტიციის სამინისტროს შენობასთან დაიბარა.

დათქმულ დროს იუსტიციის სამინისტროსთან **78 ნაცი** გამოცხადდა.






**ხაბეს გრანდიოზული მიტინგი იუსტიციის სამინისტროსთან სააკაშვილისა და საქართველოს გადასარჩენად. 2023 წლის 8 თებერვალი.**

**ნაცებს 2003 წელს ხავერდოვანი რევოლუცია გამოუვიდათ და ქვეყანა სისხლის ოკეანეში ჩაახრჩეს, მაგრამ 2023 წელს ხაბერდოვანი რევოლუცია აღარ გამოუვათ და თავადვე ჩაიხრჩობიან პოლიტიკურ ჭაობში!**



## ხაბეს ხაბერდოვანი რევოლუცია ისევე სასაცილოდ გამოიყურება, როგორც გიული ალასანია და გიორგი ჩალაძე გამოიყურებიან ერთმანეთის გვერდით!

ხაბემ იფიქრა — ეტყობა, რევოლუციონერებს რეგიონებიდან თბილისში ჩამოსვლა ეზარებათ, ამიტომ გასვლით **ხაბერდოვან რევოლუციას** მოვაწყობო და ხალხმრავალი შეკრება ერთდროულად რამდენიმე ქალაქში დანიშნა.

შედეგად ზესტაფონში გამოვიდა **25 ნაცი,** სიღნაღში — **40 ნაცი,** ხელვაჩაურში — **32 ნაცი** და კიდევ რამდენიმე ქალაქში **10-15 ნაცი** შეიკრიბა.

კი მაგრამ, რაშია საქმე?

**რატომ არ გამოდიან ნაცები ქუჩაში ბელადის სიცოცხლის გადასარჩენად და რატომ არ აწყობენ ხაბერდოვან რევოლუციას?**

**ნუთუ** ნაცებსაც არ სჯერათ, რომ სააკაშვილი პუტინის პირადი პატიმარია?

**ნუთუ** ნაცებსაც არ სჯერათ, რომ სააკაშვილს ივანიშვილის პუტინისტური რეჟიმი წამლავს და აწამებს?

**ნუთუ** ნაცებსაც არ სჯერათ, რომ საქართველოს ევროპული მომავალი სააკაშვილის თავისუფლებაზე გადის?

**ნუთუ** ნაცებიც ფიქრობენ, რომ სააკაშვილი ჩვეულებრივი სიმულანტია, რომელიც ჯანმრთელობის თვითდაზიანებით არის დაკავებული და სასიკვდილო არაფერი ჭირს?

**ნუთუ** ნაცებიც დარწმუნებული არიან, რომ სააკაშვილი მაშინვე კარგად გახდება, როგორც კი თვითდაზიანებას შეწყვეტს და ნორმალური საჭმლის ჭამას დაიწყებს?

**ნუთუ** ნაცებიც ხედავენ, რომ ხელისუფლება სააკაშვილს არათუ არ აწამებს, არამედ ზედმეტადაც კი ეფოფინება და მის ხუშტურებზე დადის?

**როგორც ჩანს, ასეა და ამიტომაც არ გამოსდის ხაბეს ხაბერდოვანი რევოლუცია!**

**ხაბეს ხაბერდოვანი რევოლუცია ჩანასახშივე განწირულია!**

ხაბეს ხაბერდოვანი რევოლუცია ისევე სასაცილოდ გამოიყურება, როგორც **გიული ალასანია და გიორგი ჩალაძე** გამოიყურებიან ერთმანეთის გვერდით!

**ხაბეს ხაბერდოვანი რევოლუცია** ისეთივე უტოპიაა, როგორიც 523 127 ხმა, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ ბოლო, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო!

ყოვლად შეუძლებელია, პარტიას 500 000-ზე მეტი ამომრჩეველი ჰყავდეს და ბელადის „სიცოცხლის გადასარჩენად“ აქციაზე 500 კაციც არ გამოდიოდეს!

ან პირიქით — ყოვლად შეუძლებელია, ბელადის „სიცოცხლის გადასარჩენად“ ქუჩაში 500 კაციც არ გამოდიოდეს, მაგრამ იმავე ბელადის პარტიას არჩევნებში 500 000-ზე მეტი კაცი აძლევდეს ხმას!

ნაცებს 2003 წელს **ხავერდოვანი რევოლუცია** გამოუვიდათ და ქვეყანა სისხლის ოკეანეში ჩაახრჩეს, მაგრამ 2023 წელს **ხაბერდოვანი რევოლუცია** აღარ გამოუვათ და თავადვე ჩაიხრჩობიან პოლიტიკურ ჭაობში, რომელშიც ხაბეს თავმჯდომარედ დასმის შემდეგ კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლნენ!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



პრეზიდენტისკენ ხელის გამოშვერა არაფრის მომტანია, ვითომ არ იცოდეს ყველამ, რომ **შეწყალებით სააკაშვილი ვერ გათავისუფლდება, რადგან კიდევ სამ საქმეზეა ბრალდებული.** სასამართლომ სააკაშვილს სასჯელი არ გადაუვადა, ერთი რამ ცხადია, ამ გადაწყვეტილებით **ქართველ ხალხს მიესაჯა ჩაკეტილ წრეზე ტრიალი** და ამ ვითარების მძევლად დარჩენა.

„პირველი არხი“

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*



ყველას ბრალია ყველაფერი, გარდა **სალომე ზურაბიშვილისა?** მე რა შუაში ვარო, შუაში კი არა, თავშია: **ხელისუფლება ვერ გათამამდებოდა, პრეზიდენტი თავის ადგილზე რომ ყოფილიყო.**

„პალიტრანიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**ერთი ნაბიჯი დაგვრჩა, რომ კანდიდატის სტატუსი მივიღოთ** — თუ დეკემბერში განსხვავებული პოზიცია იქნება ევროკომისიის მხრიდან, პირდაპირ იქნება ნაცმოძრაობისა და **„ჭიჭე ვაშაძე“** რომ დარბის, ამ სექტის დამსახურება.

„ინტერპრესნიუსი“

**კელი დეგნანი**
*საქართველოში აშშ-ის ელჩი*



**საქართველო ჩვენნაირია?** აქვს ისეთივე თავდადება თავისუფლების, ღირებულებების, პრინციპების, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართ? **ამაზე პასუხს ელოდებიან ევროკავშირის ქვეყნები.**

„პირველი არხი“

**„გუბაზ სანიკიძისთვის, რომელიც ტელეეკრანიდან პატარა ბავშვივით გაიძახოდა, უკრაინაში მყოფი ქართველი მებრძოლები ჩამოვლენ და დედას გიტირებთო, მგონი, ჯერ დემენციის დიაგნოზი არ დაუსვამთ!“**






***მას შემდეგ, რაც ნაციონალებმა ბელადად ხაზე აირჩიეს, ხოლო დემენციანმა სააკაშვილმა კლინიკიდან ლენინური უსტარი გამოგზავნა, დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ ეს თავმოჭრილი ქათმის ბოლო გაფართხალებაა — მალე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდება:***

## *მაია ნიკოლეიშვილი:*

# დღეს ვუყურებთ სამხედრო გადატრიალების მომზადების მცდელობას!

— არ ვიცი, დააკვირდით თუ არა ყრილობაზე, სადაც **ლევან ხაბეიშვილი** აირჩიეს, სააკაშვილის სურათი მრგვალ წრეში იყო ჩასმული. ჩემს ბავშვობაშიც ზუსტად ასე იყო ლენინის სურათი წრეში ჩასმული. მენიშნა ეს ფაქტი. **ლენინისა და სააკაშვილის პოლიტიკური მდგომარეობა ერთი-ერთში ჰგავს ერთმანეთს — მიხეილ სააკაშვილიც პოლიტიკურად მკვდარია და მიწა არ აყრია.** ის, როგორც პოლიტიკოსი 2008 წელს დამთავრდა, როცა ომი წააგო და ჰალსტუხის ღეჭვა დაიწყო. მისი უკრაინაში წასვლა და სახურავებზე სირბილი პოლიტიკური მიცვალებულის ბოლო გაფართხალება იყო. **მიუხედავად ევროკავშირის და შარლ მიშელის ძალისხმევისა, მკდარი ველარ გააცოცხლეს!**

**— სამაგიეროდ, ახალი ბელადი ჰყავთ ნაციონალებს — ლევან ხაბეიშვილი!**

— **ხაბეიშვილის** პირველკაცად არჩევა **მკვდარზე „ვენოკია“.** მთელი ეს პროცესი ორი სიტყვით ასე შეიძლება შეფასდეს — **ოდესღაც იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, დღეს არის დაშლილების ქუჩა-ქუჩა წანწალი. ქატო იქა, ფქვილი აქა...**

მართლაც ყველას ამოუვიდა ყელში ცოცხალ-მკვდარი ნაცების პარტია. ნუთუ ამას ვერ ხვდებიან? **გიული ალასანია** რომ ამბობს, ცივილიზებული კაცობრიობა ჩემი შვილის გვერდით დგასო, ლობისტებს რომ ფულს გადაუხდი გაზეთში სტატიის გამოსაქვეყნებლად, ეს ცივილიზებული სამყაროს გვერდით დგომაა? **სააკაშვილზე დაწერილი ლობისტების შეკვეთილი სტატიები ისევე არ აინტერესებს ამერიკელ და ევროპელ ხალხს, როგორც გუშინდელი ამინდის პროგნოზი.**

**საბოლოოდ გაასულელებინეს სააკაშვილს თავი. მუცლის შესუნთქვებით, ლოყების შესრუტვებით, ქილების გადაყრით ხომ საერთოდ გაინადგურეს თავი. ძალიან უსუსურად დაგეგმილი პიარკამპანია ჰქონდათ.**

**— ყველაფერი მართლაც ფრიად სასაცილო იყო...**

— მოსამართლეს გადაწყვეტილების გამოცხადება დასრულებული არ ჰქონდა, რომ სააკაშვილმა თავი გაიშიფრა და „დემენციანმა“ ტუსაღმა კლინიკიდან ერთი თაბახი უსტარი გამოაგზავნა. თურმე, პუტინი, რომელმაც, ლამის ნახევარი უკრაინა გაწყვიტა, სააკაშვილს ერთი წელია, კლავს და ვერ მოკლა. ეს ხომ სასაცილოა?! გული მწყდება, ხალხი რომ არ მოდის მიტინგზეო. ამის შემდეგ როგორ გავა ხალხი მათ აქციებზე?! შეიძლება, **ასეთი პიარკამპანია დასავლეთში ვარგისი იყოს, მაგრამ ქართველები სხვანაირი ლოგიკური აზროვნების ხალხია და არ გამოუვიდათ სააკაშვილის საყოველთაო შეცოდომის აქცია.**

**— სამწუხაროდ, თავიანთი ტელევიზიების მეშვეობით სექტანტური აზროვნების ხალხზე ზემოქმედებენ და მერე ამ აბსურდს თვითონვე იჯერებენ...**

— სააკაშვილს არავინ კლავს. უბრალოდ, არ იღებს იმ საკვებს, რაც უნდა მიიღოს. ჩემი პრინციპული პოზიციაა, **როდესაც ადამიანს მაზოხისტური თვით-განადგურების პროგრამა აქვს ჩართული, სადი აზრი არ მიდის მის გონებამდე, დახმარების ხელს არ იღებს, სიტყვით ვერ აგებინებენ, ფსიქიატრი და მისი დანიშნული**

**პრეპარატები სჭირდება!**

**გიული ალასანია** რომ ახსენებს ხალხს 2003 წელს, სწორედ მას მინდა, ვუთხრა — ქალბატონო გიული, 2003 წლის შემდეგ ძალიან ბევრმა წყალმა ჩაიარა და ქართველმა ხალხმაც მეტ-ნაკლებად ჭუა ისწავლა. ამიტომაც, არ თანაგიგრძნობთ და ამიტომაც არ დაუშვა ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნა!

უფრო მეტიც, სააკაშვილი მაშინ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო, დღეს დაჩაჩანაკებულია. ქილებს ისვრის და ქალებს ხელებში ურტყამს არც ის ხიბლი აღარა აქვს, 2003 წელს რომ ჰქონდა და რითიც ძალიან ბევრი ადამიანი მოატყუა!

**— სააკაშვილი არის დაჩაჩანაკებულია?**

— დაჩაჩანაკებულია აბა, რა არის, როცა ამდენი კილოგრამი დაიკლო, თმას არ ივარცხნის, წარბები არ გაუკეთებია, ბრჩხილებს არ იჭრის... მისმა ადვოკატმა თქვა — ყარსო. ექსპერტებმა ბრძანეს — ჭკუასუსტია და ათი სიტყვიდან ერთს იმახსოვრებსო... დაჩაჩანაკება მეტი რა არის?! ამით არავის შევურაცხყოფ, ესეც ქართული სიტყვაა. ასეთი ადამიანი ლიდერად ვინმეს წარმოუდგენია? **სააკაშვილი დამთავრდა, ის უკვე წარსულია, მისმა დინებამ ჩაიარა. ვურჩევ, გაიაზროს ეს რეალობა!**



**„სააკაშვილი დამთავრდა, ის უკვე წარსულია – ვურჩევ, გაიაზროს ეს რეალობა!“**

**— პირდაპირ გკითხავთ — შეიწყალებს სალომე ზურაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს?**

— პირადად მე, ვერაფერი გავიგე ქალბატონი პრეზიდენტის — რომელი რუკით ხელმძღვანელობს და რომელ კომპასს უყურებს... მისი პროგნოზირება შეუძლებელია. ერთი რამ ვიცი — თუ სააკაშვილს შეიწყალებს, იმპიჩმენტი გარანტირებული ექნება!

ვფიქრობ, სასამართლომ აბსოლუტურად ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო იმ ადამიანის მიმართ, რომლის გარემოცვაც ხან ომით გვემუქრება, ხან უკრაინელი სამხედროების ჩამოსვლით, ხან რევოლუციით. **ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ გარეთ გამოსული სააკაშვილი მიამიტი კრავი იქნება და დანაშაულს არ ჩაიდენს?** დამიჯერეთ, სასამართლოს ნდობა დღეს ჩვენთან ბევრად მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში!

**— უკრაინელი სამხედროების ჩამოსვლა ახსენეთ. ფიქრობთ, ეს რეალურია?**

— დიახ, ჩვენ დღეს ვუყურებთ სამხედრო გადატრიალების მომზადების მცდელობას. უცხო ქვეყნიდან ჯარის შემოყვანაზე თავად ნაციონალები და მათი მხარდამჭერები საუბრობენ ღიად. **არისტოვიჩმაც** პირდაპირ განაცხადა — უკრაინაში 3-ათასკაციან ქართველების ლეგიონს მობილიზაციას გავუკეთებთ და საქართველოს დავაპყრობინებთო. **გუბაზ სანიკიძისთვის,** რომელიც ტელეეკრანიდან პატარა ბავშვივით გაიძახოდა, უკრაინაში მყოფი ქართველი მებრძოლები ჩამოვლენ და დედას გიტირებთო, მგონი, ჯერ დემენციის დიაგნოზი არ დაუსვამთ. ამას რომ იტყ-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



ჩალაგამოვლებული ნაციონალური ბოლშევიკების პროპაგანდა: **„უსამართლობა სამართლიანობაა, უკანონობა — კანონიერება, სისხლისღვრა — მშვიდობა და სამართალი არის ის, რასაც ვიტყვით ჩვენ!“** თქვენი შანტაჟით ბრძენ ქართველ ხალხს ვერ შეაშინებთ. **ძალაუფლების დაბრუნების მანიაკური წყურვილით განპირობებული მუქარის** განხორციელების მცდელობას კი კანონი და სამართალი შესაბამის ადგილს მიუჩენს.

„რეზონანსი“

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის“, წევრი, პარლამენტარი*



ჩვენი კოლეგები თუ პარლამენტს დატოვებენ, ცხადი გახდება მოსახლეობისთვის, რომ **ოპოზიცია ახლიდან არის შესაქმნელი.** ნაციონალური მოძრაობის წარმოდგენაა, რომ **გვყავს ბელადი, რომელმაც ჩვენ ნაცვლად ყველაფერი იცის,** უნდა გადავარჩინოთ და შემდეგ მოგვხედავს, ასე არ მოსულა.

„პირველი არხი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ომის პარტიის მიზანია **რადიკალიზაცია, ხელისუფლების ცვლილება,** რომელიც შეასრულებს დავალებებს **მეორე ფრონტთან** და მსგავს ანტიქართულ ქმედებებთან დაკავშირებით.

„პირველი არხი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



როცა ჩვენ ოპოზიციას ვუსმენთ, **4 განსაკუთრებული სიტყვა** აღიბეჭდება ხოლმე გონებაში — **„გადაგივლით“, „დაგამხობთ“, „დაგიჭერთ“, „დაგარბევთ“.**

„ინტერპრესნიუსი“

## მაია ნიკოლეიშვილი:

# დასავლეთი მალე იძულებული გახდება, რუსეთთან მოლაპარაკებაზე წავიდეს!

*დასაწყისი მე-5 გვერდზე*

ვის ჭკუათამყოფი ადამიანი, ე.ი. აქვს რაღაც ინფორმაცია. წესით, აქამდე უნდა დაეკითხათ!

**აუცილებლად უნდა გაარკვიოს სამართალდამცავმა ორგანოებმა, რა ინფორმაციას ფლობენ ნაცები და რის საფუძველზე იმუქრებიან.**

როცა ხალხის მხარდაჭერა არა აქვთ, წესიერი ლიდერი არ ჰყავთ, მაგრამ აქვთ ძალაუფლება და ჰყავთ პატრონი ოკეანის გაღმა, სხვა რა გზა რჩებათ, თუ არა სამხედრო ძალის გამოყენება! მათგან ყველაფერს შეიძლება ველოდოთ. დასაკარგი აღარაფერი აქვთ. **მადლობა ღმერთს, დღეს საქართველოს უშიშროება აღარ არის ჩამოკიდებული ამერიკის საელჩოზე. კელი დეგნანის დაზვერვა მხოლოდ ლომჯარია და კაპიტანი გიგაური. მჯერა, უშიშროების სამსახური მოვლენების განვითარების შესაბამისად იმოქმედებს და ქვეყნის არევის საშუალებას არავის მისცემს!**

**— მხოლოდ თქვენი მხრიდან არ ისმის ეს მოსაზრებები, არადა, საკმაოდ საჩოთირო თემაა, მითუმეტეს, როცა საქმე ჩვენს მოძმე ქვეყანას — უკრაინას ეხება...**

— სადღაა უკრაინა ქვეყანა?! ეს არის ტერიტორია, სადაც ამ გაგანია ომში, ნიადაგის ზედა ფენასაც კი ყიდიან. წელიწადში 500 მილიონი ბრუნვა აქვთ პროსტიტუციიდან, ადამიანის ორგანოებზე რასაც ამბობენ, აღარ გავიმეორებ... **უკრაინა აღარ არის ქვეყანა, მორჩა! დასავლეთმა ზელენსკის ხელით მიწასთან გაასწორა, თავად კი უკრაინელების სისხლის ხარჯზე მილიონერები გახდნენ.** 10 მილიონი უკრაინელი გადავიდა რუსეთში და უცხოელი ჟურნალისტების შეკითხვაზე — აპირებენ თუ არა უკან დაბრუნებას, კატეგორიულ უარს აცხადებენ, სადისტებს ეძახიან. რეალობა ესა არის და არა ის, რასაც ჩვენი ტელეარხები აშუქებენ, ვფიქრობ, დასავლეთი მალე იძულებული გახდება, რუსეთთან მოლაპარაკებაზე წავიდეს.

**— ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლების პოლიტიკა...**

— „ქართული ოცნება" ბოლო რამდენიმე წელია საოცარი ორიგინალობით გამოირჩევა. ჩვენს უახლოეს ისტორიაში ასეთი ტიპის სწორი მმართველობა არ მახსენდება. მაშინ, როცა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ამდენი ჭინკებია, საქართველო ომის გარეშე განაგრძობს ცხოვრებას. ყველა ნაღმი ისე გაიარა, რომ არცერთი არ აფეთქებია. გარდა ამისა, ხელისუფლების სწორი პოლიტიკის შედეგად სიმძიმის ცენტრმა სამხრეთ კავკასიაში გადმოინაცვლა, დავინახეთ რეალობა, რომ ჩვენ სამხრეთ კავკასიის ნაწილი ვართ! მჯერა, ამ გზას არ გადაუხვევს და ახალი ეკონომიკური პროექტები ჩვენი რეგიონის მშვიდობის ფარი გახდება!

*ესაუბრა*
*ნატო ფოცხიშვილი*







## „კელი დეგნანის დაზვერვა მხოლოდ ლომჯარია და კაპიტანი გიგაურია!“





***ადამიანის გვარი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას და ხშირად მიუთითებს არამხოლოდ მის ეთნიკურ კუთვნილებაზე, არამედ მის წარმომავლობაზეც — მაგალითად, პირველი პიროგოვები, ალბათ, მცხობელები იყვნენ, ღმერთმა თავად უბრძანა საპოჟნიკოვებს ჩექმების კერვა, ზელენსკები, დიდი ალბათობით, მწვანილს ყიდდნენ — შესაძლოა საქართველოდანაც, ხოლო რიბაკოვები მეთევზეები იყვნენ. გვარი „პუტინ" რუსული სიტყვიდან „путь" (გზა) მოდის, ხოლო ჩემი გვარის ძირი ხიდს ნიშნავს.***

**გზები და ხიდები,** მოგეხსენებათ, აახლოებს ხალხს და არ მესმის, აფხაზეთის ომიდან 30 წლის შემდეგ, რატომ არ არის აღდგენილი სარკინიგზო ხიდი ენგურზე? თუ ზემო ლარსის გავლით მოქმედებს პირდაპირი საავტომობილო მიმოსვლა რუსეთ-საქართველოს შორის და შენდება მეორე გზა, რომელიც აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტებს, თუკი ორიოდე წლის წინ ჩვენს ქვეყნებს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლა ფუნქციონირებდა და მალე კვლავ აღდგება, მაშინ **რატომ არის პარალიზებული დღემდე რუსეთ-საქართველოს პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა?** ეს ხომ თავისთავად კარგია, რომ სარკინიგზო გზა აფხაზეთზე გადის — განა აფხაზეთი საქართველო არ არის? განა ჩვენ აფხაზებთან შერიგების გზას არ ვეძებთ? განა მატარებლები ქართველებსა და აფხაზებს უფრო მეტად არ დააახლოებენ, ვიდრე ასი „შერიგების" მინისტრი? განა სარკინიგზო — სატვირთო და სამგზავრო — გადაზიდვები საჰაერო და საავტომობილოზე გაცილებით იაფი არაა?

დღეს, როცა საქართველოს ეკონომიკა აღმავლობას განიცდის რუსეთთან ექსპორტ-იმპორტის მოცულობის გაზრდის, რუსი ვიზიტორების შემოდინებისა და ინვესტიციების გამო, რკინიგზით ტვირთების მიმოქცევას შეუძლია უზარმაზარი მოგება მოგვიტანოს. შეუძლებელია საქართველოსა და სომხეთის ეკონომიკური ზარალის დათვლა, მათ შორის — საქართველოსა და სომხეთის რკინიგზაზე, აგერ უკვე ათეული წლებია ჩაკეტილი **ამიერკავკასიის რკინიგზის** გამო, რომელიც რუსეთს საქართველოსა და სომხეთთან აკავშირებს, ამიტომ **ამ გზის ქართული მონაკვეთის გახსნით სომხები, მათ შორის, აფხაზეთის სომხები, ქართველებზე არანაკლებ დაინტერესებული არიან.** როგორც ამბობენ, აფხაზეთის მონაკვეთს ენგურის რკინიგზის ხიდამდე რუსი სამხედრო რკინიგზელების მიერ ტექნიკური რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

**მაგრამ საქართველომ უნდა იჩქაროს, სანამ ზემო ლარსზე ბუნებრივი და სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო ნამდვილი ჰუმანიტარული კატასტროფა ხდება.** როდესაც ერთ წელიწადში ზემო ლარსისკენ მიმავალი ახალი კომფორტული გზა ექსპლუატაციაში შევა, რაც მგზავრობის დროს თითქმის ერთი საათით შეამცირებს, სომხეთისათვის საქართველოს გავლით რუსეთში სარკინიგზო მარშრუტის გახსნის ინტერესი გარკვეულწილად შემცირდება.

უკვე ვგრძნობ, რომ შემედავებიან — აქაოდა, აშშ და ევროკავშირი საქართველოს სანქციებით დაემუქრნენ, თუ რუსეთთან პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენას გაბედავსო და რა სარკინიგზო მიმოსვლის გახსნაზე შეიძლება საუბარი?!

ვუპასუხებ:

### – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დღეს აქვს შესაძლებლობა, დაითანხმოს აშშ და ევროკავშირი ამიერკავკასიის რკინიგზის გახსნაზე რუსეთიდან სომხეთამდე, თუ აამოქმედებს სომხეთს, ხოლო სომხეთი, თავის მხრივ, ძლიერ სომხურ ლობის აშშ-სა და საფრანგეთში.

სწორედ დღეს, როცა სომხეთი უახლოვდება დასავლეთს, მას უფლება აქვს, სთხოვოს აშშ-ს, დართოს ნება საქართველოს, რათა ასწიოს რკინიგზის შლაგბაუმი და მიიღოს ადლერიდან ერევანში მომავალი მატარებლები ფსოუს ხიდის აფხაზეთის მონაკვეთისა და ენგურის ხიდის გავლით.

ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში ვაშინგტონი არ დათანხმდებოდა ამაზე სომხებს, რადგან უშუალოდ საქართველოსა და რუსეთის დამაკავშირებელი რკინიგზის გახსნა ავტომატურად გამოიწვევდა **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დათბობას** — გაჩნდებოდა ახალი კონტაქტები და ერთობლივი ბიზნეს-პროექტები, რაც ხელს შეუწყობდა ქართულ-აფხაზურ შერიგებას, რაც ეწინააღმდეგება აშშ-ის გეგმებს რეგიონში, კერძოდ, საქართველოში. **მაგრამ სომხეთის საგარეო პოლიტიკის კურსის კორექციისა და რუსი სამშვიდობოების ევროპელი დამკვირვებლებით ჩანაცვლების განზრახვის გათვალისწინებით, აშშ-ს შეუძლია, გაიღოს „მოწყალება" და ნება დართოს საქართველოს პარლამენტს, მოახდინოს დიდი ხნის ხელმოწერილი შეთანხმების რატიფიცირება საბაჟო ადმინისტრირებისა და საქართველო-რუსეთის საზღვარზე საქონელბრუნვის მონიტორინგის შესახებ** (რა თქმა უნდა, სანქცირებული და სამხედრო ტვირთების აკრძალვის პირობით, თუმცა, სომხეთი არ შეერთებია დასავლეთის სანქციებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ). **აი ასე, სწორი დიპლო-**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ბიძინაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**მერაბიშვილი და კეზერაშვილი** ნაციონალურ მოძრაობას ნაბიჯ-ნაბიჯ შლიან.

„ახალი თაობა"

**ირინა თავაქარაშვილი**
*ანალიტიკოსი*



როცა საქმე დამსახურებებზე მიდგება, **სააკაშვილის ღვაწლი სახელმწიფოს მშენებლობაში სხვას ყველაფერს გადაწონის.** დღეს ამ ადამიანს ამისთვის აწამებენ.

„ახალი თაობა"

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



2012 წელს **არავის ნებაყოფლობით ხელისუფლება არ დაუთმია,** ქართველმა ხალხმა მოითხოვა, რომ ნაცმოძრაობა ერთხელ და სამუდამოდ ჩაჰბარებოდა წარსულს.

„იმედინიუსი"

**არმაზ ახვლედიანი**
*დამოუკიდებელი პარლამენტარი*



რაც ნაცმოძრაობაში ხდება, **„ქართული ოცნების" წისქვილზე ასხამს წყალს,** ამას ნაცმოძრაობის ხელმძღვანელები ვერ ხვდებიან? თუ ვერ ხვდებიან, მაშინ რა უნდათ პოლიტიკაში?

„ინტერპრესნიუსი"

**მეუფე ნიკოლოზი**
*ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მიტროპოლიტი*



ბატონ ბიძინაზე **მეც ვლოცულობ და მთელი ქვეყანაც,** იმიტომ, რომ პიროვნებაა, რომელმაც **ამ ქვეყანას დიდი ამაგი დასდო.**

„რეზონანსი"

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



ხალხის ის რაოდენობა, რაც ენმ-ს ქუჩაში გამოჰყავს, **აყალმაყალისთვის საკმარისი იქნება,** მაგრამ შედეგის მისაღწევად — არა.

„რეზონანსი"

არნო ხიდირბეგიშვილი

# რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა უნდა აღდგეს!





| | | |
|---|---|---|
| 14/13 | Скор. | Тбилиси—Москва |
| 168/167 | Пасс. | Тбилиси—Москва |

«Дружба» Ереван — Москва скор. № 56/55
Скор. № 60/59 Адлер — Москва: приб. в М
с № 88/87 Сухуми — Москва ‖ «Эльбру

**მატიის საშუალებით შეიძლება მიღწეულ იქნეს კონსენსუსი, სადაც საქართველოს, სომხეთის, რუსეთისა და ამერიკის ინტერესები გარკვეულ (ამ შემთხვევაში — სარკინიგზო) მონაკვეთში ერთმანეთს ემთხვევა.**

სხვა წინააღმდეგობებსაც ვხედავ. მაგალითად: **აქაოდა, რადიკალური ოპოზიცია საქართველოში დიდ საპროტესტო ტალღას აზვირთებს და საქართველოს ხელისუფლებას, რომელსაც ისედაც პრორუსულად ნათლავს, გამოაცხადებს მოღალატედ, რომელმაც აღიარა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.**

**ვპასუხობ:** არავითარი განსაკუთრებული პროტესტი არ არის მოსალოდნელი და, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ **საქართველოში „ოპოზიცია“ ბოლო დროს ეფემერული ცნებაა.** ამასთანავე, როცა თანხმობა მოვა ვაშინგტონიდან, ვერცერთი „რადიკალური ოპოზიციონერი“ ვერ გაბედავს კრინტის დაძვრას. იდეოლოგიური დასაბუთება ძალიან დამაჯერებელი იქნება: **აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ბრიფინგზე გამონაკლისს დაუშვებს და სიმართლეს იტყვის — რომ სარკინიგზო ტრანზიტი რუსეთიდან სომხეთში საქართველოს გავლით არ ნიშნავს საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, რადგან აფხაზეთი საქართველოა.** ამერიკელი ელჩის განცხადების გარეშეც — ერთი მიბრძანეთ — რანაირად წარმოადგენს „აფხაზეთის აღიარებას“ რუსეთის საბაჟოს მიერ დალუქული ტვირთები, რომლის ლუქსაც სომეხი ან ქართველი მებაჟეები ახსნიან, თუ ტვირთი საქართველოსთვის არის განკუთვნილი? იგივე ეხება მგზავრებსაც — რუსეთის მოქალაქეებსა თუ აფხაზეთის მაცხოვრებლებს: განა რუსებისათვის არ გვაქვს უვიზო რეჟიმი, განა აფხაზეთში მცხოვრებნი თავისუფლად არ გადმოდიან საქართველოს ტერიტორიაზე ენგურის საავტომობილო ხიდით ნათესავების მოსანახულებლად, სამკურნალოდ ან სულაც საყიდლებზე? **მაშ, რა დააშავა რკინიგზამ, ბატონებო?!**

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მომაკვდავი ოპოზიცია არაფერს გააპროტესტებს, არის ის, რომ **აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნა მისი ბელადის — ექსპრეზიდენტი სააკაშვილის ინიციატივაა!** რუსეთ-შვეიცარია-საქართველოს შეთანხმებას საბაჟო ადმინისტრირებისა და საქართველო-რუსეთის საზღვარზე საქონელბრუნვის მონიტორინგის შესახებ ხელი მოაწერა ქართულმა დელეგაციამ ჟენევაში ჯერ კიდევ 2011 წლის 9 ნოემბერს, საქართველოს ხმის სანაცვლოდ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე, რაც გამოცხადდა ქართული დიპლომატიის მიღწევად და სააკაშვილის ხელისუფლების დიდ გამარჯვებად! ამის შემდეგ კერძო შვეიცარიულ კომპანია SGS-ს უნდა დაეწყო რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში შემომავალი ტვირთების მონიტორინგი სამი საბაჟო დერეფნის, მათ შორის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გავლით, **მაგრამ, როდესაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ეს საკითხი წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ინსინუაციების საგნად იქცა — უკვე ყოფილმა მმართველმა პარტიამ — სააკაშვილის ნაცმოძრაობამ** — ფირფიტა გადააბრუნა და დაადანაშაულა ახალი ხელისუფლება **„კრემლის ინტერესების გატარებაში“.** ამავდროულად, ნაცმოძრაობიდან საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერმა, პარლამენტის მაშინდელმა ვიცე-სპიკერმა **სერგი ქაპანაძემ** განაცხადა, რომ აღნიშნული „შეთანხმება“ წინა ხელისუფლებამ მისი პირადი მონაწილეობით მოამზადა, ამიტომ ამაში დღევანდელი ხელისუფლების არავითარი დამსახურება არ არის...

სანამ ქართველი პარლამენტარები ყბედობდნენ და კამათობდნენ — **სად გადის საქართველოს საზღვარი** — როკის გვირაბთან და მდინარე ფსოუზე, როგორც ეს „შეთანხმებაშია“ მითითებული ან დე ფაქტო **გორსა და ზუგდიდთან,** „ქართული ოცნების“ მთავრობამ ეს საკითხი გადადო. არადა, **თუ ეს ვითარება მომავალშიც გაგრძელდება, საქართველომ შესაძლოა, დაკარგოს სატრანზიტო-სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია — თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მთავარი უპირატესობა.** საქმე ისაა, რომ, როდესაც ერევანსა და ბაქოს შორის ურთიერთობა კონსტრუქციულ კალაპოტში გადაინაცვლებს და მოხდება სატრანსპორტო მაგისტრალების განბლოკვა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, საავტომობილო და სარკინიგზო დერეფნების გახსნის შედეგად **(რომლებიც სომხეთის სიუნიქის რაიონის გავლით, აზერბაიჯანს — ნახჭევანის ავტონომიურ ოლქსა და თურქეთთან; სომხეთს — ირანსა და თურქეთთან; რუსეთს — სომხეთსა და თურქეთთან აკავშირებს),** საქართველო აღარ იქნება სომხეთის — რუსეთთან, აზერბაიჯანისა — თურქეთთან და ა.შ. დამაკავშირებელი ერთადერთი დერეფანი! არადა, ტრანზიტი, ტურიზმთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. **შედეგად, ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტების დატვირთვა შემცირდება, ნელ-ნელა დაცარიელდება საქართველოს სამხედრო გზა, რომლის კეთილმოსაწყობად აზიის განვითარების ბანკი სომხეთის გამო საქართველოსთვის 500 მილიონი დოლარის გამოყოფას აპირებდა. ამრიგად, საქართველო თანდათან დაკარგავს საკომუნიკაციო ლოგისტიკური ჰაბის ფუნქციას, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთს დასავლეთთან, ჩრდილოეთს — სამხრეთთან.** ამიტომ

**ეროვნულად ორიენტირებულმა საქართველოს მთავრობამ უნდა განბლოკოს ამიერკავკასიის რკინიგზა, ხოლო, სანამ მოსკოვისა და თბილისის მოსაზრებები საქართველოს საზღვრის თაობაზე არ ემთხვევა, დაე, აფხაზური მონაკვეთის მონიტორინგი შუამავალმა – კერძო შვეიცარიულმა კომპანია SGS-მ განახორციელოს, როგორც ამას 2011 წლის ზემოხსენებული „ხელშეკრულება“ ითვალისწინებს.**

ეს იქნება საქართველოს პირველი წვლილი **„კავკასიურ პლატფორმაში“ 3+3,** რადგან ქართული მარშრუტი არსებულ ალტერნატივასთან შედარებით ყველაზე კონკურენტუნარიანი და პერსპექტიულია, მითუმეტეს, რომ თბილისში ის კვეთს **ახალ სარკინიგზო მაგისტრალს „ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსი“,** რომელსაც ამგვარად რუსეთის სამხრეთით გასვლის შესაძლებლობა ექნება. **ამასობაში კი, სანამ ენგურზე აფეთქებული სარკინიგზო ხიდი ჟანგდება, საქართველო იმ ეკონომიკური სანქციების ქვეშაა, რომლებიც საკუთარ თავს თავად გამოუცხადა!**

ქართველ ხალხს მხოლოდ გაუხარდება სარკინიგზო მაგისტრალის გახსნა, აფხაზეთიც უწინდებურად აყვავდება, ხოლო ნდობის განმტკიცებასთან ერთად დროთა განმავლობაში უმაქნისი გახდება ხელოვნური საზღვრები ჩვენს შორის. **რაც შეეხება რუსეთს, ვფიქრობ, მოსკოვი მოიწონებს საქართველოს მთავრობის ამ ინიციატივას და ყველა შესაძლო დახმარებას გაუწევს მას, რადგან გვარი „პუტინი“ ტყუილუბრალოდ არ მომდინარეობს რუსული სიტყვიდან „გზა“.**

## კვირგვინოსნები



ავთანდილ ცინცაძე
თბილისის საკრებულოს დეპუტატი

**ქვეყნის 20 პროცენტს რუსეთს რომ ჩააბარებ** და ხუთკაციანი მიტინგებით „რუსო-რუსოს“ ძახილით სხვას უვარდები; **ჭკუას სხვებს რომ არიგებ** და ამ დროს **ხაბეიშვილს** პარტიის თავმჯდომარედ ირჩევ; **მტყუანის დე...აო რომ გეუბნებიან,** თან ზუსტად რომ იცი, მტყუანი ხარ და შეწუხებული სახით, მაგრამ სიამაყით ამბობ, მაგინესო, საგინებელი ხარ, აბა რა ხარ!

„იმედინიუსი“



შალვა ხაჭაპურიძე
ადვოკატი

რა უტყუარი მტკიცებულებებია, რომ **ბადრი ესებუა** ბანკზე თავდამსხმელი პირია?!

„იმედინიუსი“



სალომე სამადაშვილი
„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი

არ მაინტერესებს, რას ამბობს **ნათელაშვილი!** — ის წლები ატყუებდა ხალხს, რომ **პარლამენტი დატოვებული ჰქონდა და ხელფასს იღებდა.**

„ჯორჯიან თაიმსი“



ვახტანგ ძაბირაძე
ექსპერტი

**ხაბეიშვილს** ორი უმძიმესი ტვირთი აქვს აკიდებული: ერთი **ქეზერაშვილ-მერაბიშვილის** გავლენა, რომლის სიმძიმესაც პოლიტიკურად უნდა გაუძლოს და მეორე — პარტიის ინტელექტუალური დონე, რომელიც **ცისკარიშვილ-კირკიტაძის** ამარა რჩება.

„კვირის პალიტრა“



შოთა უტიაშვილი
„რონდელის ფონდის“ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

**„მეორე ფრონტის“** გახსნა რუსეთთან შეუძლებელია ისევე, როგორც ფრონტის გახსნა ირანთან ან ახალ ზელანდიასთან — **საქართველოს ომის საწარმოებლად არანაირი საშუალება არ გააჩნია.**

„პალიტრანიუსი“

# პატიმარ სააკაშვილის ცოლისნაცვალმა ნაცმოძრაობის პარტიულ დროშას „სისხლით დაფარული“ უწოდა!

***მას შემდეგ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ კლინიკა „ვივამედის“ ოროთახიან ლუქს-პალატაში წამოპლაკულ პატიმარ სააკაშვილს სასჯელის გადავადებაზე უარი უთხრა, მისმა უკრაინელმა ცოლმა თუ ცოლისნაცვალმა, რადას დეპუტატმა ლიზა იასკომ ნაციონალური მოძრაობის პარტიულ დროშას „სისხლით დაფარული“ უწოდა.***

თუ ფორმალობას დავიცავთ, მაშინ უნდა დავაზუსტოთ და ვთქვათ, რომ **იასკომ** სისხლიანი უწოდა დროშას, რომელიც 2004 წლამდე ნაციონალური მოძრაობის პარტიულ სიმბოლოს წარმოადგენდა, შემდეგ კი, **სააკაშვილის ახირებით, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ იქნა დაკანონებული და დღემდე ასეთად ითვლება.**

მოკლედ, ლიზა იასკომ 2023 წლის 6 თებერვალს თავის ფეისბუქ-გვერდზე ხუთჯვრიანი დროშის ფოტო განათავსა და ასეთი ტექსტი დაურთო:

> *„ამ დროშის გვერდით ვცხოვრობ, ამდენი ხანია, მაგრამ მხოლოდ ახლა მომეჩვენა ეს დროშა **სისხლიანი, სისხლით დაფარული.** ეს ადრე არ შემიმჩნევია. საქართველო, შენ წამართვი ახლობელი ადამიანი, მიხეილ სააკაშვილი. ყველაფერი წაიღე, რაც ჩვენი იყო. დასცინი და ანადგურებ. ახლა საბოლოოდ და შეუქცევადად ანადგურებ? მას სხვა რეალობა აქვს. სუსტადაა. ეს არ არის შენთვის საკმარისი?“*

როგორც ხედავთ, **სააკაშვილის უკრაინელი ცოლი თუ ცოლისნაცვალი** მისი **ქმრისა თუ ქმრისნაცვლის** უბედურებაში საქართველოს ადანაშაულებს!

დიახ, იასკო ბრალს სდებს არა ხელისუფლებას, არა პარტია „ქართულ ოცნებას“, არა პროკურატურას, არა სასამართლოს, არამედ — საქართველოს, მთელ ჩვენს ქვეყანას, მთელ ქართველ ერს!

**თურმე, საქართველოს წაურთმევია ლიზა იასკოსათვის ახლობელი ადამიანი — მიხეილ სააკაშვილი!**

**თურმე, რა სასტიკი და ულმობელია ეს საქართველო, რომელიც ლიზა იასკოს ახლობელ ადამიანს, მისი შვილის მამას ანადგურებს!**

**მერე რა,** რომ **ლიზა იასკოს** ახლობელი ადამიანი და მისი შვილის მამა საქართველოს 9 წლის განმავლობაში ანადგურებდა და სისხლით ღებავდა; **მერე რა,** რომ იგი სისხლის სამართლის დამნაშავეა და ათასობით უდანაშაულო ადამიანის ცოდვაში ყელამდეა ჩაფლული; **მერე რა,** რომ სასჯელს ციხის საკნის მაგივრად საუკეთესო კლინიკის ლუქს-პალატაში იხდის; **მერე რა, რომ...**

მაინც დამნაშავეა საქართველო **ლიზა იასკოს** წინაშე, მაინც ვალშია მასთან ქართველი ერი, რადგან საყვარელ მამაკაცთან სიამტკბილობის საშუალება წაართვა!

უფრო სწორად, **საქართველომ ლიზა იასკოს საყვარელ მამაკაცთან სიამტკბილობის საშუალება შეუზღუდა, თორემ წართმევით ნამდვილად არ წაურთმევია, რასაც მოწმობს ცოტა ხნის წინათ ბავშვის — ჟასმინ იასკოს დაბადება, რომელიც რუსთავის ციხის გრძელვადიანი პაემნების ოთახში ჩაისახა იასკოსა და სააკაშვილის სიამტკბილობის შედეგად.**

მაინც გულქვა და ცივსისხლიანია საქართველო!

მაინც საყვედურობს და ადანაშაულებს საქართველოს **ლიზა იასკო** — სააკაშვილი წამართვი და ყველაფერი წაიღე, რაც ჩვენი იყოო!

**ეჰ, საცოდავო საქართველო! თითქოს**







Ліза Ясько - Lisa Yasko

February 6 ·

Я жила і живу поряд з цим прапором стільки часу, але тільки зараз цей прапор мені здався з кров'ю... облитий кров'ю. Раніше я цього не бачила.

Грузія, ти забрала до себе близьку таку мені людину Михайла Саакашвілі. Ти забрала наше все. Знущалась і знищуєшся. А тепер знищуєш його.. остаточно і невідворотньо?

Він вже має іншу реальність. Слабкий. Тобі цього не достатньо?

Суд грузинський сьогодні відмовився перевести Михайла Саакашвілі на лікування закордон.

Справедливість, та вищі сили, допоможіть 🙏!🙏

## სწორედ მაგ სისხლიანი დროშის ფრიალით ჩააბარა რუსეთს ახალგორის რაიონი, კოდორის ხეობა და საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ლიზა იასკოს საყვარელმა მამაკაცმა!

## კვირგვინოსნები

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



თუ რამე იყო სისხლიანი ამ ქვეყანაში, ეს იყო **ლიზა იასკოს** ქმარი **მიხეილ სააკაშვილი** თავისი რეჟიმით! „იმედინიუსი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**მიხეილ სააკაშვილის** ბოლო მეუღლე, **არახამიას** ფრაქციის დეპუტატი **ლიზა იასკო** ზნედაცემულად აცხადებს, რომ თურმე **„საქართველოს დროშა სისხლიანია“.** საინტერესოა, „სისხლიანი პასპორტით“ **გიული ალასანიამ** კიევის ბინა რომ გადააფორმა იასკოს, მაშინ ვერ შენიშნა ქართულ დოკუმენტაციაზე „სისხლი“?

„საქართველოს რესპუბლიკა“

**პეტრე მამრაძე**
*პოლიტოლოგი*



ვიცი, ოჯახში მის მიმართ როგორი დამოკიდებულებაა — მკვეთრად უარყოფითი, სიძულვილით აღსავსე: **შეგვჭამა, ბავშვობიდან გაგვამწარაო!** ერთადერთი ბებია იყო, რომელიც მას უვლიდა. იგი ხედავდა, რომ მიშა ავადმყოფი იყო. მიშა მათთვის ყოველთვის დიდი ტვირთი იყო. **თემურ ალასანია** ამბობდა: **რა ვუყო ამ ჩემს გიჟ დისშვილს, რა ვქნა, რომელ წყალში გადავვარდეო!** როცა მიშა პოლიტიკაში აღზევდა და პრეზიდენტი გახდა, **30-მდე ობიექტი და უზარმაზარი მიწის ფართობი დედამისს გადასცა. ისინი მულტიმილიონერები არიან.**

„საერთო გაზეთი“

**მაია ნიკოლეიშვილი**
*სამედიცინო ექსპერტი*



მიკვირს, **სააკაშვილის** მსგავსი ადამიანი, უფრო სწორად მისი ოჯახი, საქართველოს როგორ მართავდა. **მიშა საკუთარი ოჯახის მძევალია.** გიული და თემურ ალასანიებმა მისგან პოლიტიკური პროექტი სახელწოდებით **„სააკაშვილი“** შექმნეს.

„საერთო გაზეთი“

# ლიზა იასკომ უნდა იცოდეს, რომ ნაცმოძრაობის პარტიული დროშა შეღებილია სააკაშვილის რეჟიმის მიერ ვერაგულად დახვრეტილი ერისკაცის – გურამ შარაძის სისხლით!



## უკრაინიდან ბრალმდებელნი და ლაფისმსროლელნი გაკლდა, ზელენსკების, არახამიების, გონჩარენკოების, დანილოვებისა და პოდოლიაკების რიცხვს სააკაშვილის ცოლი თუ ცოლისნაცვალი იასკოც რომ არ მიმატებოდა!

ვაი, საყვარელო სამშობლოვ, როგორ შემოგაჩვიეს თავიანთი სარსალა ენები **უკრაინის მალალჩინოსნებმა და დაბალჩინოსნებმა,** რამდენს გიბედავენ და რანაირად გეღრიჯებიან!

თუმცა, **ლიზა იასკო** ერთ რამეში მართალია — **დროშა, რომელსაც იგი სისხლით დაფარულს უწოდებს, ნამდვილად სისხლით არის დაფარული!**

**სააკაშვილის ცოლისნაცვალმა** ახლა შეამჩნია, თორემ ნაცმოძრაობის პარტიული დროშა ძალიან დიდი ხანია, სისხლშია ჩამბალი!

**ლიზა იასკომ უნდა იცოდეს,** რომ **ნაცმოძრაობის პარტიული დროშა** შეღებილია სააკაშვილის რეჟიმის მიერ ვერაგულად დახვრეტილი ერისკაცის — **გურამ შარაძის სისხლით,** რომელიც ხმალამოღებული იბრძოდა, რომ სააკაშვილს თავისი პარტიის დროშა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ არ გამოეცხადებინა!

**ლიზა იასკომ უნდა იცოდეს,** რომ ნაცმოძრაობის პარტიული დროშა შეღებილია **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, დათო ცინდელიანის, პაატა ქარდავას, როინ შავაძის, გია კრიალაშვილის, ნიკა კვინტრაძის, სულიკო ასათიანისა და სააკაშვილის რეჟიმის მიერ დახოცილი ბევრი სხვა უდანაშაულო ადამიანის სისხლით!**

**ლიზა იასკომ უნდა იცოდეს,** რომ **ნაცმოძრაობის პარტიული დროშა** შეღებილია იმ პატრიოტი ქართველების სისხლით, რომლებსაც 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმმა რეზინის ხელკეტებით თავები დაუხეთქა და რეზინის ტყვიებით მკერდები დაუფლითა!

**ლიზა იასკომ უნდა იცოდეს,** რომ ნაცმოძრაობის პარტიული დროშა დანამულია იმ ქართველი დედებისა და მამების, ცოლებისა და შვილების, დებისა და ძმების სისხლიანი ცრემლებით, რომლებიც ლიზა იასკოს საყვარელი მამაკაცის რეჟიმმა საუკუნო ძაძით შემოსა და ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაუქცია!

სწორედ მაგ **სისხლიანი დროშის** ქვეშ იყვნენ გაერთიანებული **მერაბ ქარდავა, კოხტა კოდუა, თემურ უზირია, ოლეგ ფაცაცია, ვიქტორ ყაჯაიშვილი, გაგა მკურნალიძე** და სხვა ნაცჯალათები, რომლებიც ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და კლავდნენ!

სწორედ მაგ **სისხლიანი დროშის** ფრიალით ჩააბარა რუსეთს ახალგორის რაიონი, კოდორის ხეობა და საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ლიზა იასკოს საყვარელმა მამაკაცმა!

ასე რომ, ლიზა იასკოს ტყუილად როდი ეჩვენება სისხლიანად სააკაშვილის პარტიული დროშა!

ეჩვენება კი არა, ნამდვილად სისხლიანია ეგ დროშა, საქართველოს სახელმწიფო დროშობა რომ დააბრალეს!

მართლა სისხლით არის დაფარული!

სამწუხაროდ, სააკაშვილის მერე მოსულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ახალი, უკეთესი საქართველოს შენება **ნაცმოძრაობის სისხლიანი დროშის ფონზე** დაეწყო, მაგრამ არ გაითვალისწინა სახარებისეული სიბრძნე, რომლის მიხედვითაც **ძველ ტიკებში ახალი ღვინის ჩასხმა არ შეიძლება!** *(არც არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში; თორემ დახეთქავს ახალი ღვინო ტიკებს, თვითონაც დაიქცევა და ტიკებიც უვარგისი გახდება. ლუკა, 5.37).*

დიახ, როგორც ძველი ტიკი ვერ გაუძლებს მასში ჩასხმულ ახალ ღვინოს და გასკდება, სწორედ ასე ვერ აშენდება ახალი და უკეთესი საქართველო, სანამ ქვეყნის თავზე სააკაშვილის პარტიული დროშა იფრიალებს!

დროშა, რომელზეც სისხლის შხეფებს უკვე **ლიზა იასკოც** კი ამჩნევს!

***ჯაბა ხუბუა***

## ვერ აშენდება ახალი და უკეთესი საქართველო, სანამ ქვეყნის თავზე სააკაშვილის პარტიული დროშა იფრიალებს!

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩიგურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



განაჩენის გამოცხადებისთანავე გავრცელდა **სააკაშვილის** განცხადება, ახალი გეგმა ჩართო, ბრძოლისა და შეტევის დროაო — **„სიკვდილი“ მომენტალურად გადაიფიქრა!**

„იმედინიუსი“

**ვახტანგ მაისაია**
*ანალიტიკოსი*



ისედაც არ იყო **სააკაშვილი** თავის „მოტორზე“, ისედაც შლეგი ადამიანი იყო, შეიძლება ახლა კომპლექსური დაავადების რეციდივები გამოუვლინდა. მოდით, ეს ტერმინი — **„სააკაშვილის ლენინიზაცია“** შემოვიღოთ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მამუკა გიორგაძე**
*სახალხო პარტიის თავმჯდომარე*



ნაციონალურ მოძრაობას **სააკაშვილი** და მისი მდგომარეობა ფეხებზე ჰკიდია. ამ ხალხმა დაინახა, რომ **სააკაშვილს** ამ მომენტში პირადული პრობლემები აქვს და მის მემკვიდრეობას შეესია. **ასე იქცევიან ტურები, როცა მათი ბელადი დაუძლურდება.**

„ახალი თაობა“

**მამუკა ტუსკაძე**
*უფლებადამცველი*



საწოლზე მიჯაჭვული კი არა, **სააკაშვილის** მმართველობის დროს **პატიმრებს საწოლზეც არ აწვენდნენ,** ფეხზე დამდგარი უნდა ყოფილიყო 24 საათი.

„ჯორჯიან თაიმსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



როგორც კი ქვეყანაში **პროტესტის რაღაც ნაპერწკალი გაიელვებს,** „მომაკვდავი“ **სააკაშვილი** თავს ისევ რევოლუციის ლიდერად წარმოიდგენს.

„GTMEDIA“

***მიჩნეულია, რომ მსოფლიოს უახლეს ისტორიაში ყველაზე საშინელი და დამანგრეველი მიწისძვრა 1960 წელს ჩილეში დაფიქსირდა, რომლის სიმძლავრეც 9,5 მაგნიტუდას აჭარბებდა.***



# სხვისი

ამ მიწისძვრამ, როგორც ლათინურ ამერიკაში, ისე მთელ მსოფლიოში გამოიწვია გლობალური პოლიტიკური რყევები. კერძოდ, ამ ამბიდან გაივლის, სულ რაღაც, 13 წელი და 1973 წლის 11 სექტემბერს ჩილეს პრეზიდენტის რეზიდენციაში, ლა მონედას სასახლეში, ამერიკული „ცერეუს“ აგენტ-ინსტრუქტორები და მათ მიერ გაქეზებული სისხლიანი **ავგუსტო პინოჩეტის** ჯალათები ღრიალითა და ზათქით შეიჭრებიან და გადაივლიან პრეზიდენტ **სალვადორ ალიენდეს** გვამზე, რომელსაც ხელში **ფიდელ კასტროს** მიერ ნაჩუქარი საბჭოთა წარმოების ავტომატი — „აკ-47“ ეჭირა. ცოტა ხანში გამარჯვებული პინოჩეტი რადიოთი გამოაცხადებს, რომ ალიენდემ თავი მოიკლა, არადა, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩილეს კანონიერი პრეზიდენტი სინამდვილეში ამერიკული „ცერეუს“ აგენტებმა დახვრიტეს ზუსტად ისე, როგორც ბოლივიის ჯუნგლებში **ერნესტო ჩე გევარას** გამოუყვანეს წირვა 1967 წლის ოქტომბერში.

**სხვათაშორის, სიმბოლურია ისიც, რომ ჩილეში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოწყობილი სისხლიანი სამხედრო გადატრიალებიდან ზუსტად 28 წლისთავზე, 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუიორკში ტერორისტულმა დაჯგუფება „ალ-ქაიდამ“ მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე მიტანილი იერიშის შედეგად ათასობით ადამიანი დახოცა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ტერორისტების მიერ გატაცებული ოთხი თვითმფრინავიდან ერთ-ერთი პენტაგონის შენობასაც კი შეეჯახა...**

რაც შეეხება 2023 წლის 6 თებერვალს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებსა და განსაკუთრებით ქალაქ გაზიანთეფში მომხდარ მიწისძვრას, რომლის სიმძლავრეც **7,8 მაგნიტუდა** იყო, ეს საშინელი კატაკლიზმა თურქეთისა და მსოფლიოს ისტორიაში აუცილებლად შევა, როგორც პროგნოზირებადი ჯოჯოხეთი, რომლის შესახებაც არამარტო გეოლოგები და პოლიტიკის ანალიტიკოსები, არამედ საქვეყნოდ აღიარებული დიდი საეკლესიო მამებიც კი ლაპარაკობდნენ!

დავიწყოთ გეოგრაფიით! **დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები ათეული წლებია, საუბრობენ იმის შესახებ, რომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციები, კერძოდ, თურქეთ-სირიის სასაზღვრო ზოლი წარმოადგენს ორი უზარმაზარი ტექტონიკური „ფილის“ — ანატოლიისა და არაბეთის შეერთების ადგილს.** საერთოდ, ცნობილია, რომ ტექტონიკური ფილების შეერთების ადგილი, როგორც წესი, მიწისძვრის მაღალი რისკით გამოირჩევა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში უბედურების მოლოდინს ერთი ათად ზრდიდა ის ფაქტორიც, რომ არაბეთის ტექტონიკური ფილა ანატოლიის ტექტონიკური ფილისკენ გადაადგილდებოდა... სწორედ ამ წინააღმდეგობრივმა გადაადგილებამ გამოიწვია დამანგრეველი მიწისძვრა.

**დიდ მიწისძვრებს ხშირად დიდი პოლიტიკური ძვრებიც მოსდევს ხოლმე! ამ მხრივ სომხეთში მომხდარი მიწისძვრა გამორჩეულია.** 1988 წლის 7 დეკემბერს, სომხეთის დროით 11:41 საათზე, ქალაქ სპიტაკში დაფიქსირდა **6,8-ბალიანი მიწისძვრა,** რასაც დაახლოებით 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. თითქმის განადგურდა ქალაქები — **სპიტაკი და ლენინაკანი,** ანუ დღევანდელი **გიუმრი,** რომლებიც ბოლომდე ახლაც კი არ არის აღდგენილი. ამ საშინელმა ნგრევამ საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის ლიკვიდაციას, რაც ზუსტად სამი წლისა და ერთი დღის შემდეგ გაფორმდა კიდეც, როცა 1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟსკაია პუშჩაში რუსეთის ფედერაციამ, უკრაინამ და ბელარუსმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ. ასე დაიშალა სტალინის მიერ შექმნილი მსოფლიოს უზარმაზარი და ძლევამოსილი იმპერია, რომლის ფართობიც 22,4 მილიონი კვადრატული კილომეტრი იყო და რომელსაც სიდიდით მხოლოდ დიდი ბრიტანეთისა და მონღოლების „ოქროს ურდოს“ იმპერიები სჯობნიდნენ.

ცნობისათვის, დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერია თავისი ზეობის ხანაში 33,7 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე იყო გადაჭიმული და დაახლოებით 700 ათასი კვადრატული კილომეტრით აღემატებოდა მეორე ადგილზე მყოფ მონღოლების მიერ შექმნილ ტერორისტულ სახელმწიფოს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, ფაქტობრივად, სტალინის მიერ შექმნილი თვალუწვდენელი „დერჟავის“ განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი რეალურად 22,4 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე ბევრად მეტ ფართობზე გახლდათ გავრცობილი.




დღემდე არ ცხრება ხმები იმის შესახებ, რომ **სპიტაკის მიწისძვრა** ხელოვნურად გამოიწვიეს, რათა იმხანად აბუნტებულ სომხეთში კრემლს ზესაიდუმლო ტექტონიკური იარაღის დამანგრეველი ძალა გამოეცადა. **ამით მოსკოვი შეეცადა მსოფლიოს დაშინება-დაშანტაჟებას და, ფაქტობრივად, იმის განცხადებას, რომ ქვეყნიერებას დაანგრევდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლას ცოცხალი თავით არ დაუშვებდა.** არსებობს სერიოზული ეჭვი იმის შესახებაც, რომ თურქეთში მომხდარი მიწისძვრაც იმ ენით აღუწერელ პოლიტიკურ დაპირისპირებასა და ცივ ომს უკავშირდებოდეს, რომელიც 2016 წლიდან მოყოლებული, თურქეთ-ამერიკის ურთიერთობაში თავს ვეღარ მალავს. **ის, რომ 2016 წლის ივლისში თურქეთში ჩაფლავებული პუტჩის უკან ამერიკის სპეცსამსახურები იდგნენ, მგონი, ბავშვმაც იცის. ერდოღანი მაშინ ბეწვზე გადარჩა, რადგან პუტინმა იხსნა, თორემ ზუსტად ისე დაასრულებდა სიცოცხლეს, როგორც ავღანეთის პრეზიდენტი მუჰამედ ნაჯიბულა 1996 წელს თალიბებმა დაასრულეს.**

მას შემდეგ, რაც უკრაინაში რუსეთსა და ამერიკას შორის ომი ატყდა, ამერიკის არაერთგზისი გაფრთხილების მიუხედავად, **ერდოღანი** პუტინს მაინც აწვდიდა იმ სტრატეგიულ მასალებს, რომელსაც რუსეთი სარაკეტო მშენებლობაში იყენებს და რომელთა მოპოვებაც დაწესებული სანქციების გამო უჭირს. ამას წინ უსწრებდა ნატოს წევრი თურქეთის მიერ პუტინისგან „ს-400“-ების შესყიდვა, რამაც ამერიკის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა გააცოფა. **თურქულ-ამერიკულ დაპირისპირებაში, სავარაუდოდ, ცეცხლზე ნავთის დასხმის ფუნქცია იტვირთა თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოილუმ, რომელმაც თურქეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ჯეფრი ფლეიკს სამთელქვეყნოდ მიმართა და განაცხადა —**

*„ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ელჩი, როგორც კი ჩვენთან ჩამოდის, ცდილობს, გაერკვეს, როგორ შეიძლება **თურქეთში გადატრიალების მოწყობა.** ეს თურქეთისთვის ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურებაა. ისინი აწყობენ ელჩების შეხვედრებს და ცდილობენ, სხვა ქვეყნების ელჩებს რჩევები მისცენ. ამავეს აკეთებენ ევროპის ქვეყნებში, ევროპას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოები მართავენ. **მივმართავ ელჩ ჯეფრი ფლეიკს: ვიცი, რომელ ჟურნალისტებთან გაქვთ ურთიერთობა. შორს თქვენი ბინძური ხელები თურქეთისგან. ყველაფერი ნათელია, მე კარგად ვიცი, რას აკეთებთ და რა ნაბიჯებს დგამთ!“***

ორი დღეც კი არ იყო ამ სკანდალური განცხადებიდან გასული, რომ ანატოლიის ძველთაძველი მიწა, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ტროელები, ხეთები, ურარტუელები, ფრიგიელები, ლიდიელები, აქემენიდური სპარსეთი, ბერძენი კოლონისტები, რომაელები, პართიელები და ბიზანტიელები, უცბად შეტორტმანდა და ათასობით სახლი და ათეულობით ქალაქი ნაცარტუტად იქცა. **ღმერთმა უწყის, რა მოხდა სინამდვილეში და ამ საშინელ მიწისძვრასთან კავშირშია თუ არა ის „ცივი ომი“, რომელიც თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის უკვე მრავალი წელია, მძვინვარებს, მაგრამ ერ-**

## მიწისძვრა, რომელმაც თურქეთი შეაზანზარა, ახლოსაც ვერ მივა იმ გეოპოლიტიკურ მიწისძვრასთან, როცა თურქებმა 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლი აიღეს!

### კვირგვინოსნები

**ალი ქაან ორბაი**
*საქართველოში თურქეთის ელჩი*



ჩვენ ერთად ძლიერი ვიქნებით, **მადლობა საქართველოს ხელისუფლებას, ქართველ ხალხს,** მადლობა, საქართველო!

„პირველი არხი“

**გიორგი ჯანჯღავა**
*თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი*



სეისმოლოგები ამტკიცებენ, რომ **1939 წლის მიწისძვრის შემდეგ,** როდესაც 7,8 დაფიქსირდა, **ასეთი მასშტაბის მიწისძვრა თურქეთში არ მომხდარა.**

„რეზონანსი“

**ანზორ საქანდელიძე**
*„მშენებელთა ლიგის“ ხელმძღვანელი*



**თბილისში 12-სართულიანზე მაღალი შენობები არ უნდა შენდებოდეს.** თურქეთში, სადაც მიწისძვრა მოხდა, **არც წყალქვეშა მდინარე გადიოდა, არც 32-სართულიანი შენობები იდგა, მაგრამ დაინგრა ქალაქი.** გამოდის, რომ ჩვენ ნაღმზე ვართ და დროულად უნდა მოვეგოთ გონს.

„რეზონანსი“

**რობერტ სტურუა**
*რეჟისორი*



ახლა, როცა მსოფლიო ასე აირია, გასაგები გახდა, რომ **პუტინიზმი მხოლოდ რუსების მიერ გავრცელებული ეპიდემია არ გახლავთ** — თურმე, ყველა ერში პუტინის აქოთებული ჭაობი თუხთუხებს — საქართველოში, მაგალითად, **ნაცპუტინისტები იბრძვიან პატიოსნებისა და სიკეთის ჩასაქოლად!**

„იმედინიუსი“

# მიწა, რომელიც თურქეთში იძრა, თურქ ხალხს არ ეკუთვნის, ეს მსოფლიოს მაღალკულტურული ერების — ხეთების, ურარტუელების, ფრიგიელების, ლიდიელების, ძველი სომხებისა და იმ საქართველოს მიწაა, რომლის წინააღმდეგაც 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ქემალ ათა-თურქი და ვლადიმერ ლენინი გარიგდნენ!

# მიწა

**თი რამის თქმა ახლავე შეიძლება — მიწისძვრა, რომელმაც თურქეთი შეაზანზარა, ახლოსაც ვერ მივა იმ გეოპოლიტიკურ მიწისძვრასთან, რომელიც 1453 წლის 29 მაისს მოხდა, როცა თურქებმა სულთან მეჰმედ მეორე ფათიჰის ხელმძღვანელობით ბიზანტიელთა ორთვიანი წინააღმდეგობა, როგორც იქნა, გატეხეს და 250-ათასიანი არმიით, ბოლოს და ბოლოს, აიღეს მსოფლიოს ქალაქთა ქალაქი კონსტანტინოპოლი,** რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა 324 წელს დააარსა, ხოლო 330 წლის 11 მაისს იმპერიის ახალ დედაქალაქად აკურთხა.

ისეთი თურქულენოვანი ხალხები, როგორებიც იყვნენ ჰუნები და ხაზარები, წინა აზიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრად უფრო ადრე გამოჩნდნენ, ვიდრე სელჩუკები. თურქ-სელჩუკები, რომელთა სამშობლოც დღევანდელი ალტაის მხარეა, საძოვრების ნაკლებობის გამო ჯერ ცენტრალურ აზიაში გადმობარგდნენ, ხოლო მე-9-მე-10 საუკუნეებში წინა აზიაშიც გამოჩნდნენ და საქართველოს, სომხეთსა და ბიზანტიას ნამდვილი გენოციდი მოუწყვეს! თურქი ვაჭრები და დესპანები თავიანთ მომავალ მოწინააღმდეგეებს მშვიდობიანი საუბრების დროს ხაზგასმით ეუბნებოდნენ, რომ ისინი იყვნენ უსამშობლო ხალხი და რომ „მათ დედამიწაზე ადგილი არა აქვთ!“

**სელჩუკის შვილიშვილებმა — თოღრულ-ბეგმა და ჩაღრი-ბეგმა** მოახერხეს და 1040 წელს დაიპყრეს ირანის უდიდესი პროვინცია **ხორასანი,** ხოლო 1055 წელს **თოღრულ-ბეგი** ბრძოლის გარეშე, დიდებით შევიდა ბაღდადში და სულთნის ტიტული მიიღო. სწორედ **თოღრულ-ბეგს** (1037-1063 წ.წ.) მიიჩნევენ თურქეთის მამა-დამფუძნებლად, რომელიც 1048 წელს კავკასიაში პირველად შემოიჭრა და სომხეთი გაანადგურა, ხოლო 1071 წელს მანაზკერტთან გამართულ ბრძოლაში **თოღრულ-ბეგის მემკვიდრე ალფ არსლანმა** (1063-1072 წ.წ.) ბიზანტიელები მოსპო და კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარი აიძულა, ანატოლია დაეთმო. **სწორედ 1071 წლის მანაზკერტის კატასტროფის შემდეგ გაუმეზობლდნენ თურქები ქართველებს. ასე დაიკავა მართლმადიდებელი და მაღალკულტურული ბიზანტიის ადგილი ველურმა უკულტურო, მაგრამ ბრძოლაში გამოცდილმა ურდომ, რომელმაც საბოლოოდ ბოლო მოუღო ბიზანტიის იმპერიას და რომლისგანაც თანამედროვე თურქეთი იშვა.**

მიწა, რომელიც თურქეთში იძრა, თურქ ხალხს არ ეკუთვნის, ეს მსოფლიოს მაღალკულტურული ერების — ხეთების, ურარტუელების, ფრიგიელების, ლიდიელების, ძველი სომხებისა და იმ საქართველოს მიწაა, რომლის წინააღმდეგაც 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ქემალ ათა-თურქი და ვლადიმერ ლენინი გარიგდნენ და ქართველების მიწები ერთმანეთში გაინაწილეს!

ათასჯერ გვითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ დიდი ქართველი მეცნიერისა და მწერლის **თეიმურაზ ბატონიშვილის** (1782-1846 წ.წ.) ცნობით, რომელიც **გიორგი მეთორმეტის** (1746-1800 წ.წ.) ვაჟი იყო, **მესხეთი, ანუ ზემო ქართლი გადაჭიმული იყო ტრაპიზონამდე და არზრუმამდე.** ეს გახლდათ უზარმაზარი ტერიტორია და მისი საერთო ფართობი დაახლოებით 34,2 ათასი კვადრატული კილომეტრი იყო. ამ ტერიტორიიდან დღევანდელ საქართველოს შემორჩა მხოლოდ დაახლოებით 9,4 ათასი კვადრატული კილომეტრი, დანარჩენი 24,8 ათასი კვადრატული კილომეტრი ოკუპანტ თურქეთს აქვს მიტაცებული!

**დღესდღეობით რუსეთს აფხაზეთის, ცხინვალისა და ქსნის ხეობის სახით დაპყრობილი აქვს ქართული მიწის 12,6 ათასი კვადრატული კილომეტრი, ხოლო თურქეთს — 24,8 ათასი კვადრატული კილომეტრი, ანუ ორჯერ მეტი! ყოველივე ამის შემდეგ რეგვენი ქართველები თურქეთს უწოდებენ „ისტორიულ მეგობარსა“ და „სტრატეგიულ პარტნიორს“, ხოლო რუსეთს — „მტერსა“ და „ოკუპანტს“!**

ზემოთ ვახსენეთ, რომ მიწისძვრა, რომელიც 6 თებერვალს თურქეთში მოხდა, პროგნოზირებადი იყო გეოლოგიურად, პოლიტიკურად და რელიგიურად!

ათონელი ბერი **ლირსი მამა პაისი,** რომელმაც საბჭოთა კავშირის დანგრევა იწინასწარმეტყველა, თურქეთის შესახებ აცხადებდა:

> ***„ის დაიშლება და სახელმწიფოები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ მსოფლიო პოლიტიკაში, კონსტანტინოპოლს ჩვენ გადმოგვცემენ. ისინი ამას გააკეთებენ არა იმიტომ, რომ ჩვენ ვუყვარვართ, არამედ იმიტომ, რომ ღმერთი მოაწყობს ყველაფერს ისე, რომ მათთვის მომგებიანი იქნება, რომ კონსტანტინოპოლი იყოს ბერძნული. იმოქმედებს სულიერი კანონები. თურქებს მოუწევთ პასუხისგება იმის გამო, რაც ჩაიდინეს, ისინი დაიღუპებიან, რადგანაც მათ ეს მიწა ღვთის კურთხევის გარეშე დაიკავეს. მათი აღსასრული უკვე ახლოს არის!“***

უფრო მეტიც, გაზიანთეფში მომხდარი მიწისძვრის ფონზე თურქი პროფესორი **ოკან ტუისუზი** პროგნოზირებს, რომ სტამბოლში ძლიერი მიწისძვრა გარდაუვალია:

> ***„— ჩვენ ვიცით სიმძლავრე და ვიცით ადგილი. მხოლოდ ზუსტად არ ვიცით, როდის მოხდება ეს, მაგრამ არსებობს 65-პროცენტიანი შანსი, რომ 2030 წელს ეს მოხდება სტამბოლში და მიწისძვრის სიმძლავრე 7,6 მაგნიტუდა იქნება. ეს ძალიან მაღალი ალბათობაა!“***

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **ოკან ტუისუზი** 2006 წლიდან იყო სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის ევრაზიის გეომეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევდა ამ პრობლემებს. **აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რაც 2022 წელს ჟურნალ „ქვაკუთხედის“ მე-12 ნომერში დაიბეჭდა.** საქმე ეხება 2020 წლის 1 ნოემბერს ბერძენი ხუცესის **გეოკონის** წინასწარმეტყველებას, სადაც მან თქვა, რომ თურქეთში იქნება დიდი მიწისძვრა და **თურქები გვამების აკრეფას ვერ მოასწრებენ!**

ცხადია, ჩვენი სურვილი და მიზანი გაჭირვებაში ჩავარდნილ და გაუბედურებულ ხალხზე ნიშნის მოგებით ლაპარაკი არ გახლავთ, მაგრამ **იმ სიმართლეს, რომელიც კაცობრიობის ისტორიამ დაბეჭდა, არ დავმალავთ და ყოველთვის ვიტყვით, რომ მიწა, რომელსაც დღეს „თურქეთი“ ჰქვია, სინამდვილეში სხვისია!**

ხოლო მიწა, რომ თავისას მოითხოვს, ამაზე ძველისძველი ქართული ხალხური ზღაპარი მოგვითხრობს, რომელიც არასოდეს ცდება!

***დიტო ჩუბინიძე***



**დღესდღეობით რუსეთს აფხაზეთის, ცხინვალისა და ქსნის ხეობის სახით დაპყრობილი აქვს ქართული მიწის 12,6 ათასი კვადრატული კილომეტრი, ხოლო თურქეთს — 24,8 ათასი კვადრატული კილომეტრი, ანუ ორჯერ მეტი! ყოველივე ამის შემდეგ რეგვენი ქართველები თურქეთს უწოდებენ „ისტორიულ მეგობარსა“ და „სტრატეგიულ პარტნიორს“, ხოლო რუსეთს — „მტერსა“ და „ოკუპანტს“!**

## კვირგვინოსნები

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



ქართველ საზოგადოებას მინდა, დავუსვა ღრმად სამსჯელო შეკითხვა — **ღირს კი ამდენი შფოთვა ამერიკელების მიერ კოლონიზებულ და მართულ ევროკავშირზე?** ღირს კი ამდენი შფოთვა ისეთ ევროკავშირზე, სადაც მედია სრულ პოლიტიკურ კონტროლსა და ცენზურას ექვემდებარება?

„იმედინიუსი“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი კავკასიის საკითხებში*



დასავლეთის პოლიტიკურ ელიტას ჭკუა რომ ჰქონდეს, **სამივე ქვეყანა ყოველგვარი პირობების გარეშე ევროკავშირში უნდა მიიღოს.** კანდიდატის სტატუსი კი არა, პირდაპირ წევრობა უნდა მოგვცენ.

„საერთო გაზეთი“

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა კატეგორიულად უარყოფს საქართველოს ომში ჩართვის სურვილს, ამავდროულად, **იმუქრება ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომით და სისხლისღვრით.** შემიძლია, ყველა დავარწმუნო, რომ ნებისმიერი ერთი არასწორი ნაბიჯი პასუხგაცემული იქნება კანონის ყველა მოთხოვნით.

„ახალი თაობა“

**ილია დარჩიაშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



ჩვენ გადავედით **გაწევრიანების საბოლოო ფაზაში.** ამ ბოლო ფაზის გავლის შემდეგ **საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი.**

„რეზონანსი“

# შალვა,

## სანამ სააკაშვილს სტრასბურგის სასამართლოში დაიცავ, ჰააგის სასამართლოდან მისი საწინააღმდეგო სარჩელი მაინც გამოიტანე!



შალვა ხაჭაპურიძე ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შენობის წინ, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემდეგ. 2010 წელი.

***— სააკაშვილს ციხიდან და საქართველოდან მაინც გაიყვან, ამას სტრასბურგის სასამართლოს მეშვეობით გავაკეთებ! — დაიქადნა ნაცბელადის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ მას შემდეგ, რაც მისი დაცვის ქვეშ მყოფს თბილისის საქალაქო სასამართლომ სასჯელის გადავადებაზე უარი უთხრა.***

**ხაჭაპურიძეს** ნამდვილად აქვს სტრასბურგში მდებარე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება.

მაგალითად, 2014 წელს სტრასბურგის სასამართლოში ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი მოიგო სააკაშვილის რეჟიმის ყოფილმა პატიმარმა, ციხეში სასტიკად ნაწამებმა **ირაკლი ხოხიაშვილმა,** რომლის ინტერესებსაც **შალვა ხაჭაპურიძე** იცავდა.

აი, რას აცხადებდა **ხაჭაპურიძე** მისი დაცვის ქვეშ მყოფი ხოხიაშვილის სასტიკი წამების შესახებ:

***„ციხის სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც გაკვეთეს გარდაცვლილი პატიმრის გვამი, მასზე პირქვე დააწვინეს გაშიშვლებული ხოხიაშვილი, შეუერთეს ელექტროსადენები და წყალსასხამდნენ. ასეთი წამება დაახლოებით ორი-სამი დღე გრძელდებოდა. ხოხიაშვილის წამებასთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩაყენებული იყო პარლამენტის თავმჯდომარე, პრეზიდენტი, სახალხო დამცველი და ყველა შესაბამისი ორგანო. არათუ რაიმე რეაგირება ხდებოდა ამ ფაქტზე, მაშინდელი ციხის საავადმყოფოს უფროსი ვაჟა ცხვედიანი, როგორც კი გაიგებდა, რომ ეს განცხადებები იგზავნებოდა, საკნიდან გამოჰყავდა ირაკლი ხოხიაშვილი და სცემდა მას“.***

ჰოდა, ხაჭაპურიძის დაცვის ქვეშ მყოფმა **ხოხიაშვილმა,** რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ციხის საავადმყოფოში პატიმრის გაკვეთილ გვამზე აბამდა და დენს უერთებდა, სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის შემდეგ სტრასბურგში საქმე მოიგო და ქართული სახელმწიფოსაგან ფულადი კომპენსაციაც მიიღო.

**სამაგიეროდ,**

**ხაჭაპურიძე ახლა სწორედ იმ სააკაშვილის ინტერესებს იცავს, რომლის რეჟიმიც იმავე ხაჭაპურიძის დაცვის ქვეშ მყოფ ხოხიაშვილს გაკვეთილ გვამზე აბამდა და დენს უერთებდა.**

**ხაჭაპურიძემ** ისიც მშვენივრად იცის, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი **ხოხიაშვილის** შემთხვევა გამონაკლისი არ ყოფილა და სააკაშვილის რეჟიმის მიერ პატიმრების მიმართ მსგავსი ანტიადამიანური მეთოდების გამოყენებას სისტემური ხასიათი ჰქონდა.

**ნაცრეჟიმის დროს პატიმრების წამებას სისტემური ხასიათი რომ ჰქონდა, შალვა ხაჭაპურიძე ამის შესახებ წერს მის მიერ 2010 წელს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელშიც:**

*„საპატიმრო ადგილებში და გამოძიების კონტროლქვეშ მოქცეულ დაწესებულებებში საქართველოს მოქალაქეთა წამებისა და ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენების შესახებ უზარმაზარი ფაქტობრივი მასალებია წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ყოველწლიურ ოფიციალურ ანგარიშებში, რომლებიც ინტერნეტ-საიტზეა განთავსებული და ამ დოკუმენტაციას სარჩელზე დანართის სახით წარმოგიდგენთ“.*

სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში შეტანილ სარჩელში **ხაჭაპურიძეს** პატიმრების წამების კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავს და წერს:

***„პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ იქნა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელიც დაკავების შემდეგ არაერთხელ სასტიკად აწამეს. პატიმართა წამების ფაქტები უამრავია, მაგალითად, სტრასბურგის სასამართლოში განსახილველად იმყოფება ი. ხოხიაშვილის, გ. გულდედავას, მ. ჯღამაძისა და სხვათა საქმეები“.***

## ძალიან საინტერესოა, რას იფიქრებენ და რას იტყვიან სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეები, როცა შეიტყობენ, რომ მათ წინაშე სააკაშვილის ინტერესებს იცავს ადვოკატი, რომელიც იმავე სააკაშვილის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში ჩიოდა?!

### კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



მე ვერაფერი გამტეხავს! **ახლა გაბრაზების და ბრძოლის დროა!** პუტინი დამპირდა, რომ ...ვერებით დამკიდებდა და, როგორც ჩანს, ამას თავისი მარიონეტული რუსი ოლიგარქის — **ბიძინა ივანიშვილის** მეშვეობით აკეთებს.

„რეზონანსი“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



ჩემი შვილის **ერთადერთი დანაშაული** ისაა, რომ 2008 წელს ქვეყანა რუსეთს არ ჩააბარა. როგორც ირკვევა, ეს არის მისი **ერთადერთი დანაშაული,** სხვა დანაშაული მე არ მახსენდება.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



გიული ალასანიამ ლობისტებს **მილიონ დოლარამდე გადაუხადა,** რათა მოგონილი **„ავადმყოფობა“** გაეყიდათ.

„იმედინიუსი“

**ვატო შაქარიშვილი**
*მოძრაობა „აი ის“ წევრი*



სააკაშვილი 300 000 დოლარს უხდის **ამერიკელ „ექიმებს“,** რომ მისთვის სასურველი დასკვნები დადონ. **ქართველ ექიმებს** კი, ვინც რეალურად მის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე ზრუნავს — აგინებს, დაჭერით ემუქრება და ფიზიკურად ძალადობს მათზე!

„იმედინიუსი“

**ნიკოლოზ სააკაშვილი**
*მიხეილ სააკაშვილის მამა*



ნაციონალურ მოძრაობას და ოპოზიციას მივმართავ, გაერთიანდით, მიიყვანეთ საქმე ბოლომდე — **მიშა ქართულ პოლიტიკაში ჩაბმას არ აპირებს,** მითხრა, ძალიან ნაწყენი ვარო!

„ინტერპრესნიუსი“




# გაცილებით რეალურია, რომ სააკაშვილი ქართულ ციხეში კიდევ 3-4 ბავშვის გაკეთებას მოასწრებს, ვიდრე ხაჭაპურიძე სტრასბურგში საქმეს მოიგებს მის გასათავისუფლებლად!

მოკლედ, 2010 წელს **შალვა ხაჭაპურიძე** ჰააგის სასამართლოში შეტანილ სარჩელში ამტკიცებდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი პატიმრებს სისტემურად აწამებდა, დღეს კი იმუქრება, რომ სისტემური წამების მთავარ შემოქმედ სააკაშვილს ციხიდან სტრასბურგის სასამართლოს მეშვეობით დაიხსნის!

ისე, **ძალიან საინტერესოა, რას იფიქრებენ და რას იტყვიან სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეები, როცა შეიტყობენ, რომ მათ წინაშე სააკაშვილის ინტერესებს იცავს ადვოკატი, რომელიც იმავე სააკაშვილის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში ჩიოდა?!**

აგრეთვე საინტერესოა, როგორ მიმართავს სტრასბურგის სასამართლოს სააკაშვილის ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე**, რომელიც 13 წლის წინათ სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელში, ჰააგის სასამართლოს მთავარ პროკურორ **ლუის მორენო ოკამპოს** ასე მიმართავდა:

***„პატივცემულო პროკურორო, თქვენ მიერ სუდანის პრეზიდენტის მიმართ დაპატიმრების ორდერის გაცემისა და სომხეთის ოპოზიციური პარტიების სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, საქართველოს ტერორის ქვეშ მყოფ საზოგადოებას და ოპოზიციურ პარტიებს გაუჩნდათ იმის იმედი, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მთავარი პროკურორის ოფისი დაინტერესდება საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებრივი საქმიანობით და აღძრავს სპეციალურ პროცედურებს ჭეშმარიტების დადგენისა და სინამდვილის ობიექტური განსჯისათვის“.***

ვაითუ, სტრასბურგის სასამართლოში სააკაშვილის **ადვოკატ ხაჭაპურიძეს** მის მიერ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში შეტანილი სარჩელი აუფრიალეს და ჰკითხეს — **მისტერ, თქვენ ხომ ის კაცი ბრძანდებით, რომელიც ახლა თქვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირს რამდენიმე წლის წინათ ადოლფ ჰიტლერს ადარებდით და ნეოფაშისტური რეჟიმის შექმნაში ადანაშაულებდით?**

და თუ ხაჭაპურიძე ამის უარყოფას შეეცდება, იქვე წაუკითხონ შესაბამისი ადგილი მის მიერ ჰააგის სასამართლოში შეტანილი სარჩელიდან:

***„პარლამენტის 2005 წლის საგაზაფხულო სესიაზე გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილია პარტიისა და ხელისუფლების ერთიანობა. პატივცემულ პროკურორს შევახსენებთ, რომ გერმანიის კანცლერმა ადოლფ ჰიტლერმა თავისი არჩევის პირველივე თვეებში გააკეთა ანალოგიური შინაარსის განცხადება და 1933 წლის დეკემბერში ბუნდესტაგს მიაღებინა კანონი „პარტიისა და ხელისუფლების ერთიანობის შესახებ“.*** *სწორედ ამ მომენტიდან ჩაეყარა საფუძველი ფაშისტური ხელისუფლების არსებობას, რომელსაც შემდგომ მთელი მსოფლიო ებრძოდა გაერთიანებული ძალებით.* ***ჰიტლერის შემდეგ, დემოკრატიის სახელით, პრეზიდენტ სააკაშვილამდე მსოფლიოში არავის გაუკეთებია ასეთი ხმამაღალი განცხადება, რომლის რეალური პოლიტიკური ხორცშესხმაც დღემდე გრძელდება“.***

## სხვათაშორის, შალვა ხაჭაპურიძე სააკაშვილის ადვოკატი ისე გახდა, რომ მის წინააღმდეგ ჰააგის

## სასამართლოში შეტანილი სარჩელი უკან არ გამოუტანია!

ვხედავთ, რომ არც ხაჭაპურიძე და არც მისი დაცვის ქვეშ მყოფი სააკაშვილი ამის გამო არავითარ უხერხულობას არ გრძნობენ, მაგრამ ქართველები ევროპელთა თვალში აფერისტებად, ფარისევლებად და ორსახა იანუსებად რომ არ გამოვჩნდეთ, ნაცბელადის ვექილს ვურჩევთ — **შალვა, სანამ სააკაშვილს სტრასბურგის სასამართლოში დაიცავ, ჰააგის სასამართლოდან მისი საწინააღმდეგო სარჩელი მაინც გამოიტანე!**

რაც შეეხება ხაჭაპურიძის ქადილს — სააკაშვილს ციხიდან სტრასბურგის სასამართლოს ძალით გავიყვანო, ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგვიძლია: გაცილებით რეალურია, რომ სააკაშვილი ქართულ ციხეში კიდევ 3-4 ბავშვის გაკეთებას მოასწრებს, ვიდრე ხაჭაპურიძე სტრასბურგში საქმეს მოიგებს მის გასათავისუფლებლად!

**ეს გაცილებით უფრო რთული იქნება, ვიდრე უკანალზე ბაწრით მობმული კალმისტრის ბოთლში მოთავსება!**

***ჯაბა ხუბუა***

## ვაითუ, სტრასბურგის სასამართლოში სააკაშვილის ადვოკატ ხაჭაპურიძეს მის მიერ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში შეტანილი სარჩელი აუფრიალეს და ჰკითხეს – მისტერ, თქვენ ხომ ის კაცი ბრძანდებით, რომელიც ახლა თქვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირს რამდენიმე წლის წინათ ადოლფ ჰიტლერს ადარებდით და ნეოფაშისტური რეჟიმის შექმნაში ადანაშაულებდით?

## კვირგვინოსნები

**ვალერი გელბახიანი**
*ადვოკატი*



მესამე პრეზიდენტს **არავის წყალობა და ბოძებული თავისუფლება არ სჭირდება,** რადგანაც მან საკუთარი ძალ-ღონე საქართველოს სახელმწიფოს შეალია და ჯანმრთელობაც ანაცვალა.

„ინტერპრესნიუსი“

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



**სააკაშვილის** ქონებას ყადაღა რატომ არ ადევს? პროკურატურას ორჯერ მე გადავუგზავნე მასალები. **სააკაშვილი და მისი ოჯახი ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ ეს ქონება კანონიერად აქვს მოპოვებული.**

„ახალი თაობა“

**კაკა კობახიძე**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



ვინც **სააკაშვილს** ეუბნება, ხალხმრავალი აქცია იქნება და არ დაიშლება, იტყუება, ვერ ვხედავ ამ განწყობას — **მან უნდა გაუძლოს, რადგან ეს არაა ის ხელისუფლება, რომელზედაც დასავლეთი მოქმედებს, გადალახეს ეგ ზღვარი.**

„პალიტრანიუსი“

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



ჩვენ არ გვაქვს უფლება, **ვაწამოთ და მოვკლათ** სააკაშვილი.

„რეზონანსი“

**გიორგი ბოტკოველი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნაციონალური მოძრაობა **პროტესტის ყველა ფორმას გამოიყენებს** იმისთვის, რომ, პირველ რიგში, **მიხეილ სააკაშვილი** იყოს თავისუფალი. ამ ქვეყანას სჭირდება **რევოლუციური ცვლილებები.**

„რეზონანსი“

***ამ სამიოდე კვირის წინათ, უფრო ზუსტად კი 2023 წლის 23 იანვარს, გეი-მანიფესტზე ხელმომწერმა სამმა უზინძურესმა ძალამ — „მრგვალი ბაღის“ ტურფამ ლიაკა ხოშტარიამ, ჭიჭე ვაშაძე „ალმაშენებელმა“ და სოფელ ატოცთან უკანალწამოხდილმა ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ რუსთაველის პროსპექტზე, ილიასა და აკაკის ძეგლის წინ, იქ, სადაც საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშინელი, სამარცხვინო და სისხლიანი სამხედრო-კრიმინალური დრამა გათამაშდა, „ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის“ დაწყების შესახებ გვამცნეს! შეკრებილებმა თუ შერეკილებმა, მათ შორის, გედეონ ფოფხაძე-რიხტერმა, გვამცნეს — 24 თებერვალს ამ ხელისუფლებას განაჩენს გამოვუტანთ და რიხტერის შკალით 9-ბალიან პოლიტიკურ მიწისძვრას მოვაწყობთო! გედეონის განცხადების შემდეგ თურქეთის იმპერიის ერთ-ერთი რეგიონი მიწასთან გასწორდა და ქართველებიც სერიოზულად შეაშფოთა.***





## „მხატვარ ვახტანგ ნოდიას, რომელმაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დახატა, 1993 წლის ოქტომბრის მიწურულს ხობში სწორედ აკია ბარბაქაძის სწრაფი რეაგირების კორპუსის მკვლელებმა მოაჭრეს მარჯვენა და მოკლეს!“

# დავით ჭაბუკაშვილი:

# სწორედ აკია ბარბაქაძე იყო ერთ-ერთი, ვინც ზვიად გამსახურდია სამეგრელოს ტყეში ალყაში მოაქცია!

*ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, იმ დღეს რუსთაველზე ბევრმა პოლიტიკურმა ვირთხამ, ნაძირალამ და ცხრა პარტიაზე გადამხტარმა მოიყარა თავი, მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება მაინც* ***შევარდნაძის ე.წ. „პოლკოვნიკმა“ აკია ბარბაქაძემ*** *მიიპყრო, რომელიც* ***მალხაზ მაჩალიკაშვილისა და ჭიჭე ვაშაძე „ალმაშენებლის“*** *შუაში „ურიადნიკივით“ გამოჭიმულიყო და თავზე კიტოვანის მიერ ნაჩუქარი „კიტოვანკა“ ჩამოეფხატა. სწორედ აკია ბარბაქაძეს არგეს თავყრილობის გახსნის პატივი, რომელმაც „ეროვნული მოძრაობის“ დაწყება აკურთხა და გვაუწყა —* ***საქართველოში პუტინისტური რეჟიმი უნდა შეიცვალოს და ჩვენს უკრაინელ ძმებს გვერდით დავუდგეთო!*** *მაინც ვინ არის* ***აკია ბარბაქაძე*** *და საიდან მოდის ეს ბნელით მოცული კაცი, რომელმაც რუსთაველზე ტყვია ისროლა, სამეგრელოში ხალხი ცოცხლად გაატყავა და როგორც აწ განსვენებული გენერალი* ***გუჯარ ყურაშვილი*** *ამტკიცებდა, აფხაზეთის ომში, ოჩამჩირის ფრონტზე, პოზიციები თვითნებურად მიატოვა?*

***ვფიქრობთ, ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჯარისკაცი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი და „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ქარელის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე დავით ჭაბუკაშვილი გაგვცემს, რომელსაც იმ ბნელ და სისხლიან წლებში აკია ბარბაქაძე და მისი მამა-ბიძები მოსაკლავად დასდევდნენ:***

— ვინ არის **აკია ბარბაქაძე?** აკია ბარბაქაძე ჩემი რაიონიდან — ქარელიდანაა. მისი მამაც და მამის ძმაც, ანუ ბიძა, მამალი პუტჩისტები იყვნენ. აკიას შავბნელი პუტჩისტური კარიერა უკავშირდება ბიძამისს, კრიმინალ **ტარიელ ბარბაქაძეს,** რომელიც კომუნისტების დროს კიტოვანთან ერთად დაიჭირეს და გაასამართლეს!

**— ბატონო დავით, რისთვის დაიჭირეს თენგიზ კიტოვანი და აკია ბარბაქაძის ბიძა ტარიელ ბარბაქაძე?**

— **თენგიზ კიტოვანმა** და აკია ბარბაქაძის ბიძამ **ტარიელ ბარბაქაძემ,** რომელიც მერე პუტჩისტებმა ქარელის გამგებლად დანიშნეს, სურამში ერთი ებრაელი დააყაჩაღეს და გააუთოეს! კიტოვანი და აკია ბარბაქაძის ბიძა „გუბერსკის“ ციხეში, №95 საკანში, ერთად ისხდნენ... მაშინ ამაზე მთელი რაიონი საუბრობდა. **ტარიელ ბარბაქაძეს** ოთხი კლასის განათლება ჰქონდა და ბებნისში მდებარე რესტორანში მზარეულად მუშაობდა. 1991 წლის ნოემბერში, როდესაც „მრგვალმა მაგიდამ“ არჩევნებში გაიმარჯვა, სანამ ახალი ხელისუფლება დაინიშნებოდა, მოგეხსენებათ, გარდამავალი საპარლამენტო მმართველობის პერიოდი გამოცხადდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა პირველად **აკია ბარბაქაძე,** რომელიც მოვიდა ჩვენთან და დაგვიწყო ჭკუის დარიგება. ეტყობა, თანამდებობა უნდოდა... აკიამ პირდაპირ გამოგვიცხადა — ახლა კარგი იქნება, თუ დემოკრატიას ვითამაშებთო! ამის პასუხად ცივად მივუგე — ჩვენ თამაშს არ ვაპირებთ, ხალხს ამისთვის არ უბრძოლია-მეთქი! მოკლედ, აკია მიხვდა, რომ ქარელში არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა და წამოვიდა თბილისში. როგორც ჩანს, ბიძამისმა, კიტოვანის დახმარებით, თბილისში ჩამოსულ აკია ბარბაქაძეს მალე სამსახური უშოვა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული დაზვერვის უშიშროების სამმართველოში შეგზავნა. სხვათაშორის, ამასწინათ აკიას ქარელის მერზე ჰკითხეს და „მთავარ არხზე“ თავი ისე გამოიყვანა, თითქოს ეროვნული დროშა ყველაზე უწინ მთელ საქართველოში სწორედ ქარელში აიწია და ისიც მისი დამსახურებით! — ჩვენ ვიცავდით რუსი ოკუპანტებისგან რაიონსო! — იკადრა აკიამ...

**— ტყუილი თქვა?**

— *(იცინის)* **აკია ბარბაქაძე** არის ჩვეულებრივი ცრუპენტელა, ქარელში არცერთ აქციაზე არასოდეს ყოფილა და არც რომელიმე სოფელი დაუცავს! არ მინდა, ჩემს თავზე ვილაპარაკო, მაგრამ ეროვნული მოძრაობა ქარელში ჩემი დაწყებულია და ეს იცის ყველამ! მე ვიყავი „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ქარელის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და, სხვათაშორის, რესპუბლიკაში ყველაზე უწინ სწორედ ქარელში ჩავშალეთ საბჭოთა არმიაში ქართველი ბიჭების გაწვევა... მაშინ, 1991 წლის მარტში, თავად ბატონი ზვიადი ჩამოვიდა ქარელში... ეს აქცია ერთპიროვნულად პირადად ჩემ მიერ გახლდათ ორგანიზებული და მე იქ ოკუპანტების წინააღმდეგ „მებრძოლი“ **აკია ბარბაქაძე** არსად მინახავს! აი, ეს ჩემი მოწმობაა, რომელიც ადასტურებს, რომ „ჰელსინკის კავშირის“ წევრი ვიყავი... ეს ერთადერთი ძვირფასი საჩუქარი შემომრჩა ზვიად გამსახურდიასგან, ცხონებულმა თავის კაბინეტში მომიწერა მოწმობაზე ხელი...

**— გადატრიალების დროს აკია ბარბაქაძე სად იყო და რას აკეთებდა?**

— სახელმწიფო გადატრიალება რომ დაიწყო, **აკია და ბიძამისი** თბილისის ზღვაზე კიტოვანს პროდუქტებით ამარაგებდნენ და ღორის ხორცს არ აკლებდნენ. გადატრიალების შემდეგ, 1992-93 წლებში, აკია ბარბაქაძე, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ კიტოვანის ხელდასხმით დაინიშნა დაზვერვის ბატალიონის უფროსად, ხოლო 1993 წელს — სწრაფი რეაგირების კორპუსის განყოფილების გამგედ. ეს ის სწრაფი რეაგირების კორპუსია, რომელიც ოკუპანტი რუსების მხარდამხარ, ბალტინის ჯართან ერთად აწიოკებდა და ძარცვავდა სამეგრელოს მოსახლეობას. მხატვარ **ვახტანგ ნოდიას,** რომელმაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დახატა, 1993 წლის ოქტომბრის მიწურულს ხობში სწორედ აკია ბარბაქაძის სწრაფი რეაგირების კორპუსის მკვლელებმა მოაჭრეს მარჯვენა და მოკლეს! **საქვეყნოდ ცნობილია, რომ ვახტანგ ნოდიას მკლავი ააწევინეს, ცოცხალ კაცს ავტომატის ხიშტ-დანით მარჯვენა მოაჭრეს და შემდეგ ტყვიებით დაცხრილეს**! როდესაც ეროვნული ხელისუფლება დაამხეს, აკიას კრიმინალი ბიძა **ტარიელ ბარბაქაძე,** რომელსაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ოთხი კლასის განათლება ჰქონდა, კიტოვანმა ქარელის გამგებლად დანიშნა. ტარიელ ბარბაქაძე მოვიდა თუ არა ქარელის გამგეობასთან, ავტომატის ჯერით შენობას ცეცხლი გაუხსნა, დალეწა მინები, გადაკეტა ყველა გზა, მატარებლებიც კი გააჩერა და მე და კიდევ ორ ლიდერს დასახვრეტად დაგვიწყო ძებნა.



აკია ბარბაქაძე



## „სახელმწიფო გადატრიალება რომ დაიწყო, აკია და ბიძამისი თბილისის ზღვაზე კიტოვანს პროდუქტებით ამარაგებდნენ და ღორის ხორცს არ აკლებდნენ!“

## „თენგიზ კიტოვანმა და აკია ბარბაქაძის ბიძამ ტარიელ ბარბაქაძემ, რომელიც მერე პუტჩისტებმა ქარელის გამგებლად დანიშნეს, სურამში ერთი ებრაელი დააყაჩაღეს და გააუთოეს!“

**— ის ორი ლიდერი ვინ იყო?**

— ესენი იყვნენ „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ წევრები, რომლებიც გადატრიალებამდე, 1991 წლის ზაფხულში, განუდგნენ მოღალატე **ვაჟა ადამიას** და ჩვენკენ გადმოვიდნენ. ერთი გახლდათ **რომან კაკაშვილი,** ხოლო მეორე — **გივი ბუზიაშვილი.** კრიმინალ **ტარიელ ბარბაქაძეს** კაბინეტში მაგიდაზე ორივე მხარეს ავტომატი ედო და რომ ჰკითხავდნენ — გამგებელი ხარ თუ კომენდანტიო? — პასუხობდა — „ორთივენიო!“ მოგვიანებით, ერთ-ერთმა ქარელელმა, რომელიც დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ კიტოვანთან და ტარიელ ბარბაქაძესთან ერთად ორთაჭალის ციხეში, № 95 საკანში, იჯდა, ასეთი რამ გაიხსენა — *„კაბინეტში ვზივართ მე და ტარიელი და თბილისიდან ბლომად საბუთები მივიღეთ. ბევრი ვატრიალეთ წაღმა-უკუღმა, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ, რადგან ამ საქმისა არაფერი ვიცოდით. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, გადაგვეყარა და დაგვეწვა, ვითომ არაფერი მიგვიღია!“* ვინ იცის, რა საბუთები დაწვეს მაშინ ამ ვირებმა?..

**— რატომ ამბობენ, აკია ბარბაქაძე „მეპონჩიკეაო“?**

— გაგებული მაქვს, კარგი მეხინკლეაო, მაგრამ ეროვნულ მოძრაობას თუ წაეტანებოდა, არ მეგონა! თუმცა, რატომაც არა, აკიასა და მის თანაგუნდელებს ნამუსი აქვთ თუ სინდისი?! აკია ბარბაქაძემ და მთელმა მისმა ოჯახმა დიდი როლი ითამაშეს ახალფეხადგმული დამოუკიდებელი საქართველოს დამხობაში. **სწორედ აკია ბარბაქაძე იყო ერთ-ერთი, ვინც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სამეგრელოს ტყეში ალყაში მოაქცია!** დიახ, ეს ნაძირალა იყო მაშინ იმ ძალოვნებში, რომლებიც შესული იყვნენ სამეგრელოში, ძარცვავდნენ ხალხს და დევნიდნენ პრეზიდენტს! აი, ამის მქმნელი და ჩამდენი კაცი დღეს ურცხვად გამოდის, ჩვენი ქვეყნის სხვა გამყიდველებთან ერთად ილიასა და აკაკის ძეგლთან დგება და რიხიანად გვამცნობს — ერონულ მოძრაობას ვიწყებთო!..

აკია ბარბაქაძევ, ჩვენ ვნახეთ შენი „ეროვნული მოძრაობა“, როცა გენერალ **სუფიან ბეპაევის** ტანკზე ამხედრებული უტევდი და ამხობდი ეროვნულ მთავრობას და კონსტიტუციურ სახელმწიფო წყობილებას! შენ მაშინ დაზვერვის ბატალიონის უფროსი იყავი და შევარდნაძის ყველა მოღალატურ ბრძანებას პიონერივით ასრულებდი. ყველა ეროვნულმა იცის, თუ რა ღალატს სჩადიოდი აფხაზეთში!

**— აკია ბარბაქაძე და მისთანები 24 თებერვალს ეროვნულ მოძრაობას იწყებენ — აქაოდა, რუსეთის ოკუპაცია უნდა გავაპროტესტოთო!**

— განა 1993 წელს აკიამ და მისთანა ნაძირალებმა რუსი ადმირალის **ედუარდ ბალტინის** ტანკებითა და ჯარისკაცებით არ მოახდინეს დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია? ძალიან „უცნაური“ მეხსიერება ჰქონია აკიას — 1921 წლის ოკუპაცია ახსოვს და თვითონ რომ ღებულობდა მონაწილეობას ქვეყნის ოკუპაციაში, ის არ ახსოვს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

# გენერალისიმუსი

№11 (179) ★ 2023 წლის 13 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან

*მკითხველი, ბუნებრივია, მიხვდა, რომ წინამდებარე პუბლიკაციის სათაური — „ფასები წყვეტენ ყველაფერს!“ — ალუზიურად ეხმიანება სტალინის ცნობილ ფრაზას — „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ აღსანიშნავია, რომ ბელადის ეს ფრაზა, რომელიც მან 1935 წლის 4 მაისს სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას წარმოთქვა, თავის მხრივ, პერიფრაზი იყო საბჭოთა კავშირში მანამდე გავრცელებული ლოზუნგისა — „ტექნიკა წყვეტს ყველაფერს!“*

# ფასები წყვეტენ ყველაფერს!

სტალინს, რომელიც ამბობდა, რომ **კადრები წყვეტენ ყველაფერს,** არასოდეს უთქვამს, რომ **ფასებიც წყვეტენ ყველაფერს,** მაგრამ მან ამის შესახებ ძალიან კარგად იცოდა და ამიტომაც იყო, რომ **1948 წლიდან მოყოლებული 1953 წლამდე, ვიდრე გარდაიცვლებოდა, ყოველი წლის 1 მარტს გამოსცემდა დადგენილებას საბჭოთა კავშირში მასობრივი მოხმარების საქონელზე საცალო ფასების შემცირების შესახებ.**

ეს მოვლენა, რომელიც ისტორიაში **„სტალინური ფასდაკლების“** სახელით დარჩა, საბჭოთა ხალხებისათვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უზარმაზარი შვება იყო. **მიუხედავად იმისა, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვებული, მაგრამ გვარიანად გათანგული იმპერიის ეკონომიკას, რომელსაც საუკეთესო დღეები არ ედგა, პროდუქტებზე ფასების კლება დამატებით ტვირთად დააწვებოდა, ბელადმა მაინც აუცილებლად მიიჩნია, საყოველთაო მოხმარების საქონელი ყოველწლიურად 10, 15, 20 და ზოგჯერ 50 პროცენტითაც გაეიაფებინა, რათა ხალხისათვის სიღატაკესა და შიმშილს არ დაერია ხელი.**

მასობრივი მოხმარების საქონელზე ფასების კლების გამო საბჭოთა კავშირის ბიუჯეტმა თავიდან მართლაც განიცადა 86 მილიარდი რუბლის დანაკლისი, მაგრამ ეს ზარალი შრომის ნაყოფიერების ამაღლების, წარმოების გაზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე იქნა აღმოფხვრილი.

მოკლედ, ბელადმა იცოდა, რომ **კადრებიც და ფასებიც ყველაფერს წყვეტენ!**

ამიტომაც, **1948 წლიდან 1953 წლის ჩათვლით,** საბჭოთა კავშირში გაზაფხული და სტალინური ფასდაკლება ერთდროულად, ერთსა და იმავე დღეს დგებოდა!

**1948 წლიდან 1953 წლის ჩათვლით,** ყოველ 1 მარტს, საბჭოთა ხალხები ერთდროულად შეჰხაროდნენ გაზაფხულის მობრძანებასა და საყოველთაო მოხმარების საქონელზე ფასების კლებას!

დღეს კაპიტალისტურ და გლობალისტურ მსოფლიოში, რომლის ნაწილი საქართველოც გახლავთ, მსგავსი რამ, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, რადგან მოქალაქის სოციალურ ყოფას **ლამის ღმერთად გამოცხადებული საბაზრო ეკონომიკა** განსაზღვრავს, ბაზრის უჩინარი ხელი მართავს და დამღასავით აზის ლოზუნგი — **„ბაზარი არეგულირებს!“**

**„ბაზარი არეგულირებს!“ – ეს ვითომდა აქსიომატური ჭეშმარიტება განსაკუთრებით სარფიანი თავშესაფარი გახდა მუცელღმერთა ქართველი იმპორტიორებისათვის, რომლებიც საყოველთაო მოხმარების პროდუქტებზე ფასებს ყოველკვირეულად ზრდიან და მოსახლეობას არამხოლოდ ჯიბეში, არამედ სულშიც უძვრებიან.**

როცა კოლოსალური ფასებით წელში გაწყვეტილი მოქალაქე იკითხავს — **კი მაგრამ, ლარის კურსი ხომ გამყარდა და პროდუქტებზე ფასები რატომღა იზრდება?** — მას მაშინვე საიდანღაც ჩამოსძახებენ — **„ბაზარი არეგულირებს!“**

როცა პროდუქტების რეგულარული გაძვირებით შეღონებული მოქალაქე დაიჩივლებს — **თუ ქვეყანას ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აქვს, პირველადი მოხმარების საქონელზე ფასები რატომ არ იკლებს?** — მაშინვე შუბლში დააჭედებენ ჯადოსნურ წინადა-

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*


*Постановление Совета Министров СССР и ЦК ВКП(б)*

**О новом снижении с 1 марта 1949 года государственных розничных цен на товары массового потребления**

1. При проведении в конце 1947 года денежной реформы и отмены карточной системы были отменены высокие цены коммерческой торговли и введены единые сниженные государственные розничные цены на товары массового потребления. Это был первый этап снижения цен на товары массового потребления. Снижение цен

Совет Министров Союза ССР и ЦК ВКП(б) постановляют:

а) Снизить с 1 марта 1949 года государственные розничные цены на товары массового потребления в среднем в следующих размерах:

| | |
|---|---|
| Хлеб и мука | на 10% |
| Крупа и макароны | на 10% |
| Зернофураж, жмыхи, отруби, комбико[illegible] | [illegible] 20% |
| Сено | [illegible] |
| Печенье, пряники и торты | [illegible] |
| Мясо, колбасные изделия и ко[illegible] | [illegible] |
| Рыба и рыботовары | [illegible] |
| Масло сливочное и топле[illegible] | [illegible]0% |
| Сыр и брынза | [illegible] 20% |
| Соль | на 30% |
| Водка | на 28% |
| Ликероводочные [illegible] | на 25% |
| Вина виноград[illegible] ...пло-довоягодн[illegible] | на 15% |
| Табачные [illegible] | на 10% |
| Парфюм[illegible] | на 20% |
| Пальт[illegible] ...ие швейные [illegible] | на 12% |
| [illegible] другие швейные ...аней | на 15% |
| [illegible] | на 10% |
| [illegible] | на 10% |
| [illegible] ...шив одежды в ателье и [illegible] | на 20% |
| [illegible] | на 15% |
| Чу[illegible] ...и шелковые | на 15% |
| Обув[illegible] ...стильная и комбинированная | на 15% |
| Головные уборы (шляпы и кепи) | на 15% |
| Текстильная галантерея | на 15% |
| Строчевышивальные изделия | на 15% |
| Меха | на 10% |
| Металлическая галантерея и галантерея из кожзаменителей | на 10% |
| Изделия из пластмассы и целлулоида (посуда, бытовые приборы и другие) | на 20% |
| Металлохозяйственные товары (ножи, вилки, | |



## სტალინური ფასდაკლების შუქზე ★


**О новом снижении государственных розничных цен на продовольственные и промышленные товары**

*Постановление Совета Министров СССР и ЦК ВКП(б)*

| | |
|---|---|
| Тюлька вял[illegible] | на 25,0% |
| Прочая р[illegible] | на 10,0% |
| Черная [illegible] | на 20,0% |
| Крас[illegible] | на 25,0% |
| Кон[illegible] | на [illegible] |
| [illegible] ...ном соку, печень [illegible] ...бала в масле | на 35,0% |
| | на 30,0% |

**[illegible] МОЛОЧНЫЕ ПРОДУКТЫ**

| | |
|---|---|
| [illegible] | на 30,0% |
| ...рский, голландский, ...ыры | на 20,0% |
| ...за | на 15,0% |
| ...ивки, простокваша и кефир | на 10,0% |
| ...сырки и прочая молочно-кислая | на 20,0% |
| ...нсервы, сухое молоко | на 15,0% |
| [illegible] | на 20,0% |
| ...стительное | на 10,0% |
| ...ин | на 35,0% |
| ...пищевое топленое и сырое | на 18,0% |
| ...аминизированный медицинский жир | на 25,0% |
| ...оусы майонез и другие | на 20,0% |

**ЯЙЦА И ЯИЧНЫЙ ПОРОШОК**

| | |
|---|---|
| Яйца | на 15,0% |
| Яичный порошок | на 20,0% |

**САХАР, КОНДИТЕРСКИЕ И БАКАЛЕЙНЫЕ ТОВАРЫ**

| | |
|---|---|
| Сахар-песок | на 15,0% |
| Сахар-рафинад | на 12,0% |
| Монпансье леденцовое и карамель открытая | на 8,0% |
| Карамель завернутая без какаопродуктов | на 11,0% |
| Мягкие конфеты, шоколад, мармелад, печенье и пряники | на 20,0% |
| Какао, пирожные и торты | на 16,7% |

**ХЛЕБ И БУЛОЧ[illegible]**



# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაქსუებული იმპორტიორებისა და ხელოვნურად გაზრდილი ფასების წინააღმდეგ



# ფასები წყვეტენ ყველაფერს!




სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრ...

## სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმ... ფასების ახალი შემცირების შესახ...

1950 წელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში მიღწეულ ახალ წარმატებებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შესაძლებლად მიიჩნიეს განხორციელდეს მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი — სათვალავით მეოთხე — შემცირება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

1. 1951 წლის 1 მარტიდან სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები შემცირდეს შემდეგი ოდენობით:

**პური და პურ-ფუნთუშის ნაწარმი**

| | |
|---|---|
| ჭვავისა და ხორბლის პური, ფუნთუში, ბლითი და პურ-ფუნთუშის სხვა ნაწარმი | 15% |
| საფუარი | 15% |

**ფქვილი**

| | |
|---|---|
| ჭვავის, ხორბლის, სიმინდისა და სხვა ფქვილი | 15% |

**ბურღული, ბრინჯი და პარკოსანი კულტურები**

| | |
|---|---|
| ფეტვი, წიწიბურას ბურღული, სხვა ბურღული, ბრინჯი, მუხუდო და სხვა პარკოსანი კულტურები | 15% |

**მაკარონის ნაწარმი და საკვები კონცენტრატები**

მაკარონი, ვერმიშელი, ლაპშა ...

**მარცვლ...**

ჭვავი, ხორბალი, შვრია, ქერი ... ქატო, კოპტონი, კომბინირებ...

**ხორცი და ხ...**

ძროხის ხორცი, ცხვრის ხორცი ... ძეხვი, სოსისი, სარდელი, ... რეული და ქონ-პარკოსანთა ... სხვა პროდუქტები

**თევზ...**

თევზი, ქაშაყი, თევზის კონსერ... წითელი და სხვა თევზეულ...

**ცხიმეული, ყველი და რძის პროდუქტები**

| | |
|---|---|
| ერბო-კარაქი | 15% |
| საჭმელი ქონი, მარგარინი, ყველი, რძე და რძის პროდუქტები, რძის კონსერვი, ნაყინი და კვერცხი | 10% |

**საკონდიტრო და საბაკალეო საქონელი**

| | |
|---|---|
| ნამცხვარი, ვაფლი, კექსი, შაქარლამა, ტორტი, თაფლის პური და ფქვილის სხვა საკონდიტრო ნაწარმი | 10% |

ჩაი, ყავა, ჩაის, ყავისა და კაკაო...

მარილი

**არაყი, ლიქიო...**

**ხორცის ...**

| | |
|---|---|
| ხოის კვერი, კეფირი, ხოისი, ხოის საბლინე ფქვილი და ხოის სხვა პროდუქტები | 15% |

**საპონი და პარფიუმერია-კოსმეტიკის საქონელი**

| | |
|---|---|
| სარეცხი და ხელის საპონი | 15% |
| სუნამო, ოდეკოლონი, სახოურპროზე კოლოფები და პარფიუმერია-კოსმეტიკის სხვა საქონელი | 10% |

**თამბაქოს ნაწარმი**

| | |
|---|---|
| პაპიროსი, სიგარეტი და თამბაქო | 10% |
| წეკო | 15% |

**ავეჯი**

| | |
|---|---|
| მაგიდა, სკამი, კარადა, დივანი და სხვა სახის ავეჯი | 20% |
| ლითონის საწოლი | 20% |

**ფაიფურის, ქაშანურისა და მინის ნაწარმი**

| | |
|---|---|
| ფაიფურის, ქაშანურის ჭურჭელი და მხატვრული ნაწარმი | 20% |
| ჩაის ჭიქა და შუშის სხვა ჭურჭელი, საოჯახო ჭურჭელი, ლამპის ნაწარმი და სარკე | 10% |

**ასანთი, ნავთი და ბენზინი**

| | |
|---|---|
| ასანთი | 20% |
| ნავთი | 22% |
| | 20% |

**...ოციკლი და საათი**

| | |
|---|---|
| | 10% |
| ...იგო ნაწილები | 10% |
| | 10% |
| | 20% |
| | 20% |
| | 10% |
| | 10% |
| | 10% |
| შპალერი | 10% |

**საოჯახო საქონელი**

| | |
|---|---|
| საკერავი მანქანა და მისი სათადარიგო ნაწილები | 10% |
| ხორცის საკეპი მანქანა, ნავთქურა, კეროგაზი, პრიმუსი და მათი სათადარიგო ნაწილები | 10% |
| დანის ნაწარმი | 10% |
| კლიტე | 10% |

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ხუთშაბათი, 1 მარტი, 1951 წ. № 50 (8904). ფასი 20 კაპ.

## სტალინური ფასდაკლების შუქზე ★




**იქნებ სტალინის გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ საქართველოში კვლავ დადგეს 1 მარტი, როცა მოსახლეობა არამხოლოდ გაზაფხულის მოსვლით, არამედ მასობრივი მოხმარების საქონელზე ფასების შემცირებითაც გაიხარებს!**

### *დასაწყისი პირველ გვერდზე*

დღებას — **„ფასებს ბაზარი არეგულირებს!“**

ასეთ დროს სხვა გამოსავალი აღარ რჩება, გარდა იმისა, რომ თავგასული იმპორტიორების ალაგმვა სახელმწიფომ იკისროს და „თავისუფალი ბაზრის“ თავაწყვეტილი სრბოლა ცოტათი მაინც შეანელოს, რა თქმა უნდა, სამართლებრივი და საკანონმდებლო ბერკეტების გამოყენებით.

ჰოდა, სწორედ ამის იმედს აჩენს **საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება,** რომელიც მან გასულ კვირას მთავრობის სხდომაზე გააკეთა და რომელსაც, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სრულად გთავაზობთ:

*„რამდენიმე კვირის წინ კონკურენციის სააგენტოს სურსათის პროდუქტების ფასების შესწავლა დავავალე. მაინტერესებდა, რამდენად კეთილსინდისიერად, რამდენად გონივრული მარჟებით, მოგებით მუშაობენ იმპორტიორები. შედეგი მართლაც შემაშფოთებელი იყო და მინდა, საზოგადოებას წარვუდგინო პირველადი მოკვლევის ანალიზის შედეგი.* ***ძირითადი პროდუქტები დავამუშავებინე და აღმოჩნდა, რომ, მაგალითად, ბრინჯის, წიწიბურას, მაკარონის, შაქრის, მარილის, ზეთის საბითუმო ფასებზე ნამატია 60-70 და 50-80 პროცენტი. ამას ემატება შემდეგ უკვე საცალო ფასებზე ნამატი, მინიმუმ, 25-30 პროცენტი და გამოდის, რომ ჯამში ჩვენს ხალხს თითქმის 100-პროცენტიანი ფასნამატით უწევს ამ პროდუქტების შეძენა, რაც, რა თქმა უნდა, კატეგორიულად მიუღებელია!*** *ასეთი დამოკიდებულება იმპორტიორების მხრიდან არის აბსოლუტურად მიუღებელი“.*

პრემიერ-მინისტრმა არამხოლოდ ფასებთან დაკავშირებით შექმნილ მძიმე ვითარებაზე, არამედ პრობლემის გადაჭრის გზებზეც ისაუბრა და განაცხადა:

***„მინდა, დღეს მთავრობის სხდომაზე ეკონომიკის მინისტრს და ფინანსთა მინისტრს, ასევე სოფლის მეურნეობის მინისტრს დავავალო, რომ სასწრაფოდ გავაკეთოთ სამუშაო ჯგუფი, დაიბაროთ ყველა მსხვილი იმპორტიორი, დაიწყოთ ამ საკითხების შესწავლა და მოვახდინოთ შესაბამისი რეაგირება. მე, მაქსიმუმ, ორ კვირაში უნდა მქონდეს მაგიდაზე სრული სურათი შესაბამისი გამოსავლის გზებით“.***

პრემიერ ღარიბაშვილის ასეთმა მკაცრმა და პრინციპულმა განცხადებამ მოსახლეობის დიდ ნაწილს იმედი ჩაუსახა, რომ უახლოეს მომავალში სასიკეთო ძვრები დაიწყება და საყოველთაო მოხმარების პროდუქტებზე გაქსუებული იმპორტიორების მიერ ხელოვნურად გაზრდილი ფასები ოდნავ მაინც ჩაიფუშება.

**როცა ირაკლი ღარიბაშვილმა პირობა დადო, რომ ქართული ფარმაცევტული ბაზრის მონოპოლისტებს სახელმწიფოებრივ მუჯლუგუნს წაჰკრავდა და მოსახლეობას საშუალებას გაუჩენდა, მთელი რიგი მედიკამენტები არსებულზე გაცილებით დაბალ ფასად შეეძინა, მან ეს პირობა შეასრულა.** კერძოდ, გასული წლის იანვარში პრემიერ-მინისტრმა გამოსცა დადგენილება, რომლის ძალითაც საქართველოში მედიკამენტების იმპორტიორი ქვეყნების სიას თურქეთის რესპუბლიკა დაემატა, შედეგად კი მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა, ასობით დასახელების მაღალხარისხიანი მედიკამენტი, ბაზარზე მანამდე არსებულ ფასთან შედარებით, საგრძნობლად იაფად შეიძინოს.

გარდა ამისა, **მთავრობისა და პირადად პრემიერ ღარიბაშვილის ძალისხმევით,** 2023 წლის 15 თებერვლიდან საქართველოში 1300 დასახელების მედიკამენტზე ზღვრული ფასი დაწესდება და აფთიაქებს უფლება აღარ ექნებათ, წამლები სახელმწიფოს მიერ დადგენილ ღირებულებაზე ძვირად გაყიდონ.

**ყოველივე ეს აჩენს პოზიტიურ მოლოდინს, რომ პრემიერ ღარიბაშვილის მორიგი სიტყვაც მორიგ საქმედ იქცევა და საქართველოში საყოველთაო მოხმარების საქონელზე ფასების კლება დაიწყება.**

იქნებ სტალინის გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ საქართველოში კვლავ დადგეს 1 მარტი, როცა მოსახლეობა არამხოლოდ გაზაფხულის მოსვლით, არამედ მასობრივი მოხმარების საქონელზე ფასების შემცირებითაც გაიხარებს!

**ცხადია, საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აღარ არის და არც ირაკლი ღარიბაშვილია იოსებ სტალინი, მაგრამ,**

**როგორც მაშინ, ახლაც ფასები წყვეტენ ყველაფერს და ეს, სტალინის მსგავსად, ღარიბაშვილმაც კარგად იცის!**

*ჯაბა ხუბუა*

# სტალინის უკანასკნელი თებერვალი

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ მიზეზებზე საუბარს აგრძელებს, რომლებმაც 1953 წლის მარტსა და ივნისში საბჭოთა კავშირი კატასტროფის პირას მიიყვანა:***

— სტალინის მიერ გადატანილი სამი ინსულტის ფონზე დღის წესრიგში ავტომატურად დადგა მისი მემკვიდრის საკითხი. ბელადის ჯანმრთელობას რომ სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა, ამის შესახებ მხოლოდ პოლიტბიურომ და უახლოესმა გარემოცვამ იცოდნენ, თორემ ეს საკითხი არათუ რიგითი მოქალაქეებისათვის, არამედ ცეკას მდივნებისთვისაც კი გასაიდუმლოებული იყო. აქედან გამომდინარე, სტალინის გარდაცვალება ასეული მილიონობით ადამიანისთვის იყო აშკარა მოულოდნელობა და შოკი.

**— პირველი ვინ ჩაება სტალინის ტახტის დასაკავებლად გამართულ სისხლიან და დაუნდობელ დოღში?**

— ეს პიროვნება იყო სტალინის მიერ შერისხული და გვერდზე გაჩოჩებული **გიორგი მალენკოვი,** რომელიც **„ავიატორთა საქმის“** გამო ბელადმა მოიძულა და ახლოს აღარ იკარებდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ 1949 წლის **„ლენინგრადის საქმე“**, ასევე **„ექიმთა საქმე“,** რომელიც 1952 წლის ბოლოს აგორდა, 1951 წელს შეთითხნილი **„მეგრელთა საქმე“** და **„ებრაელთა საქმე“** მომზადებული და ინსცენირებული იყო **გიორგი მალენკოვის** მიერ. „ლენინგრადის საქმის“ გარდა, ყველა ზემოხსენებული საქმე გახლდათ ყურით მოთრეული და ემსახურებოდა სტალინის იზოლაციაში მოქცევას!

**— „ებრაელთა საქმეც“ ყურით მოთრეული იყო?**

— ე.წ. **„ებრაელთა საქმე“** არ იყო შეთითხნილი, თუმცა, მას თავისი პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა და დაკავშირებული გახლდათ იმ ღალატთან, რომელმაც ისრაელის სახელმწიფოსა და სტალინის ურთიერთობაში იჩინა თავი! **გიორგი მალენკოვი,** რომელიც პარტიის „მოსკოვურ დაჯგუფებას“ წარმოადგენდა, 1949 წელს ადვილად გაუსწორდა „ლენინგრადის დაჯგუფებას“, რადგან ამ მართლაცდა დანაშაულებრივ კლანს პოლიტბიუროში მხოლოდ ერთი წევრი ჰყავდა — **ნიკოლაი ვოზნესენსკი.** მალენკოვმა **ანდრეი ჟდანოვის** გარდაცვალებასა და „ექიმთა საქმეს“ გადააყოლა უშიშროების მინისტრი **ვიქტორ აბაკუმოვი,** ხოლო მის ადგილზე მოყვანილი **სემიონ იგნატიევი,** რომელსაც უშიშროების სისტემაში ერთი დღეც არ ჰქონდა ნამუშევარი, ფაქტობრივად, მალენკოვის ხელისბიჭი იყო. გარდა ამისა, მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ — **1951-1952 წლებში უშიშროების სამინისტროს ჩამოაშორეს ძალიან ბევრი ისეთი ფუნქცია, რომელიც საგარეო საქმეთა და სხვა სამინისტროებზე გადაანაწილეს.**

**— კი მაგრამ, მალენკოვის თვითნებობას სტალინი ვერ აკონტროლებდა?**

— ვერ აკონტროლებდა, რადგან ამდენი ინსულტების შემდეგ ბელადს ხანგრძლივი რეაბილიტაცია სჭირდებოდა. სწორედ ამ მიზეზით და კიდევ იმის გამო, რომ **ლავრენტი ბერია,** სტალინის ბრძანებით, სტრატეგიულ პროექტებზე იყო გადართული, **გიორგი მალენკოვმა** დრო იხელთა და **ვიქტორ აბაკუმოვის** ჩამოსაშორებლად „კაგებეს“ პოდპოლკოვნიკ **მიხეილ რიუმინს** დააწერინა ე.წ. „დანოსი“, რომელიც ცეკაში გაგზავნეს. **რიუმინი** ხელს ადებდა „კაგებეს“ მინისტრ **აბაკუმოვს,** რომ მკვლელ ექიმებს, რომელთა ძირითადი ნაწილიც ეთნიკური ებრაელი იყო, ხელს აფარებდა და ყურად არ იღებდა ჟდანოვის პირადი ექიმის, კარდიოლოგ **ლიდია ტიმოშუკის** ცნობებს იმის შესახებ, რომ **ამხანაგი ჟდანოვი** ინფარქტით გარდაიცვალა, რაც სხვა ექიმებმა დამალეს, რადგან პაციენტს არასწორად მკურნალობდნენ.

პოდპოლკოვნიკ **მიხეილ რიუმინის** „დანოსით“ პოლიტბიუროსა და ცეკაში მაშინვე დაინტერესდნენ. ვიქტორ აბაკუმოვი 1951 წლის ივლისში ისე მოხსნეს, აწამეს და 1954 წლის დეკემბერში ლენინგრადის მახლობლად ისე დახვრიტეს, რომ თავის წინააღმდეგ ვერაფერი დააცდენინეს. ის ვაჟკაცურად იდგა და არაფერი უღიარებია იმ სისულელის შესახებ, თითქოსდა ებრაელ ექიმებს უმაღლესი პარტიული და პოლიტიკური ხელმძღვანელების მოკვლა სურდათ.

**— ამის შემდეგ გიორგი მალენკოვმა რა ჩაიდინა?**

— როგორც კი ვიქტორ აბაკუმოვი გზიდან ჩამოიშორა, მის ადგილზე **სემიონ იგნატიევი** დასვა, ხოლო მოადგილედ სწორედ „დანოსჩიკი“ პოდპოლკოვნიკი **მიხეილ რიუმინი** დაუნიშნა. **ამის შემდეგ გიორგი მალენკოვმა ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ გაილაშქრა და 1951 წლის მიწურულს იოსებ სტალინს ე.წ. „მეგრელთა საქმე“ „შეუგდო“...** კერძოდ, სტალინის ქალიშვილის — **სვეტლანასა** და ვაჟის — **ვასილის** სახელზე მოსკოვში გაიგზავნა ნაცრისფერი ბარათები, რომლებშიც ანონიმი ავტორი წერდა, რომ საქართველოს



## სვიმონ მასხარაშვილი:

## „ექიმთა საქმე“ და „მეგრელთა საქმე“ იყო ფილიგრანული სიზუსტით დაგეგმილი და ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის შედეგებიც როგორც სტალინის, ისე ბერიასთვის დამანგრეველი აღმოჩნდა!

## ისტორიკოსის თვალით ★

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მეგრული წარმოშობის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელები, პროკურორები, ძალოვანი უწყებების მუშაკები თუ სხვა ცნობილი პირები ჩაფლულნი იყვნენ გაუგონარ კორუფციაში.

**— ლავრენტი ბერია ვერ მიხვდა, რომ „მეგრელთა საქმე“ სწორედ მის გასანეიტრალებლად იყო „შემოგდებული?**

— ცხადია, ბერია ამას მიხვდა და ამ საქმისგან თავი მაქსიმალურად შორს დაიჭირა, მაგრამ აქ მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი, რომელმაც სულ მალე როგორც პირადად დიდი სტალინის, ისე ლავრენტი ბერიას უმძიმესი პოლიტიკური და ცხოვრებისეული განაჩენი განაპირობა. საქმე ის გახლავთ, რომ სტალინი „მეგრელთა საქმით“ დაინტერესდა, მაგრამ იმისათვის, რომ ბალანსი დაეცვა, ადგა და საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ მინისტრის **სემიონ იგნატიევის** პირველ მოადგილედ ლავრენტი ბერიას უახლოესი მეგობარი **სერგო გოგლიძე** დანიშნა. მოგეხსენებათ, გოგლიძე ის კაცი იყო, რომელმაც 1937-1938 წლებში ბერია გადაარჩინა. ასევე სტალინს ხელი არ უხლია იმ ხალხისთვის, რომლებიც ლავრენტი ბერიამ საქართველოდან მოსკოვში გადმოიყვანა. ესენი იყვნენ: **ბალჩო და ამაიაკ ქობულოვები, მიხეილ გვიშიანი, აქვსენტი ცანავა** და სხვები... ამ ხალხის სია საკმაოდ გრძელია, ანუ ამ ხალხს ხელი არ ახლეს და უშიშროებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში უმაღლეს თანამდებობებზე ადგილები შეუნარჩუნეს, მაგრამ არც „მეგრელთა საქმეს“ გააკარეს.

პარალელურად საქართველოში მეგრული გვარის მქონე ხელმძღვანელ მუშაკებს, ანუ ძირითადად ბერიას კადრებს დაერივნენ... ბუნებრივია, ამის გამო ლავრენტი ბერია თავის ძველ მეგობრებზე ნაწყენი იყო. სწორედ ეს წყენა გახლდათ იმის მთავარი მიზეზი, რომ 1953 წლის მარტში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა ლავრენტი ბერიამ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა და „კაგებეს“ გაერთიანებული სამინისტრო ჩაიბარა, ის უკვე აღარ ენდობოდა არც **სერგო გოგლიძეს,** არც **აქვსენტი ცანავას,** არც **ძმებ ქობულოვებსა** და არც **მიხეილ გვიშიანს!** ეს ბიჭები, რომლებთან ერთადაც ბერია ათეული წლების განმავლობაში მოდიოდა და ყველა მისი უახლოესი მეგობარი იყო, ლავრენტიმ თვალის დახამხამებაში დაკარგა. ამის გამო ბერიას დასაყრდენი გამოეცალა და მეგობრების, ძმაკაცების გარეშე დარჩა.

**— 1953 წლის მარტში, როცა ბერია ორი უზარმაზარი და ყოვლისშემძლე ძალოვანი უწყების — უშიშროებისა და შინაგან საქმეთა გაერთიანებული მინისტრი გახდა, მან თავის მოადგილედ ვსევოლოდ მერკულოვი დანიშნა, ხოლო ძველი მეგობარი სერგო გოგლიძე გაათავისუფლა.**

— ხაზგასმით ვაცხადებ — ბერიამ გაათავისუფლა დაპატიმრებული ექიმები, სიკვდილისგან იხსნა ძალიან ბევრი სიკვდილმისჯილი, მაგრამ არ გაიკარა **ძველი მეგობრები,** რომლებიც „მეგრელთა საქმის“ ძიების დროს ძალოვან უწყებებში უმაღლეს თანამდებობებს იკავებდნენ. ღრმად ვარ დარწმუნებული, **ბალჩო და ამაიაკ ქობულოვები, აქვსენტი ცანავა, მიხეილ გვიშიანი, სერგო გოგლიძე** და სხვა, ე.წ. „ძველი გვარდიის“ წარმომადგენლები რომ ლავრენტი ბერიას 1953 წლის მარტში გვერდით ჰყოლოდა, არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა ის, რაც 1953 წლის 26 ივნისს მოხდა! ამიტომაც ვამბობ, **რომ „ექიმთა საქმე“ და „მეგრელთა საქმე“ იყო ფილიგრანული სიზუსტით დაგეგმილი და ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის შედეგებიც როგორც სტალინის, ისე ბერიასთვის დამანგრეველი აღმოჩნდა!**

ბერიას განადგურების კვალდაკვალ საზოგადოებაში ვრცელდებოდა მითები იმის შესახებ, რომ თითქოს გერმანიიდან თვითმფრინავით წამოსულ ლავრენტის **სერგო გოგლიძემ** გზაში სასწრაფო ინფორმაცია დააწია — სერიოზული საფრთხე გემუქრება, თვითმფრინავი ვნუკოვოს აეროპორტში არ დასვა, შერემეტიევოში დაჯექიო! — მაგრამ ბერიამ გოგლიძეს არ დაუჯერა! ეს მითები გახლდათ სწორედ იმ დიდი წყენისა და ენით აუწერელი გაუცხოების ზუსტი გამოძახილი, რომელმაც ლავრენტი ბერიასა და მის უახლოეს მეგობრებს შორის „მეგრელთა საქმის“ კვალდაკვალ დაისადგურა. სხვათაშორის, **სერგო გოგლიძე** ლავრენტი ბერიას საქმეზე დახვრიტეს.

**— როგორ ფიქრობთ, ამ სპეცოპერაციების შემოქმედი მხოლოდ გიორგი მალენკოვი შეიძლება ყოფილიყო?**

— ეს გამორიცხულია! მალენკოვს არც ინტელექტუალურად და არც არანაირი თვალსაზრისით მსგავსი სპეცოპერაციების განხორციელების რესურსი, თავი და შესაძლებლობა არ ჰქონდა!

**— მაშინ ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან?**

— ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ძნელი საპოვნელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია — **1952 წელს „მეგრელთა საქმის“ გამო არამხოლოდ ლავრენტი ბერია აღმოჩნდა დარტყმის ქვეშ, არამედ ბერიას ბედი გაიზიარეს ანასტას მიქოიანმა და, უპირველს ყოვლისა, ვიაჩესლავ მოლოტოვმა, რომელიც თავისი ცოლის ჟემჩუჟინას ენაგრძელობას კინაღამ გადაჰყვა!** მოგეხსენებათ, **ქალბატონი ჟემჩუჟინა** ეთნიკურად ებრაელი იყო და მას ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისრაელის ელჩთან საბჭოთა კავშირში **გოლდა მეიერთან,** რომელიც მოგვიანებით ისრაელის პრემიერ-მინისტრიც გახდა. ჟემჩუჟინამ გოლდა მეიერთან რაღაც-რაღაცები ილაპარაკა, რაც იმის საფუძველი გახდა, რომ მოლოტოვის ცოლი დაეპატიმრებინათ.

**— მომხდარის გამო სტალინს დღემდე ცილს სწამებენ და ანტისემიტიზმში სდებენ ბრალს...**

— არადა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ებრაელების მიმართ ძალიან ლოიალურად განწყობილი სახელმწიფოა, უვადო სასჯელს ახლაც იხდიან მოსადის აგენტები, რომლებიც ქვეყანაში ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშობდნენ. საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ სტალინი ისრაელის სახელმწიფოს შექმნის უპირველესი ინიციატორი და მთავარი ლობისტი იყო. სწორედ სტალინმა მიაღებინა ისრაელი გაეროში. არასოდეს დაგვავიწყდეს ისიც, რომ სტალინი მთელი ევროპის მასშტაბით, ყველაზე უფრო სწორედ ებრაული წარმოშობის კომუნისტებს ენდობოდა. ეს ფაქტია, რადგან **ჩეხეთის, გერმანიის, უნგრეთის, რუმინეთისა და თვით ბულგარეთის სათავეშიც კი ბელადმა, ძირითადად, ებრაული წარმოშობის კომუნისტები დანიშნა.** მოგეხსენებათ, 1948 წლის 14 მაისს გამოცხადდა ისრაელის სახელმწიფო, რომელსაც ბრწყინვალე ურთიერთობა ჰქონდა ძლევამოსილ საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ისრაელი გარემოცული იყო და არის მტრებით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს შექმნას ეწინააღმდეგებოდა, 1948-1949 წლებში რადიკალურად შეცვალა თავისი პოლიტიკა და ისრაელს შესთავაზა ასეთი წინადადება — **ჩვენ ავიღებთ პატრონაჟს თქვენზე, მაგრამ უარი თქვით საბჭოთა კავშირთან მეგობრობაზე!** ებრაელები ამ წინადადებას დათანხმდნენ და სტალინთან კავშირი გაწყვიტეს, მიუხედავად იმისა, რომ ბელადი მათ გაჭირვების დროს ძალიან დაეხმარა და მიაწოდა საბჭოთა იარაღი და ტექნიკა. ამ ღალატს სტალინის მხრიდან მოჰყვა საპასუხო რეაქცია — **დაიჭირა, გაასახლა ციმბირში ან დახვრიტა მთელი აღმოსავლეთ ევროპის ებრაული ელიტა.** სტალინი არც ამაზე გაჩერდა და პოლიტბიუროს წევრების ნახევარზე მეტს, რომლებსაც ებრაელი ცოლები ჰყავდათ, უნდობლობა გამოუცხადა.

**— ეს იყო „ებრაელთა საქმე“?**

— დიახ, სწორედ ეს იყო! „ებრაელთა საქმესთან“ დაკავშირებულ რეპრესიებს ძალიან შეუწყო ხელი იმანაც, რომ იმ ექიმების უმეტესობა, რომლებმაც **ანდრეი ჟდანოვი** ვერ გადაარჩინეს, ძირითადად, სწორედ ებრაელები იყვნენ. ისრაელის მოქალაქე ამერიკაში დღესაც კი ვერ ჩადის უვიზოდ, რადგან ამერიკა ძალიან უფრთხის „მოსადს“. აქედან გამომდინარე, რატომ გვიკვირს, რომ სტალინმა, რომელმაც ებრაელებს მილიარდები დაახარჯა, სახელმწიფო შეუქმნა, გაეროში გააწევრიანა და ბოლოს მათი მხრიდან ნაღალატევი აღმოჩნდა, ებრაელების წინააღმდეგ გარკვეული ქმედებები განახორციელებინა? ჟემჩუჟინას კი არა, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ზოგიერთ სახელმწიფოში მოლოტოვსაც კი დაიჭერდნენ, რადგან მისი ცოლი სტალინის მტერთან და მოღალატესთან — გოლდა მეიერთან და მის ხელისუფლებასთან, რომლებმაც საბჭოთა კავშირი ამერიკულ დოლარებზე გაყიდეს, ტანგოს ცეკვავდა.

მოკლედ, 1951-1952 წლებში ბელადის გარშემო ასეთი სიტუაცია შეიქმნა — გადაიმტერა ებრაელები, რაც მისი ბრალი ნამდვილად არ იყო; დაუჭირეს **ვიქტორ აბაკუმოვი;** გაუნეიტრალეს **ალექსანდრე პოსკრებიშევი და ნიკოლაი ვლასიკი;** „მეგრელთა საქმით“ დარტყმის ქვეშ დააყენეს **ბერია,** ხოლო „ებრაელთა საქმით“ წალეკვითა და განადგურებით დაემუქრნენ სტალინის უერთგულეს თანამებრძოლ **ვიაჩესლავ მოლოტოვს!** ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ 1952 წელს სტალინი ძმაკაცებისა და დასაყრდენის გარეშე დარჩა. **ეს გააკეთა ეთნიკურად მაკედონელმა გიორგი მალენკოვმა, რომელსაც ყველაზე საშიში კონკურენტები — „ლენინგრადელები“ უკვე განადგურებული და ჩამოშორებული ჰყავდა.**

## რატომ დაუპირისპირდა ებრაელებს ისრაელის სახელმწიფოს შემქმნელი და მთავარი ლობისტი სტალინი?

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲟᲘᲠᲒᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ★

## ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ „ᲛᲐᲘᲜ ᲙᲐᲛᲞᲤᲡ“ „ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲐᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ. ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ, ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲔᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲪ?

**„ᲛᲐᲘᲜ ᲙᲐᲛᲞᲤᲘ“** (ჩემი ბრძოლა) **ლანდსბერგის ციხეში იწერებოდა,** სადაც ᲐᲓᲝᲚᲤ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ 1923 **წლის 11 ოქტომბრის მიუნხენის პუტჩის შემდეგ გაამწესეს.** ნაცისტების დამარცხებით დამთავრებული ამ აჯანყების მეთაურობისთვის სასამართლომ **ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲡ 5 წლით** პატიმრობა და **200 მარკის ოქროთი** გადახდა მიუსაჯა. თუმცა, ციხეში მან წელიწადზე ოდნავ მეტი დაჰყო — **1924 წლის 20 დეკემბერს** ვადამდე გაათავისუფლეს. იმ დროისათვის **„ᲛᲐᲘᲜ ᲙᲐᲛᲞᲤᲘᲡ“** პირველი ტომის ხელნაწერი უკვე მზად იყო. ციხის საკანში ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ თავის წიგნს ასევე პატიმარ **რუდოლფ ჰესს** კარნახობდა. მტკიცება, თითქოს წიგნი **ჰესს** ეკუთვნის, უსაფუძვლოა. თავად **რუდოლფ ჰესის** მოწმობით, ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ დიდხანს ფიქრობდა და **„პრაქტიკულად სუფთა ტექსტს“** კარნახობდა, რომელსაც მერე თავადვე ასწორებდა.

წიგნის პირველი ტომი **1925 წლის ივლისში 10** ათას ეგზემპლარად გამოვიდა, საიდანაც მხოლოდ 7 ათასი გაიყიდა. გათავისუფლების შემდეგ დაწერილი **მე-2 ტომი 1926 წლის დეკემბერში** გამოქვეყნდა იმავე ტირაჟით და მხოლოდ **3 ათასი** ეგზემპლარი გაიყიდა. ბუნებრივია, ხელისუფლებაში ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ მოსვლის შემდეგ მისი თხზულება მილიონობით დაიბეჭდა და პარტიის ყოველი წევრის სამაგიდო წიგნად იქცა. მეტიც, მას ახალგაზრდებს ქორწინების რეგისტრაციის დროს ჩუქნიდნენ.

რას წარმოადგენდა ეს ნაწარმოები? **„ᲛᲐᲘᲜ ᲙᲐᲛᲞᲤᲘ“** ბევრ რამეში ავტობიოგრაფიულია, მაგრამ ავტორის ცხოვრებაზე თხრობის გარდა, შეიცავს მის მოსაზრებებს პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს შესახებ. მასში არის დემოკრატიის, დესპოტიზმის, გეოპოლიტიკის, გეოგრაფიის, ისტორიის, ომების, ეკონომიკისადმი მიძღვნილი თავები. უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრებებს ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ თავისებურად ასაბუთებს. ავტორი ბევრს წერს ხელოვნებასა და არქიტექტურაზე. **„ᲛᲐᲘᲜ ᲙᲐᲛᲞᲤᲨᲘ“ ჰიტლერი დაწვრილებით გადმოსცემს თავის რასობრივ თეორიას, რომლის თანახმად პირამიდის მწვერვალზე გერმანული** (არიული) **რასა იმყოფება, მისი ძირი კი ებრაელებსა და ბოშებს უკავიათ.** წიგნი ეხება მიმდინარე პოლიტიკის საკითხებსაც: დიდი გერმანიის შექმნას, მსოფლიოში ბრიტანული ჰეგემონიის მოსპობას, საფრანგეთის განადგურებას და გერმანელთა გადაადგილებას აღმოსავლეთისკენ უკიდეგანო რუსული სივრცეების კოლონიზაციის მიზნით. შემდგომში ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ ნანობდა, რომ თავისი წიგნით მოწინააღმდეგეს **„კოზირები გაუხსნა“.**



საგულისხმოა, რომ მაშინ ყველასათვის უცნობი ავტორის წიგნის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ყურადღებიანი მკითხველი ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ გახლდათ. **1927 წელს „ᲛᲐᲘᲜ ᲙᲐᲛᲞᲤᲘ“** მისი განკარგულებით რუსულ ენაზე ითარგმნა და მიკროსკოპული ტირაჟით — 10 ეგზემპლარად გამოიცა კრემლში სარგებლობისათვის. ერთი ეგზემპლარი **სტალინის** შენიშვნებით რუსეთის პრეზიდენტის არქივში ინახება. მაგალითად, იმ ადგილს, სადაც ავტორი აღმოსავლეთისაკენ სვლის აუცილებლობაზე საუბრობს, დიდი და მსუქანი კითხვის ნიშანი ამშვენებს. ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ კალამს კიდევ ერთი წიგნი ეკუთვნის, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას დაწერა და **„ᲛᲐᲘᲜ ᲙᲐᲛᲞᲤᲘᲡ“** გაგრძელებას წარმოადგენს. მას **„გზა ძალაუფლებისაკენ“** ეწოდება. თავის სიცოცხლეში ფიურერმა მისი გამოცემა არ ინება და განაცხადა, რომ წიგნს მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ **„დააფასებენ სათანადოდ“**. ხელნაწერი დიდხანს იმტვერებოდა არქივებში და მხოლოდ **1961 წელს** გამოსცა ერთმა დასავლეთევროპულმა გამომცემლობამ. რუსულად ან ქართულად იგი არ უთარგმნიათ. **„ᲛᲐᲘᲜ ᲙᲐᲛᲞᲤᲘᲡ“** ის ბროშურა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა თბილისის წიგნის ბაზარზე, ე. წ. **„ᲨᲐᲜᲮᲐᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ“** თარგმანია, რომელიც წიგნის მოკლე კონსპექტს წარმოადგენდა.




## ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ – ᲘᲐᲙᲝᲑᲡ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲘᲣᲩᲘᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲤᲔᲮᲛᲫᲘᲛᲝᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲒᲐᲐᲩᲘᲜᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲬᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ?



ასეთი ვერსია მართლაც არსებობს, თუმცა, იგი საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველია. იმაზე, რომ მსგავსი რამ შეიძლება მომხდარიყო, შეგვიძლია **ᲕᲘᲚᲤᲠᲘᲓ ᲨᲢᲠᲘᲙ-ᲨᲢᲠᲘᲙᲤᲔᲚᲓᲢᲘ**ს წიგნით **„ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ“, გენერალი ᲕᲚᲐᲡᲝᲕᲘᲡ** მიერ ძიებისთვის მიცემული ჩვენებებით და სხვა, ნაკლებად სანდო წყაროებით ვიმსჯელოთ. ცნობილია, რომ **1941 წლის შემოდგომაზე ტყვე ᲘᲐᲙᲝᲑ ᲯᲣᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ბერლინში ჩაიყვანეს და ფეშენებელურ ოტელ „ᲐᲓᲚᲝᲜᲨᲘ“ მოათავსეს.** სწორედ მაშინ მიუჩინეს მას ახალგაზრდა ლამაზი გერმანელი ქალი, ვითომ „მომსახურებისთვის“, სინამდვილეში კი უშიშროების სპეცსამსახურისთვის ცნობების მიმწოდებლად. **ᲨᲢᲠᲘᲙᲤᲔᲚᲓᲢᲘ** ამტკიცებს, რომ მომსახურება ინტიმურ სფეროსაც მოიცავდა და ამ ქალს **„იაკობ სტალინის გერმანელ ცოლს“** უწოდებს. ასე იყო თუ არა სინამდვილეში, ვეღარასოდეს შევიტყობთ. არც **ᲨᲢᲠᲘᲙᲤᲔᲚᲓᲢᲘ**, არც **ᲕᲚᲐᲡᲝᲕᲘ,** არც სხვა წყაროები არაფერს ამბობენ ქალის ფეხმძიმობაზე, არც მის ვინაობას ასახელებს რომელიმე.

მდიდრულ ოტელში ᲘᲐᲙᲝᲑ ᲯᲣᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ დიდხანს არ გაუჩერებიათ. მისმა დამუშავებამ ნაცისტებს არაფერი მისცა, თუმცა, ყველა საშუალება გამოიყენეს — მოუწყვეს შეხვედრები არა მხოლოდ ნაცისტ ბობოლებთან, არამედ მტრის მხარეს გადასულ საბჭოთა სამხედროებთან — გენერალ **ᲕᲚᲐᲡᲝᲕᲗᲐᲜ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲙᲠᲘᲐᲑᲘᲜᲗᲐᲜ (მოლოტოვის ძმისშვილი)** და სხვა. შეახვედრეს აგრეთვე ქართველ მენშევიკებს. მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. და **1942 წლის** დასაწყისშივე **ᲘᲐᲙᲝᲑ ᲯᲣᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ჰამელბურგის ბანაკში გადაიყვანეს, სადაც მის მოტეხვას მასხრად აგდებით და შიმშილით ცდილობდნენ.** ამას მოჰყვა ბანაკი **ქ. ლიუბეკის** მახლობლად, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ შვილის გოლგოთის გზა კი ბანაკ ზაქსენჰაუზენში დასრულდა. ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ** გერმანელი „ცოლის“ შემდგომ ბედზე ბევრი არაფერი ვიცით. თუკი იმავე **ᲨᲢᲠᲘᲙ-ᲨᲢᲠᲘᲙᲤᲔᲚᲓᲢᲡ** დავუჯერებთ, სასტუმრო **„ადლონში“** მისი მისიის წარუმატებლობის შემდეგ ქალი ბუხენვალდის ბანაკში გაამწესეს, სადაც მისი კვალი იკარგება.

## ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲡ „ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲐᲒᲔᲜᲢᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲨᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲓᲐᲚᲣᲥᲣᲚᲘ ᲕᲐᲒᲝᲜᲘᲗ. ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ „ᲓᲐᲚᲣᲥᲣᲚᲘ ᲕᲐᲒᲝᲜᲘ“, ᲗᲣ ᲔᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲐᲐ?

**„ᲓᲐᲚᲣᲥᲣᲚᲘ ᲕᲐᲒᲝᲜᲘ“** ნამდვილად არსებობდა. რაც შეეხება აგენტობას, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, **ᲚᲔᲜᲘᲜᲘ აგენტი არ ყოფილა, მაგრამ მან ობიექტურად შეასრულა ის როლი, რომელიც გერმანიის გენშტაბმა და სპეცსამსახურებმა განუსაზღვრეს. 1917 წლის 15 მარტს** (ახ. სტილით) **რუსეთის მეფე ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲔᲝᲠᲔ თავისი ძმის სასარგებლოდ ტახტიდან გადადგა.** მაგრამ **ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲡ** დიდხანს არ უმეფია, ერთი დღე-ღამის შემდეგ მანაც უპირობო გადადგომას მოაწერა ხელი. **პეტროგრადში** მთელი ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა, რუსეთის იმპერიის ბედი კი დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა. **ᲚᲔᲜᲘᲜᲘ** ამ დროს შვეიცარიაში იმყოფებოდა, პეტროგრადში რევოლუციის შესახებ ცნობა მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ის ხომ სულ რამდენიმე კვირით ადრე წერდა: **„ჩვენ, მოხუცები, შეიძლება ვერც კი მოვესწროთ მომავალი რევოლუციის გადამწყვეტ ბრძოლებს.“** მაგრამ რევოლუცია მოხდა და რუსი ბოლშევიკების ლიდერის მთავარ ამოცანად გადაიქცა, რაც შეიძლება სწრაფად აღმოჩენილიყო პეტროგრადში. ეს ადვილი არ გახლდათ — ევროპის ტერიტორიაზე ომი ბობოქრობდა და რუსეთისკენ პირდაპირი გზა მოჭრილი იყო. **ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ ᲙᲠᲣᲞᲡᲙᲐᲘᲐ** იხსენებდა, რომ ამ ამბის გაგებისთანავე **ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ** ძილი და მოსვენება დაკარგა. **„ღამღამობით გეგმებს აწყობდა, თანაც სრულიად წარმოუდგენელს. ხანდახან მეგონა — ბოდავდა.“** და აი, მოულოდნელად **ᲘᲚᲘᲩᲡ** დახმარების ხელი გერმანიის ხელისუფლებამ გამოუწოდა. **შვეიცარიაში გერმანიის ელჩის მეშვეობით მიღწეულ იქნა შეთანხმება გერმანიის გავლით შვედეთში, ფინეთსა და შემდეგ რუსეთში ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ჩასვლის შესახებ.** გერმანელებმა ამ მოგზაურობის დაფინანსება იკისრეს. ბუნებრივია, მათ თავისი მიზანი ჰქონდათ. საქმე ის არის, რომ გერმანიამ ცარიზმის დამხობით ვერაფერი მოიგო, დროებითი მთავრობა ომის გაგრძელებას მეფეზე უფრო ენერგიულად აპირებდა. გერმანელებს კი ზავი სჭირდებოდათ. ამავე დროს ბოლშევიკები ომის შეწყვეტას მოითხოვდნენ — ეს მათი ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი გახლდათ. გერმანიის მთავრობა, როგორც ჩანს, ასე მსჯელობდა — **ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ** პეტროგრადში რომც ვერაფერს მიაღწიოს, მისი იქ ყოფნა რუსეთში არეულობას გამოიწვევს, ეს კი გერმანელებს ხელს აძლევდა. ამგვარად, **1917 წლის 9 აპრილს ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ, ᲙᲠᲣᲞᲡᲙᲐᲘᲐᲛ** და კიდევ 17-მა წამყვანმა ბოლშევიკმა **ციურიხი** დატოვეს და გერმანიის საზღვარი **„დალუქული ვაგონით“** გადალახეს (გზაში რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად). **16 აპრილის** ღამეს, თითქმის ათწლიანი ემიგრაციის შემდეგ, **ᲚᲔᲜᲘᲜᲘ პეტროგრადში** ჩავიდა. შემდგომი მოვლენები ჩვენთვის ცნობილია. აი, როგორ აფასებს ამ ვოიაჟს **ᲣᲘᲜᲡᲢᲝᲜ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘ: „გერმანიის მთავრობამ რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე საზარელი იარაღი გამოიყენა. მათ ლენინი შვეიცარიიდან რუსეთში შავი ჭირის ბაცილასავით დალუქული ვაგონით გადააგზავნეს.“**



უეჭველია, გერმანელებს მეტისმეტი მოუვიდათ. ნოემბრის რევოლუცია გერმანიაში, ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, მსოფლიოში მომხდარ სხვა მომდევნო კატაკლიზმებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მათი ამ აქციის უდავო ნაყოფი გახლდათ. მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა.

## ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ?

მოსკოვის მიდამოებში **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** სახელზე ორი აგარაკი ირიცხებოდა — **ზუბალოვოსი** და ე. წ. **„მახლობელი“ ვოლინსკოეში** (მას კუნცევოსაც უწოდებენ). შავი ზღვის სანაპიროზე — **„მწვანე კორომი“ ᲡᲝᲭᲗᲐᲜ, „ცივი მდინარე“ ᲒᲐᲒᲠᲐᲡᲗᲐᲜ, „რიწა“** ტბის ნაპირზე და **„მიუსერა“ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐᲡᲗᲐᲜ.** ეს მინიმალურად კეთილმოწყობილი ერთსართულიანი სადა შენობები იყო. თანაც **სტალინისად ეს აგარაკები, კუნცევოს გამოკლებით, ნომინალურად ითვლებოდა, რამეთუ სახელმწიფო აგარაკების სტატუსი ჰქონდა.** იქ, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთში, ხშირად ისვენებდნენ ბელადის თანამოსაგრენი — **ᲟᲓᲐᲜᲝᲕᲘ, ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ, ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ, ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ, ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ** და სხვები, პრაქტიკულად, პოლიტბიუროს ყველა წევრი, **ᲑᲔᲠᲘᲐᲡ** გარდა, რომელიც პერსონალურად მასზე მიმაგრებულ აგარაკზე ამჯობინებდა დასვენებას. მეუღლის სიკვდილის შემდეგ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ზუბალოვოს** აგარაკზე აღარ გამოჩენილა. აქ ძირითადად მოხუცი **ალილუევები, ბელადის შვილები** და სხვა ნათესავები ცხოვრობდნენ. 30-იანი წლების შუა ხანებში **ვოლინსკოეში** არქიტექტორ **მერჟანოვის** პროექტით აშენდა პატარა ერთსართულიანი ნაგებობა. **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ** ამ სახლში დასახლდა და სიკვდილამდე იქ ცხოვრობდა. **40-იანი წლების** დასაწყისში **„მახლობელ“** აგარაკს მეორე სართული დააშენეს — **სვეტლანა** ვარაუდობს, რომ მამამისი იქ მის დასახლებას აპირებდა — მაგრამ ამ დაშენებით არავის უსარგებლია, მოსამსახურეთა და დაცვის წევრთა მოწმობით, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ** იქ ერთხელაც არ ასულა. ქვედა სართულზეც მუდმივად მხოლოდ ერთ ოთახში — სასადილოში ცხოვრობდა — მუშაობდა და იქვე, ტახტზე იძინებდა.

**ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** გარდაცვალების შემდეგ ყველა მისი აგარაკი გაპარტახდა. ახალ მმართველებს მათზე თავიანთი უფლებები არ განუცხადებიათ, რადგან ეს სადა ნაგებობები მათ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. ნიკიტა **ხრუშჩოვმა** ერთდროულად რამდენიმე დიდებული საագარაკო კომპლექსის მშენებლობა წამოიწყო **ბიჭვინთაში, იალტასთან, სოჭთან** — თავადი იუსუპოვების ყოფილ მამულში. ეს კომპლექსი **40 ჰექტარზე** გადაიჭიმა და დანარჩენი ორი სასახლის მსგავსად, ფანტასტიკურად იყო მოწყობილი, საიდუმლო ნავმისადგომის, აეროდრომის და ვერტმფრენის მოედნის ჩათვლით. სწორედ იუსუპოვების ყოფილ რეზიდენციას უწოდა ხალხმა **„კრემლი პალმების ქვეშ“.** ხანდახან ეს **„კრემლი“ ბიჭვინთასთან** გადაინაცვლებდა ხოლმე — **ნიკიტა სერგეევიჩის** კიდევ ერთ კომფორტულ და დიდებულ საագარაკო კომპლექსში. მისმა მემკვიდრეებმა — **ბრეჟნევმა** და **გორბაჩოვმა** საагარაკო მშენებლობა დამკვრელური ტემპით გააგრძელეს და ამ საქმეში გვირგვინოსნებსა და მულტიმილიარდერებს გაუწიეს მეტოქეობა. თუმცა, ოფიციალურად ეს სასახლეები სახელმწიფო აგარაკებად — **„საერთო-სახალხო საკუთრებად“** რჩებოდა.

ამჟამად **იუსუპოვთა** ყოფილ მამულში რუსეთის პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენცია გახლავთ. რა თქმა უნდა, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** მოკრძალებული აგარაკები მის **„მემკვიდრეთა“** დიდებულ სასახლეებს ვერ შეედრება.


2023 წლის 13 თებერვალი, № 11 (179)

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**

ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

***„იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი ბესო მიქავა ამერიკის მოქმედი პრეზიდენტის მეორე ვადით გაპრეზიდენტების შესახებ გამოთქმულ სურვილს ეხმიანება და იმ საფრთხეებზე საუბრობს, რომელიც ჯო ბაიდენის კიდევ ოთხი წლით ხელისუფლებაში მოსვლა პლანეტას უქადის:***



# ბესო მიქავა:

# თუ ბაიდენი კიდევ ერთხელ გახდა ამერიკის პრეზიდენტი, საქართველოში მართლმადიდებელ ეკლესიაზე გენერალური შეტევა დაიწყება!

— 2019 წელს ამერიკაში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების წინ ინტერვიუ მივეცი გაზეთ „ასავალ-დასავალს“ და განვაცხადე — **თუ ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გახდება და დონალდ ტრამპი დამარცხდება, მაშინ ბაიდენი და მისი ადმინისტრაცია შეერთებულ შტატებში ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დააკანონებენ-მეთქი!** როგორც ხედავთ, ჩვენი პროგნოზი ახდა, ახლა კი ვაცხადებ: **თუ არჩევნების ტოტალური და ჯერ არნახული გაყალბების შედეგად, რაც თვით ხათუნა გოგორიშვილსა და მიხეილ მაჭავარიანსაც კი სახტად დატოვებს, ამერიკაში ბაიდენს მეორეჯერაც დასვამენ პრეზიდენტად, მაშინ უკრაინის ომი მონაგონი იქნება** — მსოფლიო ახალ-ახალი ომების ქარცეცხლში ჩაიძირება, ხოლო ნეოტროცკისტული და ნეოლიბერალური ძალები თავისუფლების სახელით მთელ მსოფლიოს თავისუფლებას წაართმევენ! ჩვენი პროგნოზი რა სახსენებელია, როცა **დონალდ ტრამპი** ამ დღეებში გამოვიდა და საქვეყნოდ განაცხადა — **თუ ამერიკის პრეზიდენტად ისევ ჯო ბაიდენს დასვამენ, ის უსამართლობის ახალ ჭაობში ჩაითრევს ამერიკასო!** ბაიდენი არის ნაბიჯი უზნეობისკენ და იგი მსოფლიოს ეშმაკის კლანჭებში ჩასაგდებად უბიძგებს, ხოლო ტრამპი ცხოვრების ზნეობრივი წესის მედროშეა, აღიარებს ოჯახის ინსტიტუტს, ჰყავს ლამაზი ცოლი და შვილები. თანამედროვე მსოფლიოში **ბაიდენი** — უზნეობის მთავარ რუპორად, **ტრამპი** კი ზნეობის ქომაგად გვევლინება!

**— მაინც რა არის იმის მთავარი მიზეზი, რომ 81 წლის ბაიდენი მეორე ვადით გაპრეზიდენტების სურვილს გამოთქვამს?**

— ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მართავს არა **ბაიდენი,** რომელიც ბრეჟნევისა და ჩერნენკოს სტადიაშია შესული, არამედ რამდენიმე ოჯახი. სწორედ ეს ოჯახები იწყებენ ომებს, მათ ხელშია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები, ტრანსნაციონალური კორპორაციები და მთელი მსოფლიოს ეკონომიკა. ეს არის უაღრესად საშიში, ბნელი და ძალიან გავლენიანი ძალა, რომელიც აწყობს რევოლუციებს, ამხობს კანონიერ პრეზიდენტებსა და მთავრობებს, იწყებს და აჩაღებს ეთნოკონფლიქტებს... ამ ძალის ხელში ბაიდენი არის სათამაშო ტიკინა, რომელსაც ხან სახელები ავიწყდება, ხანაც — თავისი პრეზიდენტობა. მას რომ ვუყურებ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ის გავლენიანი ძალები, რომლებიც სინამდვილეში ამერიკას მართავენ, რაღაც ხელოვნური ინიექციებით აცოცხლებენ. **როცა ბაიდენს ეს ინიექცია ახალი გაკეთებული აქვს, აშკარად ემჩნევა, რომ ცოტა აზრზეა, მაგრამ რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ ისევ დუნდება და ითიშება...** ცხადია, ასეთი „პრეზიდენტი“ იმ ბნელ და ყოვლისშემძლე ძალებს, რომლებიც ჩრდილში დგანან და ნებისმიერ რამეზე მიუწვდებათ ხელი, აშკარად აწყობთ. აქედან გამომდინარე, **რატომ გვიკვირს, რომ ბაიდენი მეორეჯერაც გამოთქვამს პრეზიდენტობის სურვილს? მეორეჯერ გაპრეზიდენტება ბაიდენს კი არ უნდა, არამედ იმ ჩრდილოვან მთავრობას სურს ბაიდენის კიდევ ოთხი წლით პრეზიდენტად ხილვა!** ეს არის და ეს... გაგახსენებთ ზვიად გამსახურდიას ცნობილ შეფასებას, რომელიც მან ამ მართლაცდა ბნელ და ყოვლისმომცველ ძალას მიუძღვნა —

> *„სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთო-ევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი* ***(მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები)*** *ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში — მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიო წესრიგის არსია:* ***განადგურება ყველა სახელმწიფოს*** *(ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას)* ***დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა“.***

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი ის კი არ არის, **ტრამპს** რომ არჩევნები გაუყალბეს, გასაკვირი ის უფროა, ამ ბნელმა ძალამ ოთხი წლით როგორ აიტანა იმ კაცის პრეზიდენტობა, რომელმაც ბაიდენს **„მძინარა ჯო“** უწოდა და საჯაროდ გამოაცხადა, რომ ამერიკა ეკუთვნის ღმერთს, ხოლო ერთნაირსქესიანთა ქორწინება ბოროტებაა!

**— მაინც რა გახდა იმის მთავარი მიზეზი, რომ ტრამპს არჩევნები გაუყალბეს?**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ის ომი, რომელიც ებრაულ და ანგლოსაქსურ ლობებს შორის არის გაჩაღებული. ნუთუ ვინმეს შემთხვევითი ჰგონია ის ამბავი, რომ **ბორის ბერეზოვსკიც, ბადრი პატარკაციშვილიც და კახა ბენდუქიძეც** ლონდონში დაიღუპნენ? **ამ სამი მეტად გავლენიანი კაცის სიკვდილი სწორედ ებრაულ და ანგლოსაქსურ ლობებს შორის მომხდარი დიდი დაპირისპირების შედეგია!** მათ ტრამპი არ მოსწონდათ ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამო, მაგრამ მთავარი, რის გამოც დაუპირისპირდნენ, გახლდათ ის, რომ **ტრამპმა** ამერიკის გენერალურ პროკურორად დანიშნა **უილიამ ბარი,** რომელსაც დაავალა ყველა იმ პირის გამოაშკარავება, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანტიდემოკრატიულ და მწამებელ რეჟიმებს ამერიკის ხელისუფლების სახელით აფინანსებდნენ, ახალისებდნენ და ზურგს უმაგრებდნენ.



მოგეხსენებათ, ამერიკის კონსტიტუციით ასეთი რეჟიმების დახმარება და დაფინანსება იკრძალება, არადა, პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში (უფროსი)** და მისი ვაჟი, პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში (უმცროსი)** შევარდნაძისა და სააკაშვილის სახით სწორედ მწამებლებს, ქვეყნის გადამტრიალებლებსა და დიქტატორებს ეხმარებოდნენ! **პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის პრეზიდენტად — ჯორჯ ბუში (უფროსი), ხოლო რუსეთის პრეზიდენტად ბორის ელცინი რომ არ ყოფილიყვნენ, ედუარდ შევარდნაძე საქართველოში ვერც ჩამოვიდოდა და ვერც გაბატონდებოდა!** ანალოგიურად, სააკაშვილის რეჟიმი ვერაფრით მოიკიდებდა ფეხს, რომ არა პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში (უმცროსი)!**

ამ ლიდერებმა ჩვენი ერის ისტორიაში დამღუპველი როლი ითამაშეს, რადგან საქართველოს ხელისუფლების სათავეში ანტიქართულ ძალებს ლობირებდნენ! საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** სავსებით სამართლიანად შენიშნავდა —

> *„ამერიკის სახელმწიფო მდივანმა* ***ჯეიმს ბეიკერმა*** *პირდაპირ მოუწოდა პუტჩისაკენ საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია პლანეტის სხვა რეგიონებში. დასავლეთს საქართველოში მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცერეუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა!“*

ხაზგასმით ვაცხადებ: **ზვიადის დროს ტრამპი რომ ამერიკის პრეზიდენტი ყოფილიყო, საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას ვერავინ დაამხობდა!**




## „თანამედროვე მსოფლიოში ბაიდენი – უზნეობის მთავარ რუპორად, ტრამპი კი ზნეობის ქომაგად გვევლინება!“

**— თუ ბაიდენი მეორე ვადითაც გაპრეზიდენტდება, რას უნდა ველოდოთ?**

— თუ ბაიდენი კიდევ ერთხელ გახდა პრეზიდენტი, საქართველოში მართლმადიდებელ ეკლესიაზე გენერალური შეტევა დაიწყება! წინასწარმეტყველი არ ვარ, მაგრამ დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი: **მალე ომარის მეჩეთის ქვეშ მოქცეული სოლომონის ტაძარი დაიწყებს ამოსვლას!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***







## „ვინმეს შემთხვევითი ჰგონია ის ამბავი, რომ ბორის ბერეზოვსკიც, ბადრი პატარკაციშვილიც და კახა ბენდუქიძეც სამივე ლონდონში დაიღუპა?“



# „შეიძლება, ამ ანტირუსული ისტერიის გამო ისეთ დღეში აღმოვჩნდეთ, რომ რუსეთი მოგვენატროს!“

## მიხეილ ცაგარელი:

# ყველას მოვუწოდებ – მოხსენით, მოაშორეთ უკრაინის დროშები!

*— როდესაც თურქეთში გლოვის დღეები გადაივლის, არ არის გამორიცხული, მიწისძვრის ხელოვნურად გამოწვევის თაობაზე კითხვები დაისვას, ასე რომ, საზოგადოება ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს!* ***— ეს განცხადება ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა მას შემდეგ გააკეთა, რაც თურქეთსა და სირიაში ტრაგედია დატრიალდა. თუ რა კითხვები შეიძლება დაისვას, ვინ არის საქართველოს ნომერ პირველი მტერი და კიდევ რას აფრთხილებს ხელისუფლებას და საზოგადოებას, ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ:***

— ამასწინათ ჩემთვის გავიფიქრე — თურქეთის აღმოსავლეთი ნაწილი კატაკლიზმების წინაშე არ აღმოჩნდეს-მეთქი. ასეც აგიხდეთ ყველაფერი. შავი მთვარე, მაცდუნებელი ძალა, ჩვეულებრივი მთვარის გვერდით აღმოჩნდა, რომელიც თურქეთის აღმოსავლეთ მხარეს მართავს, ხოლო მათი შენაერთი პლანეტა პლუტონს — დამანგრეველი ენერგიების ძალას დაუპირისპირდა. არსად არაფერი მითქვამს, ერთადერთი ჩემს მეგობარს ვამცნე — 13 თებერვლამდე თურქეთში არ წახვიდე, ვარსკვლავების განლაგება არ მომწონს-მეთქი. არადა, მთვარის ზეგავლენის ქვეშ მხოლოდ თურქეთი არ ყოფილა, მაგრამ სხვაგან არაფერი მომხდარა. ისე კი, არ არის გამორიცხული, თურქეთში მიწისძვრა ხელოვნურადაც ყოფილიყო გამოწვეული.

**— ეს როგორ?**

— არაერთხელ მითქვამს, მათ შორის, თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომ ეშერაში არის ტექტონიკური იარაღი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მიწისძვრების ხელოვნური მართვა. ამის შესახებ ჯერ კიდევ აკადემიკოსი **ივერი ფრანგიშვილი** საუბრობდა. სპიტაკის ცნობილი მიწისძვრა, რომელიც 35 წლის წინათ მოხდა, სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება. ბევრჯერ ითქვა იმის თაობაზეც — თუ საქართველო სწორად არ მოიქცევა, ამ ტექტონიკური იარაღით გაასწორებენ მიწასთან, თანაც ისე, რომ ხელს ვერავის დაადებენო. დიახ, ასეთ დროს უკიდურესად ძნელია იმის დადგენა, მიწისძვრა ბუნებრივად მოხდა თუ ხელოვნური ზემოქმედების შედეგად.

მიწისძვრების ხელოვნურად გამოწვევა რუსებსაც შეუძლიათ და ამერიკელებსაც. რამდენად აქვთ ეს ტექნიკა ჩინელებს, არ ვიცი, მაგრამ ამ ორ ქვეყანას რომ ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მიუწვდებოდათ ხელი ამაზე, საყოველთაოდ ცნობილია. მას შემდეგ კოსმოსური ტექნოლოგიებიც განვითარდა და არც ის არის გამორიცხული, მიწისძვრების მართვა კოსმოსიდანაც მოხდეს.

ამერიკამ ერთხელ უკვე დასაჯა თურქეთი. იმ საოცარ ინფლაციაში, რომელმაც დღეს თურქეთი მოიცვა და მოსახლეობის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია, ამერიკელების ხელი ურევია — შეუზღუდეს ფინანსური წყაროები, მათ შორის, ევროპაში. არაერთი თურქული კომპანია დაასანქციირეს, უფრო მეტიც, მიუქსიეს არაბები, რომლებმაც თურქული ფაბრიკა-ქარხნები იყიდეს და ქვეყნიდან სერიოზული თანხები გაიტანეს. ამის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ფასები და თურქეთი ეკონომიკურად აღარ არის ისეთი ძლიერი, როგორიც თუნდაც 5-6 წლის წინათ. ცხადია, ვერავინ ვერაფერს დაამტკიცებს, მაგრამ არ არის გამორიცხული, ესეც ერთგვარი გაფრთხილება ყოფილიყო ერდოღანისთვის, რომელიც ყველანაირ ზღვარს გადავიდა!

**— მაინც, რას შეიძლებოდა გამოეწვია ამერიკის შეერთებული შტატების გაღიზიანება?**

— თუნდაც რუსეთთან თანამშრომლობას! გარდა ამისა, თურქეთმა დიდი როლი ითამაშა აზერბაიჯან-სომხეთის ომში. მისი გენერლები პირდაპირ მონაწილეობდნენ ყარაბაღის მოვლენებში, დღესაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმოფებიან და საგრძნობლად ეხმარებიან. ამასთან, ამერიკაში დიდია პროსომხური ლობი და თურქეთისთვის თავისი ადგილის მიჩენას მოითხოვს.

ფაქტია — თურქეთს ლიდერობაზე აქვს პრეტენზია და საკმაოდ დიდი ტერიტორიის საკუთარ კონტროლქვეშ მოქცევას ცდილობს. ამერიკამ უკრაინის ხელით სწორედ ამის გამო გამოუცხადა ომი რუსეთს. არადა, აშშ თურქეთს ჯერჯერობით მხოლოდ აფრთხილებს, მაგრამ ადრე თუ გვიან ყველა იმ ქვეყნის წინააღმდეგ განახორციელებს დარტყმებს, რომელსაც რეგიონის ლიდერობაზე ექნება პრეტენზია.

არც ის გამიკვირდება, ამერიკელებმა რომ თქვან — ეს რუსეთის გაკეთებულიაო. აკი, თურქეთ-რუსეთს შორისაც იყო გარკვეული დაძაბულობა სირიასთან დაკავშირებით. ნუ დაგვავიწყდება, რომ თავის დროზე ერდოღანმა სირიაში რუსეთს თვითმფრინავი ჩამოუგდო. ნურც ის, რომ თურქეთში რუსეთის ელჩი მოკლეს. მათ ადვილად არაფერი ავიწყდებათ. **ამ კუთხით ამერიკელებს ხელში კოზირი აქვთ, რომ უურადღება სხვა მიმართულებით გადაიტანონ — რუსეთს გადააბრალონ, რუსებმა — ამერიკელებს და საბოლოოდ კაციშვილმა ვერაფერი გაიგოს.**

**— სამწუხაროდ, ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენები, მათ შორის, ხაზეიშვილის გაბელადება თურქეთში დატრიალებულმა ტრაგედიამაც ვერ გადაფარა. ნაციონალები**



## „დროულად გადაიყვანეთ სააკაშვილი ციხეში, ნუ ელოლიავებით ქვეყნის მტერს!“

# „ოცნებასაც“ ჰაერივით სჭირდება ნაციონალური მოძრაობა, როგორც სტაჟიანი ბუა ხალხის შესაშინებლად!“

## კვირგვინოსნები

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



ჩვენ რომ 20 000-დოლარიან კონტრაქტად გვასაღებდნენ, **1 000 000 დოლარი ყოფილა დახარჯული მიშას ციხიდან გამოხსნის სპეცოპერაციაში.** მივმართავ **ქალბატონ გიულის,** მოახსენოს საქართველოს მოსახლეობას, **საიდან აქვს სააკაშვილ-ალასანიების ოჯახს მილიონი დოლარი,** რომელიც გადაუხადა ამერიკელ ლობისტებს.

„იმედინიუსი“

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ დამფუძნებელი, პატიმარი*



**სააკაშვილის** სასჯელის გადავადების თაობაზე გადაწყვეტილებით **საქართველოში სიკვდილით დასჯა ეფექტურად აღდგა!**

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ დამფუძნებელი*



**ბადრი ესებუა** „გამოაგდეს“, ე.ი. **სააკაშვილზე** პროტესტის გადაფარვა უნდათო — ეს ტყუილია! **სააკაშვილზე** პროტესტი არ არსებობს და გადასაფარიც არაფერია.

„ამბები.გე“

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“ წევრი*



ამ ქვეყნის ბედს **ორპროცენტიანი პარტიები** ვერ გადაწყვეტენ. მე თუ მკითხავთ, დასამარცხებელი და სახლში გასაშვები იყო მიხეილ **სააკაშვილის** ხელისუფლება და ეს ქართველმა ხალხმა 2012 წლის 1 ოქტომბერს გააკეთა.

„ახალი თაობა“

**დათო მაღრაძე**
*პოეტი*



ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი **ნაცმოძრაობა მარტივ მამრავლებად იშლება!** ვისაც „ქართული ოცნება“ ეგონებოდა, მინდა, ბატონი **ხაზეიშვილის** მხარდამჭერობა მივულოცო, მათ ეს დაიმსახურეს.

„კვირის პალიტრა“

# „არ არის გამორიცხული, თურქეთში მიწისძვრა ხელოვნურადაც იყოს გამოწვეული!“



**ისეთ პოლიტიკურ მიწისძვრას გვპირდებიან, რომელიც თან ჩაიყოლებს ხელისუფლებასაც.**

— ასე იმუქრებიან 2012 წლიდან მოყოლებული, მაგრამ გინახავთ მათი აყირავებული ხელისუფლება? ნაციონალების უკან მდგომმა ძალებმა ჩათვალეს, რომ **ნიკა მელია** სათანადოდ ვერ რევდა სიტუაციას და უფრო მაღალი დონის პროვოკატორის, უსინდისო, უზრდელი ადამიანის მოყვანა გადაწყვიტეს.

იცით, რა არის ამ ყველაფრის თავიც და ბოლოც — ხელისუფლებას არა აქვს პოლიტიკური ნება, რომ წერტილი დაუსვას ნაცების პარპაშს. „ოცნებასაც“ ჰაერივით სჭირდება ნაციონალური მოძრაობა, როგორც სტაჟიანი ბუა ხალხის შესაშინებლად. იმის ნაცვლად, რომ მსჯელობა მიდიოდეს ეკონომიკურ საკითხებზე, განათლების სისტემაზე, სოფლის მეურნეობაზე, დემოგრაფიაზე და ა.შ. სისულელეებს გველაპარაკებიან. ყველა გამოშვება ნაციონალებისა და 12-პუნქტიანი რეზოლუციის შესრულებაზე საუბრით იწყება. თუ ხელისუფლებასაც არ აწყობს ნაციონალების პოლიტიკური სიცოცხლე, რატომ არის სამთავრობო თუ არასამთავრობო არხი გაჟღენთილი ამ თემებით? დემოგრაფიული პრობლემის მოგვარება უფრო მნიშვნელოვანია დღეს თუ იმის გარკვევა, სააკაშვილი რას შეჭამს?!

**— თქვენ ლოგიკას თუ მივყვებით, ხელისუფლებას სააკაშვილი არ გაუწირავს!**

— როცა კაცს მისჯილი აქვს და ციხის ნაცვლად სანატორიუმში ცხოვრობს, რომელ გაწირვაზე ვლაპარაკობთ? ან ასეთი ციხე გაგიგიათ სადმე? **ეს სპექტაკლი მათ მიერ არის დადგმული, ვინც სააკაშვილი საქართველოში გამოაგზავნა — სოროსიდან დაწყებული „კაგებეთი“ დამთავრებული.** ალბათ, უკვე მეათასედ ვამბობ — ეს კაცი არის ორმაგი აგენტი, რომელიც ფულს ემსახურება და ვინც მეტს გადაუხდის, იმისია!

ნუთუ ვინმეს კიდევ სჯერა, რომ მართლა კვდება? **თუ მოკვდება და მოკვდეს, დაწყნარდება თვითონაც და ქვეყანაც, მაგრამ კიდევ ერთხელ გეუბნებით, ჩვეულებრივი სპექტაკლია. სააკაშვილს დავალება აქვს მიღებული, რომ მის ჯანმრთელობაზე კამპანია აგორდეს.**

მივმართავ ხელისუფლებას — დროულად გადაიყვანეთ სააკაშვილი ციხეში, ნუ ელოლიავებით ქვეყნის მტერს! და კიდევ: **ნუ ელაპარაკებით უკრაინას მოწიწებით. დღეს საქართველოს ნომერ პირველი მტერი სწორედ უკრაინაა!**

ყველას მოვუწოდებ — მოხსენით, მოაშორეთ უკრაინის დროშები, დაანებეთ თავი მის მხარდაჭერას, თორემ ძალიან ინანებთ! **ღმერთმა არ ქნას, უკრაინა გაძლიერდეს და რუსებმა ომი წააგონ. უკრაინა საქართველოს მაშინვე თავს დაესხმება. ამერიკელები უკრაინელებისა და ზელენსკის ხელით ძალით დაამხობენ ხელისუფლებას და თავზე ნაციონალებს დაგვასვამენ.** ამის შემხედვარე რუსეთი კი ერთ მშვენიერ დღესაც ტექტონიკურ იარაღს გამოიყენებს, ზელენსკიან-სააკაშვილიანად საბოლოოდ გაანადგურებს ჩვენს ქვეყანას და ყველაფერი ამით დასრულდება!

**— ეს ცუდ ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას...**

— რა შეუშლით ხელს? მათ უკან ხომ ამერიკა და ევროპა დგას?! ოფიციალური მიზეზის პოვნა ყველაზე ადვილია. ცერეუსა და ფებეერს პროვოკაციების მეტი რა დაუგეგმავთ. ბოლო-ბოლო, უკრაინის ელჩს მოკლავენ და იმაზე ააგორებენ კამპანიას. ეს ჩემი სიტყვები არ არის, ამას უკრაინის ოფიციალური პირები აცხადებენ! ძალიან დიდი ხიფათის წინაშე ვდგავართ. შეიძლება, ამ ანტირუსული ისტერიის გამო ისეთ დღეში აღმოვჩნდეთ, რომ რუსეთი მოგვენატროს!



## „მიწისძვრების ხელოვნურად გამოწვევა რუსებსაც შეუძლიათ და ამერიკელებსაც!“

საქართველოს ტერიტორიაზე გაუბედურებულ, დატანჯულ უკრაინელებთან ერთად სხვა კონტინენტიც შემოვიდა, ვითომ ომისგან გამოქცეულები, სინამდვილეში ზელენსკის გამოგზავნილი ჯგუფები. მათ ძალიან კარგი აპარტამენტები აქვთ აღებული სასტუმროებში და მზად არიან საქართველოში სიტუაციის ასარევად. იმასაც ვიტყვი, რომ რუსეთიდან საქართველოში მხოლოდ ბომჟები არ ჩამოსულან, საკმაოდ დახვეწილმა ინტელექტუალმა ადამიანებმაც გადმოკვეთეს საზღვარი, რომელთაგანაც ბევრია საკმაოდ მაღალი დონის პროგრამისტი. მათ თითქმის დაიპყრეს ჩვენი კომპიუტერული ველი და ცოტა ხანში შეიძლება მათ ხელში აღმოჩნდეს მთელი ჩვენი კომპიუტერული სისტემა.

**ძალიან ბევრია ხელისუფლების სწორ და პრინციპულ ნაბიჯებზე დამოკიდებული. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხაბეიშვილსა და მის უკან მდგომ ძალებს სერიოზული დაფინანსება აქვთ და მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ!**

კიდევ ერთხელ მივმართავ **ირაკლი ღარიბაშვილს,** დაასრულოს ეს ბაქანალია. წერტილი დაუსვას ნაციონალურ მოძრაობას და აქცენტები განათლებაზე, დემოგრაფიასა და ეკონომიკაზე გააკეთოს. მოჰკითხოს მინისტრს, გვერდით რომ უზის, რატომ ყიდის მიწებს არაბებზე? წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება სამართლიანად იფიქრებს, რომ „ოცნებას“ ნაციონალების პოლიტიკური სიკვდილი არ აწყობს.

## „ცერეუსა და ფებეერს პროვოკაციების მეტი რა დაუგეგმავთ. ბოლო-ბოლო, უკრაინის ელჩს მოკლავენ და იმაზე ააგორებენ კამპანიას!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ბუბა სანიკიძე**
*პოლიტიკოსი*



**აქ ბევრი ვაპირებთ ომს და მოგექცევით ისე, როგორც მოვექცევით შემოჭრილ რუსებს აქ, უარესად.** გაიგეთ ეს, გაუფრთხილდით საკუთარ თავს, ფიზიკურად. თქვენ რა გგონიათ, **უკრაინაში რამდენიმე ათასი ქართველი რომ იბრძვის, მეორე დღესვე აქ გაჩნდებიან** და დამხმარეც გვეყოლება, მთელი ცივილიზებული სამყარო. სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს.

„რეზონანსი“

**ბიძინა გიორგობიანი**
*საქართველოს გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი*



**ვიღაც „ქართველები“** უკრაინიდან ტანკებით შემოჭრით იმუქრებიან აფხაზეთის გავლით, რა თქმა უნდა, უკრაინელების იმედით. **ამ „უკროქართველების“** იმედით უკვე გუბაზი გვემუქრება, ადგილზე გაგისწორდებითო, მაგრამ ტელესტუდიაში გადაადგილება უჭირს. ნამდვილად **ხაბეიშვილის** გამარჯვებამ მოიყვანა შტურმის ხასიათზე ესენი და **ხაბეიშვილივით** გაილახება ვინმე ვატყობ.

„GTMEDIA“

**ვანო ნადირაძე**
*უკრაინაში მებრძოლი ქართველი*



პირადად მე, **ვანო ნადირაძე,** ერთი რიგითი ჩვეულებრივი მებრძოლი კაცი, ვაცხადებ ხმამაღლა, რომ **არასოდეს ქართველს არ ვესვრი, რა პოლიტიკური შეხედულებებიც არ უნდა ჰქონდეს,** არასოდეს არ მივიღებ მონაწილეობას ჩემი სამშობლოს არცერთი ქალაქის თუ სოფლის დანგრევაში. მე ჩემი ვთქვი და, ალბათ, ყველა თავის სათქმელს იტყვის, ვინც აქ უკრაინაში იბრძვის.

„GTMEDIA“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



ჩემი 24-წლიანი სტაჟიდან გამომდინარე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ **ვახტანგ გომელაური არის ყველაზე წარმატებული და ყველაზე კარგი მინისტრი.** ყველაზე გამართული უწყებებია **შსს** და **სუსი,** ზუსტადაც მაგიტომ ერჩიან მავანნი ორივე უწყებას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

***— „რამდენიმე დღის წინ სააკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა ჯეფრი სილვერმანმა თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა გაცილებით ადრე გამოთქმული ჩემი ვარაუდი, რომ უკრაინაში მყოფ ქართველ მეომრებს ამერიკული სპეცსამსახურები უახლოეს მომავალში საქართველოს ხელისუფლების დასამხობად გამოგზავნიან!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი საქართველოსა და უკრაინაში ტერიტორიული მთლიანობისათვის ომების ვეტერანმა, სააკაშვილის რეჟიმისგან პოლიტიკურმა დევნილმა, ვიცე-პოლკოვნიკმა დავით მარტიაშვილმა:***




# დავით მარტიაშვილი:

# თუ საქართველო რუსეთთან ომში ჩაებმება, რამდენიმე დღეში თურქეთის ჯარი აჭარასა და სამცხე-ჯავახეთს დაიკავებს!

— გასული წლის დეკემბერში თვალში მომხვდა უკრაინელი იურისტების მიერ პრეზიდენტ ზელენსკისადმი შედგენილი პეტიცია, რომელშიც ისინი პრეზიდენტს სთხოვდნენ, ვეტო დაედო ერთი კანონპროექტისთვის, თუმცა, პრეზიდენტმა მათი თხოვნა არ გაითვალისწინა და ამჟამად ის უკვე კანონს წარმოადგენს. კანონში არის ძალზე საინტერესო ერთი პასაჟი — **მეთაურის მიმართ მეომრის დაუმორჩილებლობაზე სასჯელი მკაცრდება და 5-დან 10 წლამდე სასჯელს ითვალისწინებს.** ცალკე არის გამოყოფილი ვარიანტი, როცა მეთაურს არ ემორჩილება მეომარი, რომელსაც ხელთ იარაღი უპყრია. ეს კანონი თავიდანვე აბსურდად მეჩვენა, რადგან უკრაინაში ომის მე-9 წლისთავზე არ მსმენია პრეცედენტი, მეთაურის მიმართ მეომარს დაუმორჩილებლობა გამოევლინოს, მაგრამ ანაზდად გამახსენდა უკრაინაში გადახვეწილი სააკაშვილის რეჟიმის ზონდერების მუქარა, რომლებმაც კარგად იციან სამხედრო საქმე, რადგან თავის დროზე ავღანეთისა და ერაყის ომები მოიარეს, მერე სამშობლოში უმუშევრებად იქცნენ და კარგი ანაზღაურების სანაცვლოდ უკრაინის არმიაში გამწესდნენ. „ქართული ლეგიონის“ მეთაური **მამუკა მამულაშვილი** თავიდან მაცდურ ხელფასებს ჰპირდება, მაგრამ ისეც მომხდარა, იქ ჩაყვანილი კაცი ყარაულად დაუყენებიათ, მისთვის მისაცემი ხელფასი კი თავად მოუხმარიათ... ამ ათასობით ქართველ მეომარში სააკაშვილის მხარდამჭერი მხოლოდ რამდენიმე ათეულია. როგორც ჩანს, უკრაინის ხელისუფლება ამერიკელი ინსტრუქტორების კარნახით, მართლაც აპირებს თავისი შეიარაღებული ძალების საქართველოში დესანტირებას. **დარწმუნებული ვარ, უკრაინის არმიაში მყოფი ქართველი მეომრების 95 პროცენტი ამ ბრძანების შესრულებაზე უარს იტყვის, მაგრამ ისინი მოხალისეები კი არა, კონტრაქტორები არიან და იანვარში მიღებული კანონის თანახმად, ბრძანების შეუსრულებლობის გამო უკრაინაში მძიმე სასჯელი მოელით...** პასუხისმგებლობა ემუქრებათ საქართველოშიც, რადგან

**საქართველოს კანონმდებლობა თავის მოქალაქეებს უცხო ქვეყანაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტებში თვითნებურ მონაწილეობას უკრძალავს... ზელენსკის ხელისუფლებამ ქართველ მეომრებს შეგნებულად შეუქმნა ასეთი გარემოება და საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების დასამხობად ბრძოლას აიძულებს!**

**— მაგრამ რა გზით შემოიყვანენ მათ საქართველოში? უკრაინას ხომ საქართველოსთან საერთო საზღვარი არ გააჩნია?**

— სამხედროებს დესანტის სახით გადასხამენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ვითომც საოკუპაციო რეჟიმისგან აფხაზეთის გასათავისუფლებლად. მაგრამ რუსეთის სამხედრო შენაერთებთან ბრძოლის მერე ზურგისკენ, ანუ თბილისისკენ დაიხევენ. გაიხსენეთ სააკაშვილის ყოფილი ზონდერის ყარალაშვილის ამასწინანდელი მუქარა, რომ აფხაზეთიდან შემოვლენ და სააკაშვილის მოწინაალმდეგეებს ტანკებით გადაუვლიან! ეს არის რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველოს ჩათრევის ერთ-ერთი რეალური ვარიანტი, რადგან ამ ბრძოლაში აუცილებლად ჩაერევა სამაჩაბლოში რუსების სამხედრო ბაზებზე განლაგებული მძლავრი ტექნიკა.

**— საქართველომ ჯერჯერობით შეძლო ომისთვის თავის არიდება, მაგრამ ბეწვის ხიდზე მოუწევს გავლა, რომ ანაზღად რუსეთისა და ნატოს შეტაკების პოლიგონად არ იქცეს...**

— ამ შემთხვევაში აქ ქვა-ქვაზე აღარ დარჩება და არამცთუ საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ქართველების ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგება. ამასთან, რუსეთთან მეორე ფრონტის გახსნის პარალელურად, წინა პლანზე იწევს — აჭარასა და ჯავახეთზე თურქეთის მზარდი მადის საკითხი. რუსეთის შემაკავებელი ფაქტორის გამო თურქეთი საქართველოზე თავდასხმას ვერ ბედავს, თუმცა, აუცილებლად ისარგებლებს, თუ მოვლენები 1921 წლის სცენარით განვითარდება, როცა **ნოე ჟორდანიამ** ინგლისის წაქეზებით მოაწერა ხელი თურქეთთან შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც თურქული ჯარი ტაო-კლარჯეთსა და ბათუმში შემოვიდა ამ ტერიტორიების დაცვის მიზეზით, მაგრამ დაუყოვნებლივ მოახდინა მათი ოკუპაცია. მეტიც — ტაო-კლარჯეთში ქართველთა შემზარავი ეთნოწმენდა განხორციელდა, მაგრამ ეს ჩვენი ისტორიის „უხერხული“ და კარგად დავიწყებული ეპიზოდია, რადგან ლიბერასტული პროპაგანდის მიხედვით რუსეთი — ოკუპანტი, თურქეთი კი მოკავშირე ქვეყანაა, იმის მიუხედავად, რომ ერდოღანი ჯავახეთს თურქულ მიწად მიიჩნევს და ლექსებს უძღვნის. უფრო მეტიც, თურქეთში გამოცემულ რუკებში აჭარა და ჯავახეთი მის შემადგენლობაში მოიაზრება. 2023 წლის 14 მაისს თურქეთში საპრეზიდენტო არჩევნებია და ერდოღანს გასამარჯვებლად ჰაერივით სჭირდება ეროვნული გმირის მანტია. **პირდაპირ გეუბნებით — თუ საქართველო რუსეთთან ომში ჩაებმება, რამდენიმე დღეში თურქეთის ჯარი აჭარასა და სამცხე-ჯავახეთს დაიკავებს!**

**— ნუთუ ჩვენი „მოკავშირე“ ამერიკა დაუშვებს, რომ თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა საქართველოს საზღვრები გადმოლახონ?**

— თურქეთი ნატოს წევრი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც რეგიონში ნატოს სწრაფი რეაგირების ჯარების სარდლობას ახორციელებს, ამდენად, საქართველოში შემოჭრა მას ოკუპაციაში კი არა, პირიქით — რუსეთის ოკუპაციისგან საქართველოს დაცვაში ჩაეთვლება! უფრო მეტიც — შეიძლება, მოვლენები 1921 წლის მსგავსად განვითარდეს, როდესაც რუსეთის ოკუპაციისგან თავის დასაცავად თავად საქართველოს ხელისუფლებამ მოიწვია თურქეთი! ახლაც,

**თუ საქართველო რუსეთთან ომში ჩაებმება, საქართველოს უმაღლესი მთავარსარდალი, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აუცილებლად ნატოს მიმართავს დახმარების თხოვნით; ნატოს ეგიდით კი საქართველოში თურქეთის ჯარები შემოვლენ!**

ქართველ ხალხს არანაირი რესურსი და პოტენციალი არ გააჩნია თურქეთის წინააღმდეგ და, უკეთეს შემთხვევაში, ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორც 1921 წელს, როდესაც, ბედის ირონიით, თურქული ოკუპაციისგან ბათუმი საბჭოთა ხელისუფლების დასახსნელი გახდა! ამიტომ პირდაპირ გეუბნებით — ნაციონალური მოძრაობა, ერთი მხრივ, თურქული დაზვერვის და, მეორე მხრივ, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ინტერესებს ემსახურება.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— უკრაინაში მიმდინარე ომში საქართველოს მიუმხრობლობის პოლიტიკა ერთადერთი სწორი გამოსავალია, მაგრამ მიკვირს საქართველოს ხელისუფლების, რომ ერთი მუჭა ნაცების თავგასულობას ითმენს და საკანონმდებლო დონეზე აქამდე არ აუკრძალავს ომის პროპაგანდა!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**



**ჯეფრი სილვერმანი,**
**ამერიკელი ჟურნალისტი, სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი:**

**— „ქართული ლეგიონი“ ამერიკულმა სადაზვერვო სამსახურებმა ბინძურ ფულზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეს. ისინი თავს პატრიოტულ ორგანიზაციად წარმოაჩენენ, სინამდვილეში „ალ-ქაიდას“ მსგავსი გაერთიანებაა, რომელიც ხალხს ასწავლის, არ იომოს უკრაინაში, არ იბრძოლოს უკრაინაში დემოკრატიის მოსაპოვებლად, არამედ საქართველოში დაბრუნდეს ლეგალურად არჩეული საქართველოს ხელისუფლების დასამხობად, რადგან დასავლეთმა, განსაკუთრებით აშშ-მა იცის, რომ ეს ომი წაგებულია და ყველა ეს მებრძოლი, მთელი ეს ტექნიკა უნდა დაბრუნდეს, მაგრამ სად უნდა წავიდნენ? ევროპას არ სჭირდება ეს ხალხი, არც ამერიკას სჭირდება, საქართველოში კი ხელგაშლილად მიიღებენ და სწორედ მაშინ დაიწყება უბედურება!**

## კვირგვინოსნები

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნას“ ლიდერი*



ბანკებს **მოსახლეობის გალატაკებაში** ლომის წილი უდევთ.

„ახალი თაობა“

**გია ნოდია**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიცია **აქციებით ხელისუფლებას ვერ აიძულებს,** რომ **სააკაშვილი** გაათავისუფლოს. თუ ისინი უფრო რადიკალურ მეთოდებს გამოიყენებენ, ამით მხოლოდ საკუთარ თავს დაასუსტებენ.

„ახალი თაობა“

**მამუკა გვაძაბია**
*ანალიტიკოსი*



მე იმ ფონდს რა ვუთხარი, რომელიც **კობახიძეს** ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით დააჯილდოებს. ეს ხომ მკრეხელობაა. ეს ხომ პირდაპირ მარაზმია! **საქართველოში თუ არ ირღვევა ადამიანის უფლებები, აბა სად ირღვევა!**

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*პოლიტოლოგი*



თვალში საცემია **ხაბეიშვილის** გამოუცდელობა და მოუმზადებლობა, ისეთ განცხადებებს აკეთებს, რა უფლებით ან ვისი სახელით? თუ ასე გააგრძელა, ალბათ, **ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხი დადგება.**

„რეზონანსი“

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ნაცმოძრაობის იწილობიწილო **2024 წლამდე** არ დამთავრდება. **2024 წელს** ისინი სერიოზულ დარტყმას მიიღებენ და ერთ რიგით პარტიად დარჩებიან.

„ახალი თაობა“



**„ᲡᲐᲜᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲡ!“**



## ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲘᲡᲐᲘᲐ:

# ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲚᲘᲢᲐ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲜᲔᲜ!

***პოლიტოლოგი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲘᲡᲐᲘᲐ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში შექმნილ კრიზისულ ვითარებას აანალიზებს და 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, დიდი ალბათობით, ისევ დონალდ ტრამპისა და ჯო ბაიდენის დაპირისპირებას პროგნოზირებს:***

— განცხადებები და ცნობები იმის შესახებ, რომ უკვე მოხუცმა პრეზიდენტმა **ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲛᲐ** 2024 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში შესაძლოა, მეორეჯერაც იყაროს კენჭი, იმის აშკარა დასტურია, რომ ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში მწვავე კრიზისია. პირველ რიგში, ეს ეხება ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას. უმძიმესი კრიზისია დემოკრატიულ პარტიაში, სადაც ჯერჯერობით არ ჩანს ისეთი ფიგურა, რომელიც ამოდენა ქვეყნის საპრეზიდენტო სავარძლისათვის ბრძოლის დაწყებას გაბედავს. გარდა ამისა, შეერთებული შტატების დემოკრატიულ პარტიაში არსებობენ ურთიერთდაპირისპირებული ფრაქციები, რომლებიც კონსოლიდაციის საშუალებას არ იძლევიან. აქედან გამომდინარე, მოხუცი **ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ** დემოკრატიულ პარტიაში წარმოადგენს ერთგვარ მაკონსოლიდირებელ ელემენტს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკის მმართველ პოლიტიკურ სისტემაში სახეზე გვაქვს ერთგვარი სოვეტიზაციის ნიშნები. აი, მაგალითად, საბჭოთა კავშირში **ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝ,** მიუხედავად იმისა, რომ ორივე მიხრწნილი მოხუცი გახლდათ, მაინც ფლობდნენ პარტიის შემაკავშირებელ მუხტს. სწორედ ასეა ამერიკაშიც — **ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲛᲘᲮᲠᲬᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ.** ამიტომაც, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სრულებითაც არ იქნება გასაკვირი, თუ ბაიდენი მეორეჯერაც შეეცდება საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას!



ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ



ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝ



ᲯᲝᲖᲔᲤ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის ფაზაში შევიდა?**

— პოლიტიკურ სისტემაზე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ პრეზიდენტი ბაიდენი და ამერიკის პოლიტიკური ელიტა ბრეჟნევისა და ჩერნენკოს ფაზაში შევიდნენ! სხვათაშორის, ამერიკის რესპუბლიკურ პარტიასაც ზუსტად იგივე პრობლემები უდგას, რაც დემოკრატებს... რესპუბლიკურ პარტიაში დონალდ ტრამპზე უფრო გავლენიანი ადამიანი დღემდე ვერ გამოიკვეთა, რაც ქმნის იმის ძალიან მაღალ ალბათობას, რომ 2024 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებზე მთავარი კონკურენტები, დიდი ალბათობით, კვლავ **ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ ᲓᲐ ᲯᲝ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ** იყვნენ! საბჭოთა პოლიტიკურ ელიტაში **ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ** მაინც ჩანდა, როგორც ერთადერთი ახალგაზრდა ლიდერი, რომელზეც ფსონი დაიდო, მაგრამ ამერიკაში ასეთი ახალგაზრდა ლიდერი არც დემოკრატებსა და არც რესპუბლიკელებში არ ჩანს. ამიტომაც ვამბობ, რომ ამერიკის პოლიტიკური ელიტა ჩიხშია!

**— დღეს არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ტრამპს გაუყალბეს, რასაც ამერიკაში დიდი ვნებათაღელვა და კაპიტოლიუმის შენობაში ხალხის შევარდნა მოჰყვა. თუ 2024 წელსაც ისევ ტრამპი და ბაიდენი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორ ფიქრობთ, არჩევნების გაყალბება ისევ მოსალოდნელია?**

— ამჯერად არჩევნების გაყალბებას ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვრიცხავ! ამას ბევრი მიზეზი აქვს — ბაიდენის ადმინისტრაციამ ვერავითარი ეფექტი ვერ აჩვენა, მან გამოავლინა დაბერების, ანუ გერონტოკრატიის ტენდენციები და ყველაზე მთავარი — წარმომადგენელთა პალატას დღეს აკონტროლებენ რესპუბლიკელები, ხოლო ტრამპის დროს სენატში დემოკრატები დომინირებდნენ! ამ ყველაფერს აუცილებლად უნდა დავუმატოთ ის სკანდალები, რომლებიც არ ცხრება ბაიდენის გარშემო და დაკავშირებულია მის სახლებში გადამალულ საიდუმლო დოკუმენტებთან. მოკლედ, რასაც დემოკრატები ტრამპის ჩასაძირად აქტიურად იყენებდნენ, ყველაფერი ბუმერანგივით მიუბრუნდათ და დღეს ბაიდენი თავის მართლების რეჟიმშია ჩაყენებული. ფაქტია, რომ ყველა ზემოხსენებული ფაქტორი ტრამპის სასარგებლოდ მუშაობს, ამიტომ 2024 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებას გამოვრიცხავ!

**— წინა არჩევნები ნამდვილად გაყალბდა?**

— დიახ, გაყალბდა! მე ტრამპს ვგულშემატკივრობდი, საქართველოში ტრამპის მხარდამჭერთა ასოციაციის წევრიც კი გავხდი და დარწმუნებული ვარ, რომ მას არჩევნები მართლაც გაუყალბეს!

**— ფაქტია, რომ სააკაშვილის ოჯახი უზარმაზარ ფულს ხარჯავს, რათა ის პატიმრობიდან დაიხსნას! მოახერხებენ თუ არა ამას მისი ლობისტები? და კიდევ: არის თუ არა სააკაშვილი დაბრკოლება ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების გზაზე?**

— **ᲡᲐᲜᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲡ!** იგი გახლავთ ჩამოწერილი და მარგინალური ძალა. ერთადერთი, რის გამოც სააკაშვილის სახელით საქართველოს ხელისუფლებაზე უცხოელების ინდიკაცია ხდება, რუსეთისადმი ჩვენი ნეიტრალური პოზიცია და უკრაინის ომში ჩაურევლობაა. არავითარი სხვა დატვირთვა და ინტერესი უცხოელების თვალში სააკაშვილის პერსონას აღარა აქვს!

*ესაუბრა*

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲐᲜᲐ ᲑᲣᲩᲣᲙᲣᲠᲘ**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



ნაციონალურ მოძრაობას **რესურსი აღარ აქვს და მორჩა,** ჯერ კიდევ **ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲛ** უწინასწარმეტყველა, რომ ქუჩის ოპოზიციად დარჩებოდა.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲓᲔᲕᲘ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



აქცია **ყოველდღე მოიმატებს რაოდენობაშიც და ხარისხშიც,** ბოლოს და ბოლოს, ავიღებთ და ერთ მშვენიერ დღეს „ქართულ ოცნებასაც“ გადავაყირავებთ.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ**
*პოლიტიკოსი*



ვინც ქვეყნის მომავლის ჯოჯოხეთში დაწვა გადაწყვიტა, თავად დაიწვება ჯოჯოხეთში, ვისაც ჰგონია, რომ გვარი **ᲐᲠᲔᲕᲐᲫᲔ** აქვს, მისი შვილები და შვილიშვილები გვარს გადაიკეთებენ, რადგან **ᲐᲠᲐᲕᲘᲫᲔᲡ** დაუძახებენ.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



კლუბად გარდასახული **„პოლიტიკური საბჭოს“** ლეგიტიმაცია არის ნულის ტოლი — უარს ვამბობ, ვიყო **„ყრილობის“** მიერ დამტკიცებული **„პოლიტიკური საბჭოს“** წევრი.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲘᲠᲗᲐᲫᲔ**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნაციონალური მოძრაობის **პოლიტსაბჭოს წევრად ისე ამირჩიეს, რომ ჩემთვის აზრი არავის უკითხავს** — არ ვაპირებ, ვიყო იმ ორგანოს წევრი, რომლის დაკომპლექტების წესი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



საპარლამენტო საქმიანობის **დროებით შეწყვეტა** ამ შემთხვევაში ეფექტური ვერ იქნება — **ბოიკოტის რეჟიმში** ყოფნით კომფორტს ვუქმნით სახელისუფლებო პარტიას.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2025 წლის იანვრიდან სამედიცინო დაწესებულებებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობის და სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღების შესაძლებლობა მხოლოდ საერთაშორისო სტარდარტების დაკმაყოფილებისა და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში ექნებათ.**

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **ზურაბ აზარაშვილის** განმარტებით, მსოფლიოში საერთაშორისო აკრედიტაციის რამდენიმე სტანდარტი მოქმედებს. **სამინისტრო კლინიკებს 2-3 სტანდარტიდან ერთ-ერთის არჩევის საშუალებას მისცემს, რომელთა დაკმაყოფილების ვალდებულებაც 2025 წლიდან ექნებათ და მხოლოდ მათი შესრულების შემდეგ შეძლებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობას.**

ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნით, უკვე 2023 წლის ბოლოსთვის ყველა კლინიკას ევალება, რომელიმე საერთაშორისო კომპანიასთან ჰქონდეს ხელშეკრულება და დაიწყოს მზადება საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად. სამინისტროს მიერ აღიარებული საერთაშორისო მასერტიფიცირებელი კომპანიების ჩამონათვალშია როგორც გერმანული „KTQ", ასევე ამერიკული და კანადური მაკრედიტებელი კომპანიები.

**ჩაფიძის გულის ცენტრი** ჯერ კიდევ 2014 წელს ერთადერთი კლინიკა იყო ქართულ რეალობაში, რომელმაც საკუთარი ინიციატივით დაიწყო მუშაობა საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად.

**რას გულისხმობს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ სამედიცინო დაწესებულებები საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად? აღნიშნული საკითხების შესახებ ვესაუბრებით აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს, მედიცინის დოქტორს რევაზ ჯორბენაძეს.**

# რევაზ ჯორბენაძე:

## აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი იყო პირველი კლინიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელმაც 2016 წელს „KTQ"-ს სერტიფიცირება გაიარა!





www.ktq-international.com

Kooperation für Transparenz und Qualität im Gesundheitswesen

KTQ International Zertifikat

ZERTIFIKAT

Die Kooperation für Transparenz und Qualität International im Gesundheitswesen GmbH

verleiht dem

**G. Chapidze Emergency Cardiology Center**

**Nino Djavakhishvili st,0159 Tbilisi, Georgia**

nach erfolgreichem Abschluss der Pilotzertifizierung in Georgien das KTQ-International Zertifikat in Anwendung des KTQ-Manuals Krankenhaus Version 2015/1.

**Bewertet wurde das interne Qualitätsmanagement in den KTQ-Kategorien**

- Patientenorientierung
- Mitarbeiterorientierung
- Sicherheit und Risikomanagement
- Informations- und Kommunikationswesen
- Unternehmensführung
- Qualitätsmanagement

| | |
|---|---|
| Erteilt durch | KTQ International GmbH |
| Gültig vom | 02.11.2016 |
| bis | 01.11.2019 |
| Zertifikatsnummer | 2016-01 KH/GE |

Thomas Meißner, Gesellschaftervertretung · Gesine Dannenmaier, Geschäftsführerin · Peter Bechtel, Gesellschaftervertretung

**— ბატონო რევაზ, 2025 წლიდან საქართველოში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისათვის სავალდებულო ხდება საერთაშორისო აკრედიტაციის გავლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლინიკები საყოველთაო დაზღვევის პროგრამიდან ჩაიხსნებიან. ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია და აღმოვაჩინეთ, რომ თქვენმა კლინიკამ ჯერ კიდევ 2016 წელს მოიპოვა საერთაშორისო აკრედიტაცია. რამდენად რთული იყო საერთაშორისო, ევროპული სტანდარტების დანერგვის პროცესი და, ზოგადად, რატომ გადაწყვიტეთ, ამ რთულ გზას ნებაყოფლობით დადგომოდით?**

— უპირველეს ყოვლისა, მივესალმები სამინისტროს ინიციატივას. საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა კლინიკებში ნიშნავს პაციენტებისათვის უფრო ხარისხიანი და უსაფრთხო სერვისის მიწოდებას, რომელიც ევროპულ სტანდარტს გაუტოლდება. მართალი ბრძანდებით, აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი იყო პირველი კლინიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელმაც 2016 წელს „KTQ"-ს სერტიფიცირება გაიარა. ჩვენი ცენტრი ჩამოყალიბდა 1994 წელს. აღჭურვა და ადამიანური რესურსების მომზადება მოხდა საქართველოს მთავრობის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით. მის ბაზაზე 1997 წელს საქართველოში პირველი გულ-სისხლძარღვთა კათეტერიზაციის ლაბორატორია გაიხსნა, სადაც ხორციელდება ინტერვენციული კარდიოლოგიური პროცედურები **(კორონაროგრაფია, ანგიოპლასტიკა, სტენტირება)**, ხოლო 2001 წ. შეიქმნა ცენტრის კარდიოქირურგიული განყოფილება, სადაც ყველა სახის კარდიოქირურგიული ოპერაცია ტარდება **(კორონარული შუნტირება, ოპერაციები სარქვლებზე, აორტაზე,** ე.წ. „ოზაკის" ოპერაცია, რომელსაც ევროპაშიც კი მხოლოდ რამდენიმე კარდიოლოგიური ცენტრი ატარებს).

2014 წელს გადავწყვიტეთ, მაქსიმალურად შეგვემოწმებინა საკუთარი თავი, რამდენად ვიმსახურებდით ლიდერის სტატუსს. ჩვენი პარტნიორი კლინიკა გერმანიაში არის ფრაიბურგის უნივერსიტეტის გულის ცენტრი, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია, როდესაც ვიწყებდით საქართველოში ინტერვენციული კარდიოლოგიისა და კარდიოქირურგიის განვითარებას. 2014 წელს სწორედ ჩვენს პარტნიორებს ვთხოვეთ დახმარება. გვსურდა, მოგვეძიებინა ავტორიტეტული საერთაშორისო კომპანია ევროპაში, რომელიც შეამოწმებდა ჩვენს ცენტრში მიმდინარე პროცესებს, რათა კლინიკა შესაბამისობაში მოგვეყვანა ევროპულ (კერძოდ — გერმანულ) ხარისხთან, როგორც სამედიცინო მომსახურების, ასევე ტექნიკური საკითხებისა და სწორი მენეჯმენტის კუთხით. სწორედ ჩვენმა გერმანელმა პარტნიორებმა გვირჩიეს **„KTQ" მაკრედიტებელი საერთაშორისო ორგანიზაცია,** რომლის მოთხოვნებს გერმანიაშიც კი ვერ აკმაყოფილებს ყველა კლინიკა და ვერ იმსახურებს მათ სერტიფიკატს.

2014 წელსვე დავუკავშირდით აღნიშნულ ორგანიზაციას ჩვენი პარტნიორების საშუალებით და „KTQ" ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩაფიძის გულის ცენტრში მოვიწვიეთ.

**— შემდეგ როგორ განვითარდა პროცესები და დაახლოებით რა პერიოდი დაგჭირდათ, რომ კლინიკაში საერთაშორისო სტანდარტები დაგენერგათ?**

— მოწვეული ექსპერტები გაეცნენ კლინიკაში არსებულ სიტუაციას, მოგვცეს რეკომენდაციები, მიგვითითეს ნაკლოვანებებზე, გვირჩიეს გარკვეული სერვისების გაუმჯობესება, რათა მივახლოვებოდით გერმანულ სტანდარტს და მიგვეღო მათი სერტიფიცირება. ამ მეტად რთული და საპასუხისმგებლო ნაბიჯით მხოლოდ საკუთარ თავს და პაციენტებს დავუმტკიცეთ, რომ ვიმსახურებდით ქვეყნის წამყვანი კლინიკის სტატუსს. უკვე 2016 წლიდან თამამად ვამბობთ, რომ ჩვენთან პაციენტი იღებს ყველაზე მაღალკვალიფიციურ დახმარებას აბსოლუტურად ყველა ასპექტში.

ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებისა და ევროპული სტანდარტების სისტემის დანერგვისთვის დაახლოებით ორწლიანი შრომა დაგვჭირდა. უკვე 2016 წლის ნოემბერში აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში სამედიცინო მომსახურების გერმანულ სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიცირება, რომელსაც გერმანული აუდიტორული კომპანია „KTQ-International"-ს ექსპერტები ახორციელებდნენ, წარმატებით დასრულდა.

**— როგორია მათი სტანდარტები და რამდენად განსხვავდება შეფასების კრიტერიუმები ქართულ რეალობაში არსებული კრიტერიუმებისგან?**

— სერტიფიცირების მისაღებად საჭიროა, 100-ბალიანი შეფასების სისტემიდან მინიმუმ 60-65 ქულა მოაგროვო. ეს იყო არამარტო ტექნიკური, ეპიდემიოლოგიური, ინფექციის კონტროლის, ამავე დროს მენეჯმენტისა და პაციენტთა თუ თანამშრომელთა კმაყოფილების მიმართულებები. პაციენტის კლინიკაში შემოსვლიდან მის გაწერამდე მოწმდება რეგისტრატურის, დაცვის სამსახურის, ლაბორატორიის, დიაგნოსტიკის, თითოეული დეპარტამენტის და მათი თანამშრომლების (ექიმი, ექთანი) მუშაობა, პაციენტთა ნაკადების მოძრაობა, დროის მენეჯმენტი, მედიკამენტების რაციონალური ხარჯვა, ინფექციის კონტროლი, პაციენტთა და თანამშრომელთა კმაყოფილება. არის 15 თავი, რომელიც, თავის მხრივ, ქვეთავებად იშლება და ყველა პუნქტში მკაფიოდაა გაწერილი ის ნორმები და სტანდარტები, რომელთა ერთობლიობა მაქსიმალურად არის მორგებული მომსახურების ხარისხზე, პაციენტთა და თანამშრომელთა

# საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული ქართული კლინიკები:

## კვირგვინოსნები

**ლიკა თუმანიშვილი**
*მიშა თუმანიშვილის ქალიშვილი, ხელოვნებათმცოდნე*



მამას არ უნდოდა, რომ მის პროფესიას გავყოლოდი. **კოსმოსში უფრო გამიშვებდა, ალბათ, ვიდრე თეატრში.** ეს ძალიან მძიმე სამყაროაო, ამბობდა. გარედან ჩანს დღესასწაულიო. **აბა, ინფარქტები რატომ დაემართა?** ერთ წელიწადში სამჯერ.

„კვირის პალიტრა"

**მამუკა ჩარკვიანი**
*კომპოზიტორი*



**ფეხი უნდა მოეკვეთათ, მაგრამ არ ვქენი.** ჰოლანდიაში გაკეთდა ოპერაცია. შემინარჩუნდა ფეხი, ოღონდ ეს მოხდა 8 წლის წინ. ახლა დამეწყო ისევ. **ახლა არ ვიცი, მოვიკვეთავ ფეხს თუ არა.** სიცოცხლე კარგი რამეა და გინდება კაცს. 80 ათასიდან 100 ათასამდე ჯდება ეს ოპერაცია. თუ არ დაგაფინანსა ვიღაცამ, **მოკვეთილი გაქვს ფეხი.** არის ლიმფური ანთებები.

„სარკე"

**ნინო ზაუტაშვილი**
*ჟურნალისტი*



ერთხელ დედამ მომიყვა, **როგორ აწყენინეს თეატრში, როგორ წაახალისეს სხვა მსახიობი და ის დაჩაგრეს.** დღემდე მკაფიოდ მახსოვს, როგორ მეტკინა გული და როგორ გადავწყვიტე, რომ **დედის მაგივრად უნდა მეძია შური ყველაზე, ვინც მას აწყენინა.** ამიტომ გადავწყვიტე, მსახიობი გავმხდარიყავი.

„თბილისელები"

**მიხეილ ბედინაშვილი (ბედინა)**
*რეპერი*



მამას სიცოცხლეშივე შევპირდი: შვილი რომ მეყოლება, ბიჭი, აუცილებლად შენს სახელს, პაატას დავარქმევმეთქი და ეს დამრჩა ასასრულებელი. **46 წლის ვარ და დამიჯერეთ, არასოდეს გამიკეთებია ნარკოტიკი, არ მჭირდება ამით „კაიფი".** მირჩევნია, ნატურალური ღვინო მივირთვა.

„თბილისელები"




უსაფრთხოებაზე.

ამ ორი წლის განმავლობაში იყო რამდენიმე ვიზიტი. პირველი გაცნობითი ხასიათის, შემდეგ უშუალოდ ექსპერტები გვეწვივნენ, ვინც მოგვცეს პირდაპირი რეკომენდაციები, როგორ უნდა მოვრგებოდით სტანდარტებს. 2016 წელს კი უკვე შემოწმების მიზნით ჩამოვიდნენ პრაქტიკული გამოცდილების, სხვადასხვა დიდ სამედიცინო ცენტრებში მომუშავე ექსპერტები.

**— ფაქტია, რომ ეს რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო წარმატებით დასრულდა. სამედიცინო დაწესებულების რომელი რგოლის პასუხისმგებლობაა აღნიშნული მოცულობითი სამუშაოს შესრულება და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგება?**

— ეს არის თითოეული ჩვენი თანამშრომლის დამსახურება და გუნდური მუშაობის შედეგი. **აღნიშნული სერტიფიცირებით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია, ისეთივე ხარისხის სამედიცინო დახმარება გავუწიოთ საქართველოს მოქალაქეებს, როგორსაც ისინი მიიღებდნენ ევროპის ნებისმიერ კლინიკაში.** სწორედ ამიტომ აღვნიშნავ, რომ სერტიფიცირების პროცესის წარმატებულად დასასრულებლად საჭიროა ინტენსიური გუნდური მუშაობა მრავალი მიმართულებით — კარისკაციდან და დამლაგებლიდან დაწყებული, გენერალური დირექტორით და კლინიკის მთავარი სპეციალისტებით დამთავრებული. თუკი ერთი რგოლი მაინც ჩავარდნილია, სერტიფიცირების პროცესს ვერ გაივლი. „KTQ-International"-ის მიერ მინიჭებული სერტიფიკატი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის მომსახურების ხარისხი შეესაბამება უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს.

**— დაახლოებით რა პერიოდი სჭირდება უშუალოდ კლინიკის შემოწმების პროცესს, როგორია შემოწმების მეთოდები და მიუხედავად 2-წლიანი აქტიური მუშაობისა, შესაძლებელია თუ არა, რომ კლინიკამ აკრედიტაციის პროცესი მაინც ვერ გაიაროს და ვერ მიიღოს სერტიფიკატი?**

— 2016 წელს ჩვენს შემთხვევაში დასჭირდათ ხუთი დღე. ყველა ექსპერტი ერთობლივად იწყებს მუშაობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. რესერტიფიცირების დროს უკვე სამი დღეა საკმარისი. რასაკვირველია, თუკი არ არის გათვალისწინებული მათი რეკომენდაციები, ვერ დააკმაყოფილებ კრიტერიუმებს და ვერ გადალახავ მინიმალურ ზღვარს, კლინიკა ვერ მიიღებს სერტიფიკატს. **სერტიფიცირების შემდეგ ყველას დეტალურად აქვს გაწერილი ინსტრუქციები,** რაც ძალიან აადვილებს და სასიამოვნოს ხდის მუშაობის პროცესს. ზოგ თანამშრომელს 2 პუნქტი აქვს, ზოგს — 20 და ა.შ. კლინიკის მაღალი სტანდარტებით მუშაობის პროცესი საათივით აწყობილი მექანიზმია. აქ არ არსებობს მნიშვნელოვანი ან ნაკლებად მნიშვნელოვანი რგოლი. საათის მექანიზმი გაჩერდება, ერთი ჭანჭიკიც რომ ამოვარდეს.

**— ეს სერტიფიკატი არ არის მუდმივი და რესერტიფიცირებას საჭიროებს?**

— სერტიფიკატი მუდმივი არ გახლავთ და სამ წელიწადში ერთხელ აუცილებელია რესერტიფიცირება. ჩვენმა კლინიკამ ეს პროცესი უკვე გაიარა 2019 წელს. ყოველი მომდევნო შემოწმება უფრო რთულია, ვინაიდან ქულების ის რაოდენობა, რომელიც პირველი შემოწმების დროს დააგროვა კლინიკამ, შემდეგი შემოწმების დროს გაუმჯობესებული უნდა იყოს. თუკი პირობითად პირველ ჯერზე 70 ქულა გაქვს მიღებული, რესერტიფიცირების დროს სავალდებულოა, რომ 70 ქულაზე მეტი მიიღოს.

ვაწარმოებთ მუდმივად ანგარიშებს და სიამაყით მინდა, ვთქვა, რომ ჩვენი სტატისტიკური მონაცემები დიდად არ განსხვავდება თუნდაც გერმანიის წამყვანი კლინიკების მონაცემებისგან. რაღაც ნაწილში წინ ვართ კიდეც. თუნდაც კოვიდპანდემიის პერიოდში ჩვენს მიერ გატარებული კოვიდპაციენტების სტატისტიკური მონაცემები გამოჯანმრთელების თვალსაზრისით გერმანელების მონაცემებზე უკეთესი იყო.

**— ყველაზე მთავარი სტანდარტი კლინიკაში მაღალი დონის პროფესიონალიზმია. რამდენადაც ვიცი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა იყო სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლება. როგორ ახერხებს თქვენი კლინიკა ამ სტანდარტის დაკმაყოფილებას მაშინ, როდესაც ქვეყანაში აღარ არსებობს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი?**

**– ჩვენი თანამშრომლები მუდმივად გადიან სტაჟირებას საზღვარგარეთის ისეთ ცნობილ დაწესებულებებში, როგორებიცაა: ფრაიბურგის ბად კროცინგენის გულის საუნივერსიტეტო კლინიკა, ბერლინისა და მიუნჰენის გულის ცენტრები, ბელგიის ქალაქი ბრუგეს „AZ SINT-JAN BRUGGE HOSPITAL", თურქეთის, ავსტრიის წამყვანი კლინიკები და კვლევითი ცენტრები.**

იმდენად სწრაფად ვითარდება მედიცინა და იმდენი ახალი მკურნალობის მეთოდი ინერგება, რომ ჩამორჩენა დამღუპველია. ექიმი თავისი დროის მესამედს განათლებაზე უნდა ხარჯავდეს. გერმანიის მაგალითზე რომ ვისაუბროთ, ექიმს, რომელიც წელიწადში მინიმუმ 2 სამეცნიერო ნაშრომს არ გამოაქვეყნებს და არ მიიღებს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, თავიდან უწევს გარკვეული გამოცდების ჩაბარება. ასევე ქირურგი-ოპერატორი 100 ოპერაციას თუ არ აკეთებს წელიწადში, დისკვალიფიკაციად ეთვლება და გამოცდების გადაბარება უწევს. **ევროპაში სისტემა ისე არის აწყობილი, რომ ექიმს უნდა თუ არა, ვითარდება და მუდმივად იძენს განათლებას.** ჩვენ მაქსიმალურად ხელს ვუწყობთ ჩვენს თანამშრომლებს განვითარებაში. გარდა ამისა, ადრე არსებობდა უწყვეტი სამედიცინო განათლების კანონი, რომლის მიხედვითაც ექიმი ვალდებული იყო, კრედიტქულები დაეგროვებინა და რომელიც შემდეგ გააუქმეს. ახლა სამინისტრომ ისევ დააყენა ეს ვალდებულება. თუკი ექიმს ლიცენზია უნდა, წლის განმავლობაში სხვადასხვა დარგების მიხედვით განსხვავებული რაოდენობის კრედიტქულები უნდა დააგროვოს. არამარტო ექიმებისთვის, არამედ ექთნებისთვისაც არის ეს მოცემულობა განსაზღვრული. ჩვენი ექიმები მუდმივად ატარებენ ლექციებს თავისი კოლეგებისთვის, ერთმანეთისთვის, წერენ სამეცნიერო სტატიებს და ა.შ.

**— რა განსხვავებული სერვისები და მიდგომები აქვს თქვენს კლინიკას, როგორც საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე დაწესებულებას?**

— „KTQ"-ს სერტიფიცირების დაწესებულებასთან დაკავშირებამ საშუალება მოგვცა, განსაკუთრებული აქცენტი გაგვეკეთებინა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა პაციენტებსა და თანამშრომლებზე ორიენტაცია, უსაფრთხოება და რისკის მენეჯმენტი, ინფორმაცია და კომუნიკაცია, დაწესებულების მართვა-ხელმძღვანელობა, სამედიცინო ხარისხის სამსახურის მართვა, რითიც შესაძლებელი გახდა განვითარების მუდმივი სისტემის ფუნქციონირება ჩვენს კლინიკაში. ამავდროულად, ჩაფიძის გულის ცენტრს 2012 წლიდან ჰყავს კლინიკაში **ომბუდსმენი.** პაციენტთა კმაყოფილება და მათი უფლებების ზედმიწევნით დაცვა ჩვენი კლინიკის პრიორიტეტია. მუდმივად ვატარებთ პაციენტთა და თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევებს. „KTQ-International"-ის მიერ მინიჭებული სერტიფიკატით აღმოსავლეთ ევროპის სამედიცინო ბაზარზე ჩაფიძის კარდიოლოგიის ცენტრი არის პირველი დაწესებულება, რომლის მკურნალობის ხარისხი, მეთოდოლოგია, სამედიცინო პერსონალი, ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურა შესაბამისობაშია გერმანიის სამედიცინო დაწესებულებების სტანდარტების მოთხოვნებთან. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ რესერტიფიცირებას გაივლის, რაც ხელს შეუწყობს ცენტრის მიერ მიღწეული გერმანული ხარისხის შენარჩუნებას და მის მუდმივ განვითარებას საერთაშორისო სამედიცინო ჰოსპიტალური მკურნალობის სტანდარტების შესაბამისად!

**— დაბოლოს, რას ურჩევთ კლინიკებს, რომელთაც ახლა მოუწევთ იმ რთული და საპასუხისმგებლო გზის გავლა, რომელიც ჩაფიძის კლინიკამ 10 წლის წინ გაიარა?**

— ნუ შეშინდებიან! პირიქით, ძალიან მშვიდად და მოტივირებულად მიუდგნენ სერტიფიცირების საკმაოდ რთულ, მაგრამ ძალიან საინტერესო და სასარგებლო პროცესს. მთავარია ის, რომ ყველას ექნება აკრედიტაციის გავლის შემდგომ საოცარი სიმშვიდე. ჩვენ ვიცით, რომ ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე ჰქვია, ჩაფიძის კლინიკაში მაქსიმალურად არის დაცული და საერთაშორისო სტანდარტებით გამყარებული!

# P.S.

ძვირფასო მკითხველო, ბოლო პერიოდში, ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ხალხისათვის სასარგებლო არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. დღესავით ნათელია, რომ კლინიკებისათვის საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის ვალდებულებაც როგორც პაციენტთა, ასევე ექიმთა უფლებების დაცვასა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას ემსახურება. იქამდე კი, სანამ მთავრობის დადგენილების შესრულება სავალდებულო გახდება, 2 წელზე მეტია დარჩენილი. **იმედია, აღნიშნული გონივრული ვადა კლინიკებისათვის საკმარისი აღმოჩნდება იმ მინიმალური საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, რომელიც 2025 წლიდან საქართველოს მოსახლეობისათვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სიმშვიდის გარანტორი გახდება!**

*ესაუბრა* ***მეგი საჯაია***

# ჯანდაცვის სამინისტროს მორიგი ისტორიული გადაწყვეტილება!

## კვირგვინოსნები

**მამა საბა ჭიკაიძე**
*დეკანოზი*



მთელი პასუხისმგებლობით გეტყვით, რომ **დღეს უმრავლესობა კარგი და ღირსეული სასულიერო პირია.** რატომ მაინცდამაინც ცუდისკენ იხედები?! შენ თუ ქრისტესკენ სავალი გზა გაინტერესებს და გულწრფელი ხარ ამ გზაზე, **აუცილებლად დაინახავ ღირსეულ სასულიერო პირს.**

„სარკე"

**დიმიტრი ბატიაშვილი**
*მსახიობი*



ჩემთვის საამაყო ადამიანი რომ თავის საქმეს კარგად აკეთებს, მაშინ **შეიძლება, ცრემლები ვერ შევიკავო.** მაგალითად, ჩემი შვილები, მაგალითად, **ხვიჩა კვარაცხელია.** ხვიჩა ძალიან მაგრად რომ თამაშობს და გოლი გააქვს, არ ვზივარ და არ ვტირი, მაგრამ სიხარულის **ცრემლები ნამდვილად წამომსვლია.**

„თბილისელები"

**თამარიკო ჭოხონელიძე**
*მომღერალი*



წელს გავიაზრე, რომ ბოლო დაბადების დღე იყო, როცა ჩემი ასაკი ციფრი **5-იანით** იწყება. მომავალ წელს უკვე **6-იანი** დამეწერება. ამან ხასიათი გამიფუჭა, დავსევდიანდი.

„სარკე"

**გიორგი კეკელიძე**
*ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი*



არასოდეს გაიმეოროთ ისეთი შეცდომა, რომელიც მე დავუშვი. **ყველაზე არასწორია, როდესაც შენ შენი გადაწყვეტილებით ტოვებ ყველაზე მნიშვნელოვანს და ძვირფასს — სიცოცხლეს.**

„სარკე"

**გია მურღულია**
*ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი*



თუ **ყოველდღე** არ იბადები, ესე იგი, **ყოველდღე** კვდები!

„სარკე"

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!

ჰაიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი




დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2022 წლის №9-52, 2023 წლის №1-2,3-7

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავისი მემუარების ბოლო ნაწილში, სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად, ცალკე ქვეთავით გამოყოფს მის ურთიერთობას ცნობილ ამერიკელ **გენერალ პეტრეუსთან!** რა თქმა უნდა, მემუარისტი ამ შემთხვევაშიც ერთობ პიკანტურ-კულუარულ ინფორმაციებს აფრქვევს!

ცნობისთვის, **გენერალი პეტრეუსი** ჯერ — ერაყში, შემდეგ კი ავღანეთში კოალიციური ჯარების სარდალი იყო და სააკაშვილი ასეთი ამაღლებული პათოსით აღწერს მის სამხედრო წარმატებებს:

***„სანამ დანიშნავდნენ ერაყში, ამერიკელებს დანაკარგი დანაკარგზე ემატებოდათ, ვითარება უკიდურესად უარესდებოდა და იყო სრული განცდა, რომ დღე-დღეზე წააგებენ ომს ისევე, როგორც საბჭოთა კავშირმა წააგო ავღანეთში. ამ მარცხს გადაჰყვა ძალიან ბევრი ხელმძღვანელი ამერიკის ადმინისტრაციაში: თავდაცვის მინისტრი რამსფელდი, მკვეთრად შემცირდა ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის პოზიცია.***

***აი, ამ დროს დაინიშნა დავით პეტრეუსი, რომელმაც მთლიანად შეცვალა ამ ომის წარმართვის ლოგიკა და ბოლომდე აიყვანა კონტროლქვეშ სიტუაცია ერაყში. მკვეთრად შეამცირა დანაკარგები და შეავიწროვა აჯანყებულები“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 331).*

სააკაშვილი ყვება, როგორ და რა ვითარებაში გაიცნო **გენერალი პეტრეუსი**, რომელსაც ხან დავითად მოიხსენიებს, ხანაც — დევითად:

*„**დევით პეტრეუსი** გავიცანი ჩემს მეგობართან **ჰოლდბრუკთან (ცნობილ დიპლომატთან და სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანთან — გ.გ.)**, რომელმაც სადილი გაუმართა **პეტრეუსს** და საგანგებოდ დამპატიჟა მეც, მიუნხენში ერთ-ერთი კონფერენციის დროს.*

*შემდეგ მოხდა ასეთი რამ: **პეტრეუსი აპირებდა კენჭისყრას პრეზიდენტად, ობამას ეშინოდა და უნდოდა, გაენეიტრალებინა რეალური საფრთხე მეორე ვადით არჩევისას, ამიტომ პეტრეუსს შესთავაზა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორობა. პეტრეუსმა როგორც ჭეშმარიტმა სამხედრომ, ვერ თქვა უარი მთავარსარდლის მხრიდან ამ შეთავაზებაზე და, პრაქტიკულად, ამით ჩაიშალა მისი პრეზიდენტობის გეგმა“** (იქვე, გვ. 331).*

ანუ სააკაშვილმა ღიად ამხილა **ბარაკ ობამა** პეტრეუსის თანამდებობით მოსყიდვაში, ხოლო თავად პეტრეუსი — თანამდებობაზე გაყიდვაში! როგორც ჭეშმარიტმა სამხედრომ, უარი ვერ უთხრა მთავარსარდალს ცერეუს დირექტორის თანამდებობის შეთავაზებაზეო, ძალიან სასაცილოდ ჟღერს!

თუმცა, უნდა ითქვას, რომ **გენერალი პეტრეუსი** ძალიან დიდ პატივს სცემდა ქართველ მეომრებს და ეს პირადად არაერთი ქართველი სამხედროსაგან მეც მსმენია.

სააკაშვილი ასე იხსენებს **პეტრეუსის** დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველი მეომრებისადმი:

***„ყველა დეტალი აინტერესებდა საქართველოზე. ცნობისმოყვარეობდა, ენერგიულად მესაუბრებოდა, მან მითხრა, რომ ყველაზე კარგი სამხედრო კონტინგენტი, ერაყშიც და ავღანეთში ამერიკელების შემდეგ არიან სწორედ ქართველები. მიმაჩნია, რომ ქართველი ჯარისკაცები განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩევიან, რაც განასხვავებთ მათ ყველა სხვა ქვეყნის მისიებისგანო. შეუძლებელია, რომ ეს მხოლოდ ამჟამინდელი წვრთნების შედეგი იყოსო, — მითხრა პეტრეუსმა — ეტყობა, ისტორიული სულისკვეთების გამოვლინებააო, აღფრთოვანებას გამოხატავდა“*** *(იქვე, გვ. 332).*

და სწორედ ამის შემდეგ მემუარისტი ხსნის საიდუმლოს, თუ რატომ დაიღუპა და დასახიჩრდა ავღანეთში მისიებისას ამდენი ქართველი ჯარისკაცი:

*„**მან აღმიწერა ირაკლი გოგავასთან** (სააკაშვილის რეჟიმის სამხედრო მაღალჩინოსანი, გენერალი — გ.გ.) **შეხვედრა და მითხრა: როცა ყველა ევროპელი მეთაური ცალ-ცალკე მთხოვდა, მათი ჯარისკაცები საბრძოლო მოქმედებების ველის მიღმა ყოფილიყვნენ... ამ დროს საქართველოს გენერალური შტაბის უფროსი მეუბნებოდა: „სადაც ყველაზე დაძაბული სიტუაციაა, იქ გადაისროლეთ ქართველები და გაიყვანეთ ბრძოლის წინა ხაზზეო. ჩვენ მებრძოლი ქვეყანა ვართ და გვჭირდება საბრძოლო გამოცდილებაო“. პეტრეუსმა მითხრა, ამის პასუხად გადავეხვიე და გადავკოცნე თქვენი გენშტაბის უფროსი, იმიტომ, რომ ერთადერთი კაცი იყო, ვინც ასეთი რამ მითხრაო“** (იქვე, გვ. 332).*

**პეტრეუსს**, რა თქმა უნდა, ძალიან გაეხარდებოდა, რომ ქართველ ჯარისკაცებს ყველაზე ცხელ წერტილებში გააგზავნიდა, რადგან არც ამერიკელებში და არც ევროპელებში ამისი დიდი მსურველი არავინ იყო!

შემდეგ მემუარისტი იხსენებს, როგორ სტუმრობდა საქართველოს უკვე ცერეუს დირექტორის რანგში **პეტრეუსი** და როგორ გადაურჩა ამ ვიზიტისას საქართველო მესამე მსოფლიო ომის ეპიცენტრად გადაქცევას:

***„შემდეგ გავფრინდით ანაკლიაში და ვუთხარი, იქვე რუსული პოზიციები იყო... მან მითხრა, იქნებ რუსულ პოზიციებთან მივიდეთ ახლოს, მაინტერესებს დათვალიერებაო. განმუხურის ზემოთ აღმოვჩნდით. მივედით რუსულ პოზიციებთან და დაიჟინა, თქვენს მფრინავს უთხარით, რომ გადავუფრინოთ რუსულ პოზიციებსო.*** *CIA-ს უარს ვერ ეტყოდა და მართლაც გადავუფრინეთ ძალიან დაბალი სიმაღლიდან. გაოგნებული რუსები გვიყურებდნენ, პრაქტიკულად, რეაქციაც არ ჰქონდათ. და პეტრეუსი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ყოველივეს.* ***სამი წრე დავარტყით, რუსულ პოსტებს სურათები გადაუღო, მათ ბეტეერებს და ტრანშეებს, მოკლედ, CIA-ს დირექტორი პირდაპირ სადაზვერვო საქმიანობით დაკავდა, რის შემდეგაც ბათუმში გავფრინდით“*** *(იქვე, გვ. 333).*

როგორც ხედავთ, ერთი გასროლა რუსული პოსტიდან და ამერიკა — ცერეუს დირექტორის, საქართველო კი პრეზიდენტის გარეშე დარჩებოდა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ **სააკაშვილმა და პეტრეუსმა** ვერტმფრენით რუსული პოზიციების თავზე ფრენა გადაწყვიტეს!

და იქვე მემუარისტი კიდევ ერთ სკანდალურ დეტალს იხსენებს, როგორ გაუმხილა გენერალმა პეტრეუსმა, მალე თქვენს ხელისუფლებას წერტილი დაესმებაო:

***„ბათუმში დავათვალიერებინეთ იუსტიციის სახლი და როდესაც დავსხედით სადილად „მელკამორიის“ რესტორანში, მან სინანულით მითხრა — რა მაგრად ვითარდება თქვენი ქვეყანა, რა კარგად მიიწევთ წინ და რა დასანანია, რომ ამ ყველაფერს წერტილი დაესმება. ჩავეძიე — კი მაგრამ, რა იცით ცერეუს დირექტორმა ისეთი, რაც არ ვიცით ჩვენ-მეთქი. თუ არჩევნებს გულისხმობთ, გამოკითხვებით ჩვენ ვუგებთ ივანიშვილს-მეთქი. — არა მგონია, რომ თქვენ მოიგოთ, იმიტომ, რომ ამ კაცს აქვს დიდი ფული და ამ დიდ ფულს აქვს დიდი მიზიდულობა...“*** *(იქვე, გვ.333).*

ის კი არა, **სააკაშვილმა პეტრეუსი** „ჩაუშვა“, როგორ უწოდებდა ცერეუს დირექტორი იდიოტებს ამერიკული დაზვერვის მაღალჩინოსნებს:

***„აღარ მოვეშვი, თქვენ, როგორც CIA-ს დირექტორი, მეუბნებით, თუ როგორ არის საქმე-მეთქი. აგერ თქვენი დაზვერვის უფროსი კლაპერი ამბობს*** *(კონგრესზე მოსმენილი შევახსენე),* ***რომ ჩვენ გავიმარჯვებთ და მე პრემიერად ვაპირებ დარჩენას და ეს გარკვეულ პრობლემებს შექმნის ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებშიო.***

***ამაზე პეტრეუსმა აუღელვებლად მიპასუხა, რომ კლაპერი არის კლინიკური იდიოტი და ეს სიტყვა „იდიოტი“ არაერთხელ გამიგონია მისგან სხვების დახასიათებისასაც“*** *(იქვე, გვ.334).*

დაბოლოს, სააკაშვილი იხსენებს, როგორ ესტუმრა შვილ **ედუარდთან** ერთად **პეტრეუსს** ცერეუს შტაბბინაში, ლენგლიში და როგორ დაათვალიერებინა მან ეს უსაფრთხოების უთანამედროვესი სისტემებით აღჭურვილი შენობა:

***„შემდეგ ჩემს შვილს ედუარდს აჩუქა ღამის ხედვის Hi-tech კამერა. საინტერესო საჩუქარი იყო, მაღაზიებში რომ არ იყიდება, ისეთი სპეცტექნიკა. სწორედ იმ დროს ედუარდი გატაცებული იყო ფილმების გადაღებით და ამ საჩუქრით პეტრეუსმა მიმახვედრა, ცერეუ საქმის კურსშია, ჩემი ოჯახის ინტერესებიც ზედმიწევნით იციან...“*** *(იქვე, გვ. 335).*

აი, ასე: სააკაშვილმა ცერეუ მისი ოჯახის წევრების უკანონო თვალთვალში ამხილა!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***




## გენერალმა პეტრეუსმა მითხრა, ირაკლი გოგავამ მომმართა, ქართველი ჯარისკაცები ყველაზე ცხელ წერტილებში გადაისროლეთო!

## სააკაშვილმა ცერეუ მისი ოჯახის წევრების უკანონო თვალთვალში ამხილა!



მიხეილ სააკაშვილი და გენერალი პეტრეუსი

***ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ამჯერად იმ საფრთხეებზე გვესაუბრება, რომელსაც ჩვენს ჯანმრთელობას ზამთარი უქმნის:***



# „ზამთარში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტემპერატურა 0-დან პლუს 4 გრადუსამდეა, აუცილებლად ვატაროთ ხელთათმანი!“



## *კახა საბახტარიშვილი:*

# ის ახალგაზრდები, რომლებსაც ჭარბი წონა აქვთ და მაღალი წნევისკენ არიან მიდრეკილი, ზამთარში ფრთხილად უნდა იყვნენ!

— ზამთარი ადამიანის ჯანმრთელობისთვის ყველაზე სახიფათო და პრობლემური პერიოდია. იგი განსაკუთრებით საშიშია მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა პრობლემები აქვს. სტატისტიკით იანვარ-თებერვალში ივნის-სექტემბერთან შედარებით 30 პროცენტით მეტია ინფარქტითა და ინსულტით გარდაცვლილ ადამიანთა რიცხვი. 2018 წელს შვედმა მეცნიერებმა სენსაციური კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს — თურმე, ჰაერის ტემპერატურის დაწევა პლუს 4 გრადუსი ცელსიუსიდან 0 გრადუს ცელსიუსამდე და უფრო ქვემოთ, ინფარქტის განვითარების რისკს ათჯერ ზრდის!

**— მაინც რა არის ამის მიზეზი?**

— ამის ძირითადი მიზეზი ზამთარში ატმოსფერული წნევის მატება და დაბალი ტემპერატურაა. ზაფხულის სიცხეში, როცა ტემპერატურა მაღალია, სისხლძარღვები ფართოვდება და წნევა დაბლა იწევს, ხოლო ზამთარში სიცივის გავლენით ატმოსფერული ჰაერი მკვრივდება, მოცულობაში მცირდება, მისი მასა იზრდება და ატმოსფერული წნევაც მატულობს. ზამთარში გაზრდილი ატმოსფერული წნევა სისხლს ასქელებს, აბლანტებს და არტერიული წნევა მაღლა იწევს! გარდა ამისა, როცა სისხლი სქელდება, დიდია თრომბის წარმოშობის ალბათობაც, რომელმაც შესაძლოა, ინფარქტიც და ინსულტიც გამოიწვიოს. ამიტომ **ზამთარს განსაკუთრებით უნდა უფრთხილდნენ ის ადამიანებიც კი, რომლებსაც შესაძლოა, წნევა ნორმაში აქვთ, მაგრამ ვენები აწუხებთ და აქედან გამომდინარე, თრომბის წარმოქმნის რისკ-ჯგუფში მოიაზრებიან.**

ზამთარში ადამიანის წნევა ყველაფერთან ერთად იმიტომაც მატულობს, რომ სიცივეში კანის ზედაპირი მაქსიმალურად ცდილობს, რაც შეიძლება, ნაკლები სითბო დაკარგოს. ასეთ დროს სისხლძარღვები ვიწროვდება, ანუ სპაზმს განიცდიან, რაც თავისთავად არტერიული წნევის მომატებას განაპირობებს. ზამთარში ადამიანების დიდი უმრავლესობა და განსაკუთრებით კაცები, ქუჩაში ხელთათმანის გარეშე დადიან. გვახსოვდეს, რომ ასეთ დროს ხელისგულების გაცივება სისხლძარღვების სპაზმს იწვევს, რაც ავტომატურად გადაეცემა გულის კუნთს. ამან კი შესაძლოა, სტენოკარდიული შეტევა გამოიწვიოს... ამიტომ ჩვენი რჩევაა — **ზამთარში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტემპერატურა 0-დან პლუს 4 გრადუსამდეა, აუცილებლად ვატაროთ ხელთათმანი.**

**ყინვაში ცივი ჰაერის შესუნთქვაც სახიფათოა, რადგან ასეთ დროს შესაძლოა, გულის მკვებავი კორონალური არტერიების სპაზმი განვითარდეს! ამიტომ ჩემი რჩევაა: სიცივეში ვიაროთ ნაჭრის პირბადით, რათა შესუნთქული ჰაერი თბილი იყოს!**



## „იმ ადამიანების 33 პროცენტს, რომლებსაც გული საერთოდ არ აწუხებდათ, კოვიდის მსუბუქი ფორმის გადატანის შემდეგაც კი გულზე სერიოზული გართულებები აღენიშნებათ!“

**— ზამთრის სიცივე ასაკოვანთათვის, როგორც წესი, მძიმე ასატანია, მაგრამ წელიწადის ამ დროს რამდენად არიან დაცული ახალგაზრდები გულ-სისხლძარღვთა პრობლემებისგან?**

— იმ ახალგაზრდებმა, რომლებსაც ჭარბი წონა აქვთ და მაღალი წნევისკენ არიან მიდრეკილი, ზამთარში იფრთხილონ! თუ მათ სიცივეში ფიზიკური დატვირთვის შემდეგ გულის არეში უსიამოვნო სიმპტომები იგრძნეს და ეს მდგომარეობა 20 წუთი მაინც გაგრძელდა, დაუყოვნებლივ მიმართონ ექიმს ან გამოიძახონ სასწრაფო დახმარება! საქმე ის გახლავთ, რომ ასაკოვან ადამიანებში ძირითადი სისხლგამტარი გზები ათეროსკლეროზული ფოლაქებით არის შევიწროებული და აქტიურდება დამხმარე სისხლძარღვები, ანუ კოლატერალები. ეს სისხლძარღვთა შემოვლითი ტოტებია, რომლებიც ძირითადი სისხლძარღვების გარეშე ახდენენ სხვადასხვა ორგანოების სისხლით მომარაგებას. ახალგაზრდებში კი ცხადია, ათეროსკლეროზული პროცესები დაწყებული არ არის, სისხლძარღვები თავისუფლად გამტარია, არავითარი დამატებითი კოლატერალების საჭიროება არ დგას და აქედან გამომდინარე, თუკი სიცივის შედეგად სადმე თრომბი გაჩნდა, შესაძლოა, ძირითადი სისხლძარღვი მთლიანად ჩაიკეტოს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ინსულტი ან ინფარქტი! **სწორედ ამით აიხსნება ის გასაოცარი ფაქტი, როცა ვგებულობთ, რომ სრულიად ჯანსაღ ახალგაზრდას სიცივეში მოულოდნელად ინფარქტი ან ინსულტი განუვითარდა.**

**— რა არის საჭირო იმისათვის, რომ ახალგაზრდას ასეთი უბედურება არ დაემართოს?**

— ამისათვის საჭიროა კვირაში თუნდაც სამსაათიანი ფიზიკური ვარჯიში. **სწორედ ვარჯიშის შედეგად ვითარდება დამატებითი სისხლძარღვები, ანუ კოლატერალები.**

**— სპეციალური სამედიცინო გამოკვლევის გარეშე საიდან და როგორ უნდა მივხვდეთ, რომ გულის პრობლემები გვაქვს?**

— ამის დასადგენად საშუალო ნაბიჯებით ავიაროთ კიბის ორი სართული. ამ დროს, როგორც წესი, გულის მუშაობა ჩქარდება და სისხლძარღვებიც ფართოვდება, რათა გულის კუნთთან მეტი სისხლის ნაკადი მივიდეს. **თუ კიბის ორი სართულის ავლის შემდეგ ადამიანმა მკერდის არეში ტკივილი იგრძნო და ქოშინი დაეწყო, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ გულის მკვებავი რომელიმე სისხლძარღვის განშტოებაზე პრობლემებია და გულზე გამოკვლევა უნდა ჩაიტაროს!**

ყველა ეს საკითხი, რასაც წინამდებარე ინტერვიუში შევეხეთ, განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, მიმდინარე ზამთრის პერიოდში და, მითუმეტეს, მაშინ, როცა სინოპტიკოსები მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მკაცრ ყინვებს პროგნოზირებენ. არ დაგვავიწყდეს ის ფაქტორიც, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა კოვიდი გადაიტანა. **უკვე დამტკიცებულია ის ფაქტი, რომ „კოვიდ-19“-ის გამომწვევი ვირუსი აღწევს გულის კუნთის უჯრედებში და იწვევს მათ სიკვდილს, ეს კი გულის შეკუმშვის რიტმს არღვევს.** უბედურება ამით არ სრულდება — კორონავირუსი არამარტო გულის კუნთის უჯრედებს კლავს, არამედ გულის კუნთოვან ქსოვილსაც აზიანებს, რომელიც გულის კუნთის შეკუმშვაზეა პასუხისმგებელი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა **გულის კუნთის ანთება,** ანუ **მიოკარდიტი.** მსუბუქი ფორმის დროს ეს გამოიხატება გულის არეში ჩხვლეტით, ქოშინით, დაღლილობის შეგრძნებით და ქვედა კიდურების მსუბუქი შეშუპებით. ასეთი ადამიანები დაღლილობასა და ზამთრის სიცივეს ცუდად იტანენ და შესაძლოა, განუვითარდეთ არითმია და ექსტრასისტოლია, რაც ინსულტის განვითარების რისკს ზრდის. ამიტომ **კოვიდგადატანილები თავს ნუ დაიმშვიდებენ, რადგან იმ ადამიანების 33 პროცენტს, რომლებსაც გული საერთოდ არ აწუხებდათ, კოვიდის მსუბუქი ფორმის გადატანის შემდეგაც კი გულზე სერიოზული გართულებები აღენიშნებათ!** არაერთმა პაციენტმა კოვიდის გადატანიდან რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ გულის სერიოზული პრობლემებით მომმართა და გულის ჩვეულ რიტმში ჩაყენებას საკმაო დრო დასჭირდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „ზამთარში გაზრდილი ატმოსფერული წნევა სისხლს ასქელებს, აბლანტებს და არტერიული წნევა მაღლა

## თქვენი ჯანმრთელობისათვის!

# კოვიდი ვინც გადაიტანა, «გულის ელექსირი» ყველამ უნდა მიიღოს!





უნიკალური ლიცენზირებული ბუნებრივი ჰომეოპათიური პრეპარატი **„გულის ელექსირი“,** რომელსაც თავისი მაღალეფექტიანობის და გვერდითი მოვლენების არქონის გამო ხალხში უკვე სიცოცხლის ელექსირადაც მოიხსენიებენ, მოკლე ხნის განმავლობაში **ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგულე საშუალება გახდა.** განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დადგინდა: **კოვიდ-ინფექცია აზიანებს გულს.** უახლოესი მონაცემებით **ახალგაზრდებშიც. გულით გარდაცვლილთა რიცხვი 30 პროცენტით გაიზარდა.**

კოვიდი ვინც გადაიტანა, ბევრი უჩივის **წნევის ცვალებადობას, მოთენთილობას, ადვილად დაღლას, არითმიას.** რაც **ინფარქტით და ინსულტით** შეიძლება დამთავრდეს, განსაკუთრებით ზამთრის სიცივის პერიოდში.

სწორედ ასეთ დროს ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია **„გულის ელექსირს“.**

**„გულის ელექსირი“:**

**1. ხსნის სპაზმებს;**

**2. კვებავს გულის კუნთს;**

**3. აფართოებს სისხლძარღვებს;**

**4. აქვს არითმიის საწინააღმდეგო მოქმედება;**

**5. აქვს დამამშვიდებელი ეფექტი;**

**6. მისი გამოყენებით გულის შეტევების სიხშირე 10-ჯერ მცირდება;**

**7. ეფექტურია გულის შუნტირების შემდგომ პერიოდში.**

რაც მთავარია: წნევის მარეგულირებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არა აქვს შეზღუდვა. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც მაღალი, ისე დაბალი წნევის დროსაც.

**„გულის ელექსირის“** შემქმნელმა **ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ექიმმა კახა საბახტარიშვილმა** თითქმის 15 წელი მოანდომა „გულის ელექსირის“ ყველაზე ოპტიმალური ფორმულის დადგენას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ათასობით პაციენტზე დადებითი შედეგი იქნა მიღებული, **„გულის ელექსირი“** დარეგისტრირდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ არა როგორც საკვები დანამატი, არამედ როგორც სამკურნალო წამალი, ყოველგვარი **გვერდითი მოქმედებებისა და მიჩვევის ეფექტის გარეშე. „გულის ელექსირი“** ყველა აფთიაქში **რეცეპტის გარეშე** გაიცემა და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან ერთად. 1 ფლაკონის ფასი 16 ლარამდეა და ჰყოფნის 1 თვეზე მეტი!

**„გულის ელექსირი“ ყველა სააფთიაქო ქსელშია!**
**593 31-70-34**



# P.S.

**აშშ-ის ვაშინგტონის უნივერსიტეტის** კვლევებით კოვიდინფექცია 72-ჯერ ზრდის **გულის დაავადებათა** განვითარების **რისკს.** ყოველი 100 ადამიანიდან, რომელთაც **გული საერთოდ არ აწუხებდათ, „კოვიდის“** გადატანის შემდგომ 40 პროცენტს აღენიშნათ: ***გულის არეში პერიოდული ჩხვლეტა, გულისცემის გახშირება — ტაქიკარდია, ქოშინი დატვირთვისას, ქვედა კიდურების მსუბუქი შეშუპება.*** ეს სხვა არაფერია, თუ არა ***გულის კუნთის ანთება — მიოკარდიტი.*** თუ დროულად არ მოხდა ამ დაავადების მკურნალობა, **შესაძლოა, განვითარდეს ექსტრასისტოლია, არითმია,** რომელიც *ინფარქტით სრულდება.* **„გულის ელექსირის“** მიღებული 5-7 წვეთი დღეში 3-4-ჯერ ხსნის ამ მოვლენებს, **იცავს კოვიდგადატანილ** პაციენტს *ინფარქტისა და ინსულტისაგან.*

***დღეს, ზუსტად ჩვიდმეტი წლის წინათ, 2006 წლის 13 თებერვალს, ჟურნალისტ მაყვალა ბერიანიძეს „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული ედუარდ შევარდნაძის საგაზეთო ინტერვიუს გამო საკუთარ საცხოვრებელ სახლთან სააკაშვილის სნაიპერმა ესროლა. ქალბატონი მაყვალა, რომელიც მაშინ ფეხში დაიჭრა, სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა... სისხლის სამართლის საქმე, რომელიც წყეული ზურაბ ადეიშვილის პროკურატურაში მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძრა, ჩვიდმეტი წლის შემდეგ იმავე ადეიშვილის ხელისბიჭებით გაძეძგილ პროკურატურაში თაროზეა შემოდებული... ჟურნალისტი, რომელიც სააკაშვილის ტყვიას შემთხვევით გადაურჩა, აცხადებს, რომ 2006 წლის 13 თებერვლის გასროლა ასევე პირდაპირ კავშირშია იმ ვიდეოკასეტასთან, რომელზეც სანდრო გირგვლიანის წამება და სიკვდილია აღბეჭდილი:***






## მაყვალა ბერიანიძე:

# შევარდნაძესთან „ვარდების რევოლუციის“ იმ რვა სცენარზე ლაპარაკი აღარ გამაგრძელებინეს და მესროლეს!



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი მიხეილ სააკაშვილთან ერთად თბილისში , რუსთაველის გამზირზე. 2003 წლის 23 ნოემბერი

— თავდასხმა, რომელიც 2006 წლის 13 თებერვალს სააკაშვილის რეჟიმმა მომიწყო და რაზეც მხოლოდ „ასავალ-დასავალმა“, თქვენ და კიდევ ერთმა ჟურნალისტმა გაბედა პროტესტის დაფიქსირება, ჩემი ღრმა რწმენით, **დაკავშირებული იყო შევარდნაძის ინტერვიუებთან, რომელსაც მაშინ ვაქვეყნებდი.** თავდასხმა ერთბაშად არ მომხდარა და მას წინ უძღოდა რამდენიმე დანაშაულებრივი ფაქტი. კერძოდ, მუქარა გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ, ჩემი მშობლების სახლის გაქურდვა, დიდ სარკეზე დატოვებული წარწერა — **„ჩვენ ისევ მოვალთ!“** — და დასაბეჭდად გამზადებული „საქართველოს ისტორიის“ შვიდი ტომის მოპარვა-განადგურება.

**— ქალბატონო მაყვალა, მაინც რა თქვა შევარდნაძემ ისეთი, რის გამოც ნაცსექტამ თქვენი მოკვლა გადაწყვიტა?**

— 2006 წლის 23 იანვარს „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა **ედუარდ შევარდნაძის სკანდალური აღსარება,** სადაც მან ძალიან ბევრ რამეზე ილაპარაკა და თქვა — **მთავრის** მწამსო! ამ ინტერვიუს ჩაწერიდან ოთხ დღეში მოკლეს **სანდრო გირგვლიანი.** თავიდან არავინ იცოდა, რა მოხდა ოქროყანის სასაფლაოზე, ამიტომ 2006 წლის თებერვალში, ზურაბ ჟვანიას წლისთავზე, შევარდნაძესთან მორიგი ინტერვიუს ჩასაწერად რომ მივედი, ვკითხე — **ბატონო ედუარდ, საქართველოში ისევ თქვენ აკონტროლებთ ყველაფერს და, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, ამ ბიჭს რა შეემთხვა-მეთქი?** შევარდნაძემ მიპასუხა — **ხელისუფლებაა გარეული ამ საქმეშიო!** მან მიამბო მთელი ის ისტორია, რაც მერე მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა. მე ვუპასუხე — **ბატონო ედუარდ, თუ ხელში რამე მტკიცებულება არ მექნება, ამას ვერ დავწერ-მეთქი!** ამის შემდეგ ბატონ ედუარდს გადადგომის მიზეზებზე ვკითხე, რაზეც მიპასუხა — გადავდექი იმიტომ, რომ ჩემი სცენარი მაგათ სცენარს არ დაემთხვაო! შევარდნაძემ ბევრი ილაპარაკა „კმარაზე“, „კმარელების“ სერბეთში, კერძოდ, ბელგრადში დატრენინგებაზე, „ვარდების რევოლუციაში“ **მადლენ ოლბრაიტის, სოროსისა** და ამერიკის ელჩის როლზე და ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ რვა სცენარზე, რომელიც მას მომდევნო ინტერვიუში ცალ-ცალკე უნდა გაეშიფრა... აი, სწორედ ამ სკანდალურ ინტერვიუს მოჰყვა 2006 წლის 13 თებერვლის თავდასხმა, ანუ **შევარდნაძესთან „ვარდების რევოლუციის“ იმ რვა სცენარზე ლაპარაკი აღარ გამაგრძელებინეს და მესროლეს!**

ვიდრე სასიკვდილოდ გამიმეტებდნენ, რამდენიმე საათით ადრე საქართველოს პარლამენტის საშვთა ბიუროსთან მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი! პარლამენტის შენობიდან გამოვდიოდი, როცა ახალგაზრდა ბიჭი შემოვარდა და ხელი წითელი მანტოს ჯიბეში ჩამიყო...

**— ეს ბიჭი უცნობი იყო?**

— ცხადია! მომხდარით ძალიან დავიბენი, რადგან ბიჭი ქურდი მეგონა... ამიტომ ვუთხარი კიდეც — **ბიჭო, შენ პარლამენტის შენობაში რას აკეთებ-მეთქი?** ბიჭმა, რომელიც ძალიან აღელვებული იყო და ჩქარობდა, გვარი და სახელი მკითხა და რომ დარწმუნდა, ის ვიყავი, ვისაც ეძებდა, მითხრა — **ჯიბეში კასეტა გაქვთო!** ამის თქმა იყო და ბიჭი გაქრა... გარეთ მეუღლე მელოდებოდა. დაახლოებით 19:30 საათი იქნებოდა, შენობიდან რომ გამოვედი, მანქანაში ჩავუჯექი და შინისაკენ წამოვედით. საცხოვრებელ კორპუსს რომ მივუახლოვდით, დავინახე, აივანზე ჩემი 12 წლის შვილი და რძლის და იდგნენ. ბავშვმა დაიყვირა — დედიკო და მამიკო მოდიანო! შიდა ეზოში შემოვუხვიეთ და მანქანიდან სადარბაზოს მხარეს გადმოვედით... მეუღლემ მანქანას საბარგული ახადა, უნდოდა, ჩემთვის რაღაც გაეტანებინა, მაგრამ ვუთხარი — შენ ამოიტანე-მეთქი! ამ ლაპარაკში მოულოდნელად დავიხარე და გავარდა პირველი ტყვია, რომლის გულაც მოგვიანებით გამოძიებამ კედლიდან ამოიღო. მთელი კორპუსის ფანჯრები გაიღო და ხალხმა ყვირილი ატეხა — თქვე ბანდიტებოო! აი, სწორედ ამ დროს მარჯვენა ფეხში, მუხლის მიდამოში, მომხვდა მეორე ტყვია და ადგილზე დავეცი. მესამეც გაისროლეს, მაგრამ უკვე ძირს ვეგდე. როგორც მერე გავიგე, ტაქსით მელოდებოდნენ და მესროლეს თუ არა, მაშინვე გავარდნენ.

**— მაინც რა იყო იმ ვიდეოკასეტაზე?**

— როგორც ინციდენტიდან სამი თვის შემდეგ **ავთანდილ იოსელიანისგან** შევიტყვე, იმ ბიჭმა ჯიბეში ჩამიდო ვიდეოკასეტა, რომელზეც სანდრო გირგვლიანის წამება და მკვლელობა იყო აღბეჭდილი. მეუღლემ სასწრაფოში რომ მიმიყვანა, რომელიც ჩვენი სახლიდან ახლოსაა, ხოლო იქიდან — რესპუბლიკურ საავადმყოფოში, პირდაპირ შოკის დარბაზში შემიყვანეს, სააკაშვილის მსტოვრებმა ისარგებლეს იმით, რომ ჩემი მეუღლე ჩემთვის საჭირო წამლების შესაძენად დარბოდა და პორტფელიდან კასეტა მოიპარეს. სხვათაშორის, იმ საღამოს შევარდნაძემ ხუთჯერ დარეკა საავადმყოფოში და ექიმებს უთხრა — **გადაარჩინეთ, არაფერ შუაშიაო!** იმ საღამოს საავადმყოფოსთან მობილიზებული ჰყოლიათ სპეცრაზმიც და, როგორც მერე ტელეკადრებში ვნახე, ჩემი ქმრის ძმაკაცი პოლიციელებს ეჩხუბებოდა — დაზარალებულის ტანსაცმელი მაინც დაგვიბრუნეთო!

**— თუ არ გინახავთ, რა იცით, რა იყო აღბეჭდილი იმ კასეტაზე?**

— **ავთანდილ იოსელიანი** სახლში მეწვია და მოიტანა კასეტა, რომელზე მითხრა: თავდასხმა, რომელიც მოგიწყვეს, მე არ დამიგეგმავს, მაგრამ, თუ გაინტერესებთ, რატომ გესროლეს, გეტყვით, რომ ამაში დამნაშავეა **კასეტა,** რომელიც თქვენ გადმოგცეს და რომელზეც სანდრო გირგვლიანის წამება და სიკვდილია აღბეჭდილი! აი, გიტოვებთ და ეს კასეტა დაგიცავთ... მე ასეთი კასეტები ბევრი მაქვს და თავს სწორედ ამ კასეტებით ვიცავო!

კასეტა ცოცხალი თავით არ დავიტოვე, რადგან არ მინდოდა, ეს ბომბი ოჯახში მქონოდა. სხვათაშორის, იოსელიანმა შემომთავაზა, მენახა კასეტა და ამისათვის პატარა აპარატი ჩართო კიდეც, რაზეც ასევე უარი ვუთხარი — გათიშეთ, მოაშორეთ, ასეთი თავდაცვის საშუალება თქვენთან იყოს-მეთქი! სხვათაშორის, დაჭრილს, ხელჯოხიანსა და სახლში მყოფს ერთადერთი **ბადრი პატარკაციშვილი** შემომეხმიანა — დახმარება ხომ არ გჭირდებათო? — და ორი წლის შემდეგ, **13 თებერვალს,** უკვე აღარც ბადრი იყო ცოცხალი. აი, ასე იყო და ეს ნაძირალა ნაცები რომ გაიძახიან — სანდრო გირგვლიანი გაიქცა და ხევში თვითონ გადაიჩეხაო! — ბინძური ტყუილია. **სინამდვილეში აწამეს, მოკლეს ბიჭი და ეს ყველაფერი გადაიღეს!**

**— პარლამენტში ის ბიჭიც ავთო იოსელიანმა გამოგიგზავნათ?**

— არა, როგორც მოგვიანებით, კერძოდ, ოთხი თვის შემდეგ შემატყობინეს, ვიდეოკასეტა შევარდნაძესთან კონსულტაციების შედეგად გამოუგზავნია ცხონებულ **ბადრი პატარკაციშვილს.** შევარდნაძე მერე ნანობდა — შევცდით, საქმის კურსში უნდა ჩაგვეყენებინეთ, კინაღამ მოგკლესო! მოკლედ, დღემდე ეს საქმე გამოუძიებელია...

**მიუხედავად იმისა, რომ საქმეში დაზარალებულად ვარ ცნობილი, გენერალური პროკურატურა დუმს! ამ საქმის გარდა, კიდევ სისხლის სამართლის სამ საქმეში დაზარალებულად ვარ ცნობილი, მაგრამ ყველგან სრული გამყინვარებაა.**

გასაგებია, რომ იმ ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა, მაგრამ დღევანდელი პროკურატურა რას აკეთებს? აი, სწორედ ეს იწვევს გულისწყვეტას და ხალხის სამართლიან პროტესტს, რასაც დღევანდელმა ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# ჯერ ჩაიხადეს, მერე აიხადეს!



***წინამდებარე წერილის სათაურმა, დარწმუნებული ვარ, რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ გაგახსენათ, თუმცა, ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ აღნიშნული პუბლიკაცია თეატრსა და კინოს არ ეხება, რადგან ჩვენ მხოლოდ ცირკზე ვწერთ, უფრო სწორად, მასხარებად ქცეულ პოლიტმეძავებზე, რომლებმაც ხალხის ყურადღების მისაპყრობად ჯერ ჩაიხადეს, ხოლო შემდეგ აიხადეს და გადასალახი დარჩათ მხოლოდ სრული გახდა-გაშიშვლება.***

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მთელი ამ ტრაგიკომედიისა და ბინძური ცირკის ჯამბაზები ერთი და იგივე ხალხია! **ჩახდის სცენა** მათ შიდა ქართლში, კერძოდ, სოფელ ატოცში გაითამაშეს, სადაც, **როგორც მაშინ ოსურმა მედიამ დაწერა, გეი-პარადის აქტივისტები ჩავიდნენ, უკანალი შარაზე გადადეს და მოტიტვლებული გავა რუსეთის საოკუპაციო ძალებს მიუშვირეს!** ხოლო **ახდის სცენა,** ანუ მაისურის აწევა, ღონივრად შესუნთქვა და მერე ტიტველი მუცლისა და ნეკნების ტელეეკრანზე გამოჭენება **კლინიკა „ვივამედში“ 2023 წლის 1 თებერვალს დაფიქსირდა,** საიდანაც სააკაშვილი სასამართლო სხდომის მსვლელობაში ჩაერთო.

**ჩახდა** დღისით-მზისით, აურაცხელი კამერებისა და ე.წ. ჟურნალისტების თვალწინ, დაახლოებით ხუთი წლის წინათ, კერძოდ, 2018 წლის 10 ნოემბერს, მოხდა და ამ საზიზღრობის ინიციატორი გახლდათ წყეული **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის პარტია „გირჩი“,** რომელმაც სწორედ ის სოფელი ატოცი წაბილწა, სადაც 1759 წელს კახეთის მეფე **ერეკლე მეორემ,** ქართლის მეფე **თეიმურაზ მეორემ** და იმერეთის მეფე **სოლომონ პირველმა** ლეკთა 8-ათასკაციანი ლაშქარი გაანადგურეს და კოხტა ბელადი სამარცხვინოდ გააქციეს. ერთი კია, **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს** ატოცთან რომ არ ჩაეხადა, ბოლოს და ბოლოს, **აკია ბარბაქაძე არ მოასვენებდა და ჩახდიდა,** რადგან „ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობიდან“, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინათ რუსთაველის პროსპექტზე, ილიასა და აკაკის ძეგლის წინ, დიდი ბაქიბუქითა და დოლ-გარმონით დააფუძნეს, მეორე თუ მესამე დღეს მოძუძგა.

როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ზვიადისტების თავებზე მონადირე ყარაბას-ბარაბას აკია ბარბაქაძის რაზმში გაერთიანებული ცნობილი ზვიადისტები — **ბეჟან ჯავახია და ბიმურზა აფრასიძე,** აკიას დავალებით, კანაფისგან ბაწარს გრეხენ, რათა მოღალატე ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს ქამანდი ესროლონ, მარყუჟი პატარა „გირჩზე“ მოსდონ და მერე ამ მდგომარეობაში მყოფი, ჩახდილი და გახდილი, შეფურთხების პროფესორ **გია ბუღაძის** აივნიდან გადმოჰკიდონ!

ისტორია გვასწავლის, რომ ევროპაში **ჩახდასა და ახდაზე** უფრო პოპულარული თავიდან **გახდა** იყო. ასე, მაგალითად, ამ ორმოცი წლის წინათ, „უიმბლდონის“ სტადიონზე პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როცა გახდილი კაცი მოედანზე შევარდა და ძლივს-ძლივობით გაკოჭეს. მოგეხსენებათ, სტადიონზე ჩვენი სათაყვანებელი **იპოლიტე ხვიჩიაც** შევარდა, მაგრამ არც გაუხდია, არც ჩაუხდია და არც აუხდია. სამაგიეროდ, **კობა ხაბაზმა** სხვაგვარად განსაჯა და 1992 წელს მერაბ კოსტავას ეზოდან გადმომდგარმა ჩაიხადა, რათა რუსთაველის პროსპექტზე მიმავალი ზვიად გამსახურდიას მომხრეთა დემონსტრაციისთვის თავისი „ტინკი-ვინკი“ დაენახვებინა.

რაც შეეხება **ახდას,** სააკაშვილმა, რომელმაც არამარტო ქალებს, არამედ კაცებსაც ახადა ნამუსი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 1 თებერვალს **მაისური აიხადა,** მაგრამ მოსამართლე **გიორგი არევაძე** ამ ხრიკით ვერ მოატყუა და სასჯელის გადავადებას ვერ მიაღწია! აქედან გამომდინარე, სააკაშვილმა ციხიდან თავის დასაღწევად ახლა სხვა ისეთი გზა უნდა აირჩიოს, რომელიც მოსამართლეს ყველა გზას შეუკრავს და აიძულებს, ქვეყნის მაოხრებელი ცქირი „ვივამედიდან“ კინწისკვრით გამოაგდოს!

ერთია **„კამოს“ გზა...** საქვეყნოდ ცნობილია, რომ **სიმონ ტერ-პეტროსიანმა,** ანუ **„კამომ“** იმისათვის, რათა ბერლინის ციხისთვის თავი დაეღწია, სიგიჟე მოიგონა და საკუთარი განავალი შეჭამა! მართალია, სააკაშვილი საკუთარი ფეკალიებისგან **„ძღ..ბურთს“** (ცენზურა ჩვენია. რედ.) დიდი ხანია, თამაშობს, მაგრამ, ეტყობა, „კამოს“ გზაზე დადგომას ბოლომდე ჯერ კიდევ არ აპირებს. ამიტომ თავის გადასარჩენად ნაპრეზიდენტალს ერთადერთი გზა რჩება — რაკი ერთხელ აიხადა, ბარემ ჩაიხადოს ან სულაც გაიხადოს და სხვა თუ არაფერი, **ლუკა მაჭუტაძე** და **ლევან ხაბეიშვილი** მაინც გაახაროს!

სხვაგვარად მოუწევს ვირის აბანოში დიდი ხნით ყურყუტი...

გოგიასა და ქვევრში გაჭედილი აბესალომისა არ იყოს,

## სააკაშვილო, „გაიხადე და ფეხებით წამოდი!“

*დიტო ჩუბინიძე*





***როგორ ავიცილოთ თავიდან საშვილოსნოს ყელის კიბო და როგორია პრევენციის მეთოდები? აღნიშნული საკითხის შესახებ ონკო-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი, ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი ონკო-გინეკოლოგიაში დინა ქურდიანი გვესაუბრება.***



## დინა ქურდიანი: „მოვუწოდებ ყველა ქალბატონს, ჩაიტარონ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი და პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია!“

**— ქალბატონო დინა, როგორ ვითარდება საშვილოსნოს ყელის კიბო და როგორია მისი გამომწვევი ფაქტორები?**

— საშვილოსნოს ყელის კიბოს და ყველა ავთვისებიან სიმსივნეს თავისი გამომწვევი ფაქტორები აქვს — დაწყებული ქიმიური ნივთიერებებით, დამთავრებული ვირუსებითა და რადიაციით. კვლევებით დადასტურებულია, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევათა 99,7%-ში ნანახი იქნა ადამიანის პაპილომა ვირუსი, რომლის ასზე მეტი ტიპი არსებობს. მათგან ზოგიერთს შეუძლია, გამოიწვიოს სასქესო მეჭეჭები, ზოგიც საშვილოსნოს ყელის უჯრედებს აზიანებს და კიბოს უჯრედებად გარდაქმნის. ადამიანს პაპილომა ვირუსი გადაეცემა უშუალოდ სქესობრივი კონტაქტის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია დაავადების თავიდან აცილება, ის მაინც რჩება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გამოწვევად, ხოლო შემთხვევათა 40%-ზე მეტი დაგვიანებულ, მე-3 ან მე-4 სტადიაზე ვლინდება.

**— როგორია სიმპტომები პაპილომა ვირუსით ინფიცირების შემთხვევაში და რა შემთხვევაში ვითარდება საშვილოსნოს ყელის კიბო?**

— პაპილომავირუსული ინფექცია ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. გართულებების შემთხვევაში კი იწვევს წვეტიან კონდილომებს (მეჭეჭისმაგვარი წამონაქმნები) სასქესო ორგანოებზე. ანუსსა და საშვილოსნოს ყელზე ამგვარი წარმონაქმნები სიმსივნის წინარე სტადიას ნიშნავს. აღნიშნულ ვირუსს ასევე შეუძლია გამოიწვიოს: საშვილოსნოს ყელის, სასირცხო ბაგეების, საშოსა და პენისის კიბო, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პენისის კიბო საშვილოსნოს ყელის კიბოსთან შედარებით ძალიან იშვიათად ვითარდება. სექსუალურად აქტიური ქალების თითქმის 70-80% 50 წლის ასაკამდე უკვე ინფიცირებულია. მათ უმეტესობას პირველი კონტაქტი ამ ვირუსთან 15-25 წლის ასაკში ჰქონდა, თუმცა, რაიმე კლინიკური სიმპტომები არ აღენიშნება და არც ინფიცირების შესახებ იცის. უმეტეს შემთხვევაში ადამიანის იმუნური სისტემა წარმატებით ებრძვის ამ ვირუსს და ორგანიზმს მისგან ათავისუფლებს.

**— შესაძლებელია თუ არა საშვილოსნოს ყელის კიბოს დამარცხება ადრეულ ეტაპზე მისი გამოვლენით?**

— რასაკვირველია! სკრინინგის შედეგად ხდება საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების მაღალი რისკის მქონე ქალების გამოვლენა, სანამ ვირუსი საშვილოსნოს ყელის უჯრედებს დააზიანებს. ისე კი, პაპილომა ვირუსის ამა თუ იმ ქვეტიპების არსებობა არ ნიშნავს, რომ თქვენ აუცილებლად საშვილოსნოს ყელის კიბო გაქვთ. იგი მხოლოდ ამ დაავადების განვითარების მაღალ რისკზე მიუთითებს და ექიმისაგან უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. თუ HPV მაღალი რისკის ქვეტიპები უარყოფითია, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ მომდევნო 5 წლის განმავლობაში, რადგან საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი თითქმის ნულის ტოლია.

**— რამდენად ეფექტურია კიბოს პრევენცია სკრინინგის დახმარებით?**

— საშვილოსნოს ყელის კიბოს საწყის სტადიაზე აღმოჩენის შემთხვევაში პაციენტს გამოჯანმრთელების 100%-იანი შანსი აქვს! აღსანიშნავია, რომ სკრინინგის უფასო პროგრამა მოიცავს 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალებში გინეკოლოგის კონსულტაციას, PAP-ნაცხის აღებას და მასალის ციტოლოგიურ კვლევას (PAP-ტესტი). პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში ასევე უფასოა აუცილებლად ჩასატარებელი კოლპოსკოპია, საჭიროების შემთხვევაში კი — ბიოფსიური მასალის ჰისტო-მორფოლოგიური კვლევა. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი რეკომენდებულია სამ წელიწადში ერთხელ.

## პაციენტს, რომელსაც საშვილოსნოს ყელის კიბოს საწყის სტადიაზე აღმოუჩენენ, გამოჯან-მრთელების 100-პროცენტიანი შანსი აქვს!

**— განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია, მოქმედებს სკრინინგის პროგრამები. რამდენად შედეგიანია პრევენციის ეს ფორმა?**

— ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად ფინეთი შეიძლება ჩაითვალოს, სადაც სკრინინგი 1960-იან წლებში დამკვიდრდა და დროული კვლევის წყალობით მნიშვნელოვნად შემცირდა სიკვდილიანობა. აქვე ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ საშვილოსნოს კიბო სრულად პრევენცირებადი დაავადებაა: პირველადი პრევენცია გულისხმობს ვაქცინაციას, მეორადი კი სწორედ სკრინინგის პროგრამაში ჩართვას. ცნობისათვის — 2021 წლის მონაცემებით, დარეგისტრირდა საშვილოსნოს ყელის კიბოს 281 ახალი შემთხვევა და 151 ქალი გარდაიცვალა.

საბედნიეროდ, საქართველოში სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა 2008 წლიდან მუშაობს და მთელ ქვეყანას მოიცავს. ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანებს ჩვევად გაუჩნდეთ ჯანმრთელობის კონტროლი და მით უფრო, თუ უფასო სკრინინგის ასაკობრივ ჯგუფში შედიან. ნუ დაიზარებთ დროული გამოკვლევების ჩატარებას, რადგან საწყის სტადიაზე გამოჯანმრთელების 100%-იანი შანსი არსებობს!

საქართველოში პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრა 10-დან 18 წლამდე გოგონებისთვის უფასოა. ვაქცინაცია ტარდება პირველადი ჯანდაცვის პუნქტებში. აპვ ვაქცინაცია ტარდება 10-11-12 წლის გოგონებში, აცრების კურსი ორდოზიანია, აცრებს შორის მინიმალური ინტერვალია 6 თვე. 13-26 წლის გოგონებს, რომელთაც ვერ შეძლეს, ჩაეტარებინათ ვაქცინაცია, დამატებითი ინტერვენციის სახით 2023 წელს ეძლევათ შესაძლებლობა, აიცრან. 15-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში ვაქცინაცია სამჯერადია, სქემით: 0-2-6 თვე.

**კიდევ ერთხელ შევახსენებ თქვენს მკითხველს, რომ საქართველოში სკრინინგ-პროგრამები მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება და უფასოა! სამწუხაროდ, მოსახლეობა ნაკლებად მიმართავს პრევენციული კვლევის ამ მეთოდს. არადა, საშვილოსნოს კიბოს არ სძინავს!**

*ესაუბრა მეგი საჯაია*

# მიხეილ ცაგარელი:

# მთვარე და ჩვენი კულინარიული შესაძლებლობანი თუ პრიორიტეტები



*— პირად ჰოროსკოპში მთვარის რომელ ზოდიაქოს ნიშანში განლაგებისას არის ადამიანისთვის პრიორიტეტული მსუბუქი, სამედიცინო დიეტით განსაზღვრული სასარგებლო კერძები? ვინ გამოირჩევა მშვენიერი თვისებით და ვის კერძებს აქვს მუდამ დაბალანსებული გემო? ვინ არის გურმანი და ვისთვის არის აუცილებელი, ისეთი კერძებით იკვებოს, რომელიც თვალსაც ახარებს და გემრიელიცაა? ვის შეუძლია, ხშირ შემთხვევაში მშვენიერი ნამცხვრების ცხობა და ორიგინალური მურაბებისა თუ ჯემების დამზადება, ანდა ვინ მიირთმევს საკვებს მხოლოდ სუფრასთან და მხოლოდ დანა-ჩანგლით? რა შემთხვევაში არ გამოირჩევა ადამიანი კულინარიული ნიჭით და ვისთვის არის უფრო შესაფერისი ველურ გარემოში ღია ცეცხლზე საჭმლის მომზადება, დესერტად კი მკვახე ვაშლი და იქვე მოკრეფილი მაყვალი? ვინ იძაბება სამზარეულოში და ამიტომ სხვებზე ხშირად იღებს ტრავმებს, თუმცა, გემრიელად ჭამა ძალიან უყვარს და მადლიერია იმ ადამიანების, ვინც საჭმელს უმზადებს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ როგორია ადამიანის კულინარიული შესაძლებლობები და პრიორიტეტები მის პირად ჰოროსკოპში მთვარის ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში განლაგების შესაბამისად.**

— **6. იმ ადამიანისთვის, რომლის დაბადების მომენტშიც მთვარე იმყოფებოდა ქალწულის ზოდიაქოში, რაც დაფიქსირდა კიდეც მის პირად ჰოროსკოპში, მეტად მნიშვნელოვანია სწორად კვება და ამგვარად ისინი როგორც საკუთარ თავზე, ისე ოჯახის წევრებზე ზრუნავენ.** ამ შემთხვევაში საკვები უნდა იყოს ერთდროულად ახალიც, გემრიელიც, სასარგებლოც. პრიორიტეტულია მსუბუქი, სამედიცინო დიეტით განსაზღვრული კერძები. ასეთი ადამიანები ხშირად კალორიებს ითვლიან. ზუსტად იციან, რომელი კერძი შეიცავს მავნე ქოლესტერინს ან რატომ უნდა თქვან უარი წითელ ხორცზე და სხვა. მათ შორის ხშირად შეხვდებით ვეგეტარიანელებსაც. რთულ კერძს ისინი იშვიათად ამზადებენ. ძირითადად საჭმელს სწრაფად, მაგრამ შემოქმედებითად ამზადებენ და უმეტესობა მათგანი გემრიელია, სერვირებისას ცდილობენ, პროდუქტი დაჭრან პატარა ნაჭრებად, ძვლებისა და სხვა მსგავსი დანამატის გარეშე, რათა მოხერხებულად მიირთვან. მენიუს წინასწარ გეგმავენ, რათა ზედმეტი არაფერი იყიდონ. თუმცა, თადარიგსაც იჭერენ და ისეთ პროდუქტებს იმარაგებენ, რომელიც დიდხანს არ ფუჭდება და საჭიროების შემთხვევაში, მინიმუმ, ერთი თვე თავს გაიტანენ. გარდა ამისა, ამგვარი პლანეტური მონაცემების მქონე ადამიანს ერთი მშვენიერი თვისებაც გააჩნია, მის კერძებს მუდამ დაბალანსებული გემო აქვს, არც არაფერი აკლია, არც ზედმეტი არაფერი აქვს და ამასთან ერთად სასარგებლოა.

**7. ადამიანებისთვის, რომელთა პირად ჰოროსკოპში მთვარე სასწორის ზოდიაქოშია განლაგებული, აუცილებელია ისეთი საჭმელი, რომელიც გემრიელიცაა და თვალსაც ახარებს.** ასეთი პლანეტური მახასიათებლის მქონენი გურმანები არიან და ამიტომ საჭმელ-სასმელში, დესერტებსა თუ ყავის ან ჩაის ჯიშებში მშვენივრად ერკვევიან. ამგვარად, თუ საკვები გემრიელი იქნება და გარემოც კომფორტული, სუფრასთან ბევრი საინტერესო ამბის მოყოლას არ დაიზარებენ. მათთვის საკვების სასარგებლო თვისებები უპირველესი არ არის, მაგრამ რამდენიმე საინტერესო დიეტა აუცილებლად იციან, რომლის დროსაც არც შიმშილობა მოგიწევთ და ფორმასაც ადვილად აღიდგენთ. ასეთი ადამიანი სტუმრისთვის განსაკუთრებულად ლამაზად გააწყობს სუფრას. უმეტესწილად, მშვენიერ ნამცხვრებს აცხობს და იშვიათ ორიგინალურ მურაბებსა და ჯემებს ამზადებს. მისი კვების პროცესიც დახვეწილია, ამიტომ საჭმელს მიირთმევს მხოლოდ მაგიდასთან, მხოლოდ დანა-ჩანგლით და ხელსახოცის გამოყენებით. მას არ უყვარს ქუჩაში ჭამა და ნაჩქარევად კვება და თუ ასეთი რამ მოხდა, ე.ი. ამის მნიშვნელოვანი მიზეზიც იარსებებს.

**8. ადამიანი, რომლის პირად ჰოროსკოპშიც მთვარე ღრიანკალის ზოდიაქოშია განლაგებული, კულინარიული ნიჭით არ გამოირჩევა, მაგრამ, თუ როდისმე სწავლას მოისურვებს, მის მიერ დამზადებული კერძი განსხვავებული, მარტივი და სუნელებით გაჯერებული იქნება.** ამ მონაცემის ქალბატონი ცდილობს, მარტივი და სასარგებლო საჭმელი მოამზადოს, რადგან მშვენივრად ესმის, რომ ბევრი დაავადების გამომწვევი სწორედ არაჯანსაღი კვებაა. **ჩვეულებრივ, ასეთი ადამიანებისთვის უფრო შესაფერისია ლაშქრობისას ღია ცეცხლზე, ველურ პირობებში მომზადებული საკვები, რომლის დესერტად მოიაზრება ხიდან მოწყვეტილი მკვახე ვაშლი ანდა იქვე ბუჩქიდან მოკრეფილი მაყვალი.** უნდა ითქვას, რომ ამგვარ ადამიანებს, საჭმლის მომზადების სურვილი დიდად არა აქვთ და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, ოჯახის წევრების დასაპურებლად ამზადებენ (თუმცა, მდგომარეობა სრულიად იცვლება, თუ მათი მთვარე ასპექტირებულია პლანეტებთან — მერკურთან ან ვენერასთან). **ნიშანდობლივია ისიც, რომ ასეთი მონაცემის მქონე ადამიანი სამზარეულოში იძაბება და სხვებზე უფრო ხშირად იღებს ტრავმებს** (დამწვრობა, თითის გაჭრა და სხვა). **ასევე ახასიათებს კერძის დაწვა, გაფუჭება, ტაფიდან ცხიმის ამოფრქვევა თუ ჩაიდნიდან სახელურის მოძრობა, მაგრამ მათ გემრიელად ჭამა ძალიან უყვართ, ამიტომ მეტად მადლიერნი არიან იმ ადამიანების, ვინც საკვებს უმზადებს.** გაითვალისწინეთ, რომ, თუ გსურთ, ასეთ ადამიანს განწყობა გამოუსწოროთ, გემრიელად დააპურეთ. ამასთან, თუ მის ჰოროსკოპში **მთვარე ჰარმონიულია,** მაშინ ის ადამიანი, ვისთანაც ტრაპეზს გაიყოფს, მისი მეგობარი ხდება, ხოლო **არაჰარმონიული მთვარის** შემთხვევაში, მისთვის საკვები მაღალ იდეალებს მოკლებულია და მხოლოდ დამაწყნარებელ საშუალებას წარმოადგენს.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 13-19 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
შესაძლოა, ამ პერიოდში მეგობრებთან ერთობლივი საქმე წამოიწყოთ ან მათგან ფინანსური დახმარება მიიღოთ. პირად ურთიერთობებში გაუგებრობანი დროულად გაარკვიეთ, შეცდომები გამოასწორეთ და დიპლომატიური გზით თქვენი მოთხოვნები წამოაყენეთ. გადაადგილებები და შეხვედრები წინასწარ გულმოდგინედ დაგეგმეთ. სანაქებო ჯანმრთელობა კი არსებული პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებათ.

**კურო** (21.04-20.05)
აქტიური მუშაობის, შეხვედრებისა და კავშირების დამყარების პერიოდია, მაგრამ მიზნის მისაღწევად დიდი ძალისხმევაა საჭირო. ზოგიერთი საქმის შესრულება მოგვიანებით მოგიწევთ. მატერიალური კეთილდღეობა დამოკიდებული იქნება სწრაფ და უეცარ ქმედებებზე. საყვარელ ადამიანზე ზრუნვა იდილიურ ატმოსფეროს შექმნის. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვისაც.

**ტყუპი** (21.05-22.06)
საქმეებისადმი დამოკიდებულება უფრო სერიოზული იქნება, რაც ხელმძღვანელ პირთა მოწონებას დაიმსახურებს. დაწინაურების ალბათობაც არსებობს. გაზრდილი ხიბლით საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს მიიზიდავთ. შესაძლოა, მოგზაურობა მოგიწიოთ, რაც სასიკეთოდ აისახება პირად ცხოვრებაზე. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად კი პროფილაქტიკური ზომები დროულად მიიღეთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ახალი შთაბეჭდილებების მიღებასა და მძაფრი შეგრძნებების სურვილი იმატებს. ფინანსური საკითხი და ოჯახური პრობლემები თქვენი ძირითადი საფიქრალი გახდება. უცხოელებთან ურთიერთობა მეტ პერსპექტივასა და მოგებას განაპირობებს. სასიყვარულო ურთიერთობაც კი არაერთგვაროვანი და ზოგჯერ გაუგებარიც მოგეჩვენებათ, თუმცა, ეჭვიანობის საბაბი არ გექნებათ. სამსახურში გაუგებრობების გამო შესაძლოა, მოგზაურობა გადაიდოს.

**ლომი** (23.07-23.08)
პროფესიულ სარბიელზე მრავალი ახალი იდეა გექნებათ, მაგრამ მიზანი და სამოქმედო ტაქტიკა წინასწარ აირჩიეთ. ამ შემთხვევაში მონდომებას დაგიფასებენ და კარგ შემოსავალს მიიღებთ. იურიდიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობას მოერიდეთ და საბუთებიც მოაწესრიგეთ, პირად ურთიერთობაში წარმატება და სასიამოვნო სიახლე გელით. კარგი პერიოდია როგორც საქმიანი მოვლენებისთვის, ისე დასვენების მიზნით მოგზაურობისთვის.

**ქალწული** (24.08-23.09)
კარგი პერიოდია ახალი სამსახურის, საქმიანობის ანდა პროექტის დასაწყებად. ხშირი და ინტენსიური ურთიერთობები ყოფას გაგიხალისებთ და საჭირო ინფორმაციის მიღებას გაგიადვილებთ. თქვენი ფინანსური მდგომარეობაც გაუმჯობესდება, რაშიც ნათესავები, მეგობრები ან კოლეგები დაგეხმარებიან. თქვენი ფიზიკური ამტანობაც მოიმატებს. სასიყვარულო სფეროში გაუგებრობა ეცადეთ, მშვიდად გაარკვიოთ. მოგზაურობა კი ჯობს, დროულად დაასრულოთ.

## 13-19 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
საქმიანი წრის გაფართოება ახალ იმედებს ჩაგისახავთ. ხალხის მასასთან ურთიერთობა გაგიადვილდებათ, ასევე მათი დაყოლიება და მოლაპარაკებების წარმართვა. კარგი პერიოდია ქონებრივი საქმეებისთვის და ჯგუფურად მოქმედებისთვის. ეცადეთ, პერიოდულად დაისვენოთ ან ქალაქგარეთ გაისეირნოთ, პირად ურთიერთობაში სასიამოვნო სიახლენი გელოდებათ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ენერგიის მატება ემოციებზე სასიკეთოდ აისახება. წინააღმდეგობების დაძლევაში კი მოთმინება და შეუპოვრობა დაგეხმარებათ, საქმიანი კავშირების მეშვეობით გაგიადვილდებათ სხვადასხვა კომპანიასთან ან ხელმძღვანელ პირთან მოლაპარაკება. მოგზაურობა სასიკეთოდ ჩაივლის. მშვიდი სიტუაცია კი ხელს შეუწყობს შემოქმედებას, ფარული ნიჭის გამოვლენას და პირადი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
შესაძლოა, ახალი საქმიანი შემოთავაზებები მიიღოთ, თუმცა, საჭირო იქნება კვალიფიკაციის ამაღლება და ცოდნის გაღრმავება. კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებას მოერიდეთ. მოგზაურობისას დროს მხიარულად და საინტერესოდ გაატარებთ. საოჯახო და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები ადვილად მოგვარდება. რემონტი ყოფას უფრო კომფორტულს გახდის. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად კი ვარჯიში კარგ შედეგს მოიტანს.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ფინანსური მდგომარეობის დასტაბილურება თავდაჯერებას შეგმატებთ. სიტუაციის ძალისმიერი მართვის შემთხვევაში როგორც შინ, ისე გარეთ პრობლემები შეგექმნებათ, ამიტომ ჯობს, დიპლომატიური ხერხი გამოიყენოთ და კამათისა და საკუთარი მოთხოვნების წამოყენებას მოერიდოთ. უეცრად განვითარებული სასიყვარულო ურთიერთობა ხანმოკლე, მაგრამ შესაძლოა, სასიამოვნო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდეს. მოგზაურობაც დადებითად ჩაივლის.

**მერწყული** (20.01-18.02)
კარგი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად, ჩანაფიქრის განსახორციელებლად და ოცნების ასასრულებლად. საზოგადოებაში სტატუსის ამაღლებისთვის საჭიროა უფრო მეტი აქტიურობა, საქმიანობის რეკლამირება და გარკვეული ხარჯის გაღება. გონიერება და ხიბლი დაგეხმარებათ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებაში.

**თევზები** (19.02-20.03)
განმარტოებისა და მშვიდი მუშაობის საშუალება არ მოგეცემათ. მნიშვნელოვანი რჩევებისა და განმარტებებისთვის ხშირად მოგმართავენ ახლობლები. ახალი იდეები, შემოთავაზებები გამოჩნდება, თუმცა, დეტალური შესწავლის გარეშე საქმის დაწყება ჯერ არ ღირს. თავისუფალი დრო სასურველია, დასვენებასა და მიზნის გააზრებას დაუთმოთ. ეს კვირა მშვიდად გაიარეთ, რათა მიმდინარე მოვლენებმა დადებითად იმოქმედოს ჯანმრთელობასა და განწყობაზე.




## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**13, 14, 15, 17 და 19 თებერვალი**

**5 თებერვალი – სავსემთვარეობა, პიკი – 22.31 საათზე;**
**20 თებერვალი – ახალმთვარეობა, პიკი – 11.09 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 13 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.00 საათზე, ჩადის 18.31 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 01.21 საათზე, ჩადის 11.26 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 02.44 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 20.03 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოტყუების ალბათობა მოიმატებს, საეჭვო პირებს ნუ მიენდობით. წინადახედულობა გამოიჩინეთ. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. ახალ პროექტს ნუ დაიწყებთ. არ არის სასურველი რენტგენი, სხივური თერაპია, მგზავრობა, ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, ინტიმური კონტაქტები. კარგი დღეა მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საქმეებისთვის, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, კონფინდენციალური საქმის წარმატებით დაგვირგვინებისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, გამოძიებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, თვითშემეცნებისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ცხვირი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, იასპი, ქრიზოპრაზი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 14 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.58 საათზე, ჩადის 18.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.21) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 02.33 საათზე, ჩადის 11.59 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 04.15 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.52 საათიდან 05.31 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** უანგარო სიყვარულის დღეა. ამავდროულად, ზედმეტ კონტაქტურობას მოერიდეთ. მაღალია თვალის ცემისა და ენერგოდაბინძურების ალბათობა, არ არის სასურველი მატერიალური საკითხების გადაწყვეტა, მსხვილი შენაძენი, სისხლის გადასხმა, მშენებლობა, სიმძიმეების აწევა, ფეხზე დიდხანს დგომა, სულსწრაფობა. კარგი დღეა ფილტვების, ხელებისა და მეტყველების დარღვევის სამკურნალოდ, ფანჯრების გამოსაცვლელად, მინისა და კერამიკული ნივთების გასაწმენდად, უცხოელებთან კავშირებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, ლაზურიტი, საფირონი, ლალი. **პოზიტიური** დღეა ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 15 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.57 საათზე, ჩადის 18.34 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 03.46 საათზე, ჩადის 12.42 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 05.48 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მნიშვნელოვანი შეხვედრისა და მისტიკური მოვლენების დღეა. ინტუიცია იმატებს, სწორი ანალიზის შემთხვევაში საქმის სასიკეთოდ დასრულება გამარტივდება. კარგი დღეა სულიერი და ინტელექტუალური საქმიანობისთვის, მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად. ეფექტურია ფილტვების, მხრების, ხელების მკურნალობა, მასაჟი, წყლის პროცედურები. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა, სიმძიმეების აწევა, სარკაზმი, სულსწრაფობა. შესაძლებელია ქრონიკული დაავადების გამწვავება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული,მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, იაგუნდი, იასპი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 16 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.56 საათზე, ჩადის 18.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.55) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 04.58 საათზე, ჩადის 13.37 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 07.13 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.06 საათიდან 09.00 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს სულიერი სიმშვიდე დაიცავით. ზედმეტ ხმაურსა და ლაპარაკს მოერიდეთ. მეტი დრო დაუთმეთ საოჯახო, ყოფით საქმეებსა და ახლობლებს. ფერადოვანი ტანსაცმელი გაგიძლიერებთ თვითრწმენას. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, სარესტავრაციო სამუშაობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის, ფილტვების, მკერდის მკურნალობა და კანისა და ფრჩხილების მოვლა. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ახალი კავშირების დამყარება, სტომატოლოგიური პროცედურები, სიმძიმეების აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, კანი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 17 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.54 საათზე, ჩადის 18.36 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 06.03 საათზე, ჩადის 14.46 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 08.16 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სამართლიანობა დაიცავით. სასიკეთოა ლოცვა. შესაძლოა, ძველი საქმიდან მოულოდნელად სარგებელიც მიიღოთ. ამავდროულად, ტრავმულ-ავარიული დღეა. გზებზე გადაადგილებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, საოფისე ავეჯის შესაძენად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონებისა და მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, კოლექციის შესაგროვებლად. არ არის სასურველი ქორწინება, გაცვლითი ოპერაციები, ახალი თანამშრომლის მიღება და ახალი კავშირების დამყარება, ფინანსური ოპერაციები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მწვანე იასპი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 18 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.53 საათზე, ჩადის 18.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.33) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.57 საათზე, ჩადის 16.04 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 08.55 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.18 საათიდან 09.35 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ ემოციები აკონტროლეთ, ნერვული სისტემა დასუსტებულია, თვალებს ნუ გადაღლით. მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობასა და სახლს. კარგი დღეა სამეცნიერო კვლევისთვის, რეფორმული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, ელექტრო და აირხელსაწყოების, კომპიუტერის შესაძენად, გართობისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, საიდუმლოს გამხელა, ფანტაზიორობა, ფორიაქი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, მხედველობა. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ციტრინი, ძოწი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 19 თებერვალი, კვირა

**მზე** გადაინაცვლებს (02.35) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.52 საათზე, ჩადის 18.39 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 07.41 საათზე, ჩადის 17.21 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 09.18 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მზის გადანაცვლება მერწყულიდან თევზების ზოდიაქოს ნიშანში ადამიანებში გააძლიერებს მგრძნობელობას, ემოციურობას, სენტიმენტალურობას, რომანტიკულობას, ინტუიციას, იუმორის შეგრძნებას, თანაგრძნობას, ქველმოქმედებას და კოსმოსური საიდუმლოებების შეცნობისკენ მიდრეკილებას. ასევე ფიქრს წარსულზე, ცუდი აზრების მოზღვავებას, ფანტაზიორობას, ტყუილისკენ მიდრეკილებასაც. დღეს პროვოკაციებს ნუ აჰყვებით, იუმორს დაეყრდენით, მშვიდად დაისვენეთ. რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. კარგი დღეა სამშენებლო, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ბინის შესაცვლელად, დიეტის დასაწყებად. არ არის სასურველი დიდხანს ფეხზე დგომა, ზედმეტი ფორიაქი და ლაპარაკი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, მხედველობა. **ქვები:** ცირკონი, ციტრონი, ძოწი, აკვამარინი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ **13 თებერვალი. ორშაბათი.** სასწაულმოქმედთა უვერცხლოთა მოწამეთა **კიროსისა** და **იოანესი** და მათთანა მოწამეთა: **ათანასიასი** და ასულთა მისთა ქალწულმოწამეთა: **თეოდოტიასი, თეოქტისტასი** და **ევდოქსიასი.** კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა **კორონიოტირასი,** ანუ **დაკრიროურასი.**

✝ **14 თებერვალი. სამშაბათი.** მოწამისა **ტრიფონისა;** მოწამეთა: **პერპეტუასი, სატიროსი, როვეკატოსი, სატორნინოსი, სეკუნდოსი** და **ფილიკიტატესი;** ღირსისა **პეტრე გალატიელისა;** ღირსისა **ვენდიმიანესი, ბითვინიელი მეუდაბნოისა;** ღირსისა **დედისა ბრინძიასი,** ირლანდიის მფარველისა; **ბასილი I-ისა,** თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა.



15 თებერვალი – მირქმა – მიგებება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი

✝ **15 თებერვალი. ოთხშაბათი. მიგებება (მირქმა) უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.** მოწამისა **აღათოდორესი;** მოწამისა **იორდანე ტრაპეზუნდელისა;** ღირსმოწამისა **გაბრიელისა,** კონსტანტინოპოლელისა.

✝ **16 თებერვალი. ხუთშაბათი.** მართალთა: **სვიმეონ ღმრთისმიმქუმელისა** და **ანა წინასწარმეტყველისა;** წინასწარმეტყველისა **აზარიასი;** მოწამეთა: **პაპიასი, დიოდორესი** და **კლავდისი**; მოწამეთა **ადრიანესი** და **ევბულისა**; მოწამისა **ვლასი** მწყემსისა, კაპადოკიის კესარიელისა.

✝ **17 თებერვალი. პარასკევი.** ღირსისა **ევაგრესი,** ციხედიდის მთავარყოფილისა, ღირსისა **შიო მღვიმელის** თანამოღვაწისა; ღირსისა **ისიდორე პელუსიელისა;** მღვდელმოწამისა **აბრაამისა,** არვილელი ეპისკოპოსისა; ღირსისა **ნიკოლოზ აღმსარებელისა,** სტუდიელი იღუმენისა; ღირსისა **იოანესი,** ირინოპოლელი ეპისკოპოსისა; მოწამისა **თეოქტისტესი;** ღირსისა **იასიმოს სასწაულმოქმედისა;** მოწამისა **იოსებ ხალეპელისა.**

**18 თებერვალი. შაბათი. ხორციელის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება.** ქალწულმოწამისა **აღათია სიცილიელისა; პოლიევქტოსი,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; **თეოდოსისა,** ჩერნიგოველი მთავარეპისკოპოსისა. კრება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა **„დაკარგულთა მოძიება“;** ღირსისა **საბა სიცილიელისა.**

✝ **19 თებერვალი. კვირა. ხორციელის კვირიაკე. საშინელი სამსჯავროს ხსენება.** ღირსისა **არსენ იყალთოელისა;** ღირსისა **ვუკოლესი,** სმირნელი ეპისკოპოსისა; ღირსთა: **ბარსანოფი დიდისა** და **იოანე წინასწარმეტყველისა;** მოციქულთა სწორისა **ფოტისა,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა, აღმსარებელისა.





საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

თამარისი Tamarisi
დაინახე:


ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics


მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მატრიკული; 8. დეკანი; 11. რქოვანა; 13. მანდარინი; 14. ლელქაში; 15. სტოპერი; 16. ელევატორი; 21. ლუმბაგო; 22. გიტარა; 25. პროვანსი; 26. ჰიტაჩი; 29. ტარანტასი; 30. კორლეონე; 31. მარანი; 32. რანდევუ; 33. მინიმუმი; 37. რაიკინი; 40. ყარიბი; 44. ტერიტორია; 45. მალარია; 46. ლურჯა; 47. ამაზონიტი; 52. ზანზიბარი; 55. ვაზარი; 57. გრენობლი; 58. ლეონტი; 59. დეტალი; 60. ხევი; 61. ვატიკანი; 62. ალიონი.

შვეულად: 1. მუმიე; 2. ტენგე; 3. იჰარა; 4. უნიჰო; 5. ირისი; 6. კოლოდი; 7. მანერა; 8. დალილა; 9. კოლუმბი; 10. ნიაგარა; 12. რიკოთი; 17. ლორდოზი; 18. ვივალდი; 19. ტანგო; 20. როიტერი; 22. გურანდა; 23. ტანდემი; 24. რეალური; 26. ჰიმნი; 27. ტორსი; 28. ჩანგი; 33. მიტრა; 34. ნარმა; 35. მეტრო; 36. მარტი; 38. კოლტი; 39. ნორმა; 40. ყალია; 41. რურუა; 42. ბრაზილია; 43. სარი; 45. მენტორი; 48. მარკა; 49. ზანტი; 50. ნუბია; 51. ტვიდი; 53. ბაიხი; 54. რაგვი; 56. ზეტი.

**დამასკოზოზინააპალმირაპირამიდამონეტავიგვამი**
**კოლიზრიზიდანიელვასალიერიქათიზისინააპირიალი**

| სირიის დედაქალაქი | მაგნიტოფონის გორგოლაჭი | პეტერბურგის პოეტური სახელი | გეომეტრიული ფიგურა | ლითონის ფული | ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა საცხოვრებელი ქოხი |
|---|---|---|---|---|---|

| მამაკაცთან მოცეკვავე ქალი | სათხილამურო სპორტის სახეობა | ლაბისებრი საწვავი პროდუქტი | საფარიკაო იარაღი | არემარე | ნატვრის სიტყვა | მკვდარი ადამიანის სხეული |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი; 8. ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში; 11. თვალის რქოვანი გარსი; 13. ციტრუსი; 14. ჭაობის მცენარე; 15. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 16. ტვირთის ვერტიკალურად ასაწევი მანქანა; 21. წელკავი; 22. სიმებიანი საკრავი; 25. საფრანგეთის ისტორიული ოლქი; 26. იაპონიური ფირმა; 29. გრძელი ოთხთვლიანი სამგზავრო ეტლი; 30. დონ ვიტო ... — პერსონაჟი პიუზოს რომანისა „ნათლია“; 31. ტატოს ლექსი; 32. პაემანი; 33. სიტყვა „მაქსიმუმის“ ანტონიმი; 37. რუსი სატირიკოსი მსახიობი; 40. უთვისტომო, ღარიბი; 44. გარკვეულ საზღვრებში მოქცეული მიწის სივრცე; 45. ციებ-ცხელება; 46. გალაკტიონ ტაბიძე — „... ცხენები“; 47. მოცისფრო-მწვანე მინერალი; 52. ნახევარკუნძული ინდოეთის ოკეანეში, ტანზანიის შემადგენლობაში; 55. ქულა ძიუდოში; 57. ქალაქი საფრანგეთში; 58. მე-12 საუკუნის ქართველი მწერალი ... მროველი; 59. მანქანის, მექანიზმის ნაწილი; 60. პატარა მდინარე მთებს შუა; 61. რომის პაპის რეზიდენცია; 62. განთიადი.

შვეულად: 1. ფისისმაგვარი ბუნებრივი პროდუქტი, ე.წ. „მთის ბალზამი“; 2. ყაზახეთის ფულის ერთეული; 3. იაპონელი მწერალი; 4. ნიჭის არმქონე; 5. თვალის ფერადი გარსი; 6. იტალიელი მწერალი, პინოქიოს ლიტ. მამა; 7. ქცევის თავისებურება, ჩვევა; 8. სამსონის სატრფო; 9. პორტუგალიისა და ესპანეთის სამსახურში მყოფი ზღვაოსანი; 10. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 12. უღელტეხილი ლიხის ქედზე; 17. ხერხემლის მკვეთრი გაღუნულობა წინისკენ; 18. იტალიელი კომპოზიტორი; 19. წყვილთა ცეკვა; 20. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო; 22. მსახიობი ... გაბუნია; 23. ორადგილიანი ველოსიპედი; 24. ნამდვილად არსებული, ჭეშმარიტი; 26. ღვთაების სადიდებელი სიმღერა; 27. ადამიანის ტანი კიდურების გარეშე; 28. სიმებიანი საკრავი; 33. უმაღლეს სასულიერო პირთა თავსარქმელი; 34. ბამბის ქსოვილი, უხეში მიტკალი; 35. მიწისქვეშა ტრანსპორტი; 36. გაზაფხულის თვე; 38. ერთგვარი სისტემის რევოლვერი; 39. რისამე დაწესებული რაოდენობა; 40. ღორის ხორცის ჩიხირთმა; 41. ქართველი ექსმოჭიდავე; 42. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 43. ინდური სამოსი; 45. ოდისევსის შვილის ტელემაქეს გამზრდელი; 48. საფოსტო ნიშანი; 49. ზარმაცი; 50. ეგვიპტის ისტორიული ოლქი; 51. ერთგვარი საკოსტიუმე ქსოვილი; 53. გრეხილი ჩაი; 54. წნელის ღობე; 56. ლათინური ზ-ს სახელი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ძალიან პატარა ჩიტი | ფრანგი ექს-ფეხბურთელი | ატმოს-ფერული მოვლენა | იტალიელი კომპოზიტორი | ქალის ბეწვმოვლებული ზედა სამოსი | ვაშლის ჯიში | იემენის ფულის ერთეული |
|---|---|---|---|---|---|---|

| სასამსახურო ჯიშის ძაღლი | ადგილობრივი სუსტი ქარი (ფრანგ.) | ... ჭონქაძე | ვისამე ხელქვეითი დამოკიდებული სახელმწიფო | ძახილი საშველად | ფრინველი - ყაჯირი | რისამე კიდე, პირი | ცეცხ-ლის ანადენი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

*დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს*

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 13 - 19 თებერვალი №8 (1472)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეტიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

